

ლავრენტი ჩიბურდანიძე

საბანკო საქმე

(მოკლე კურსი)

რეკომენდებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო
უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის
საბჭოს (ოქმი №13. 30.07.07.) მიერ

გამომცემლობა „თობალისი“

თბილისი 2008

ლავრენტი აკაკის ძე ჩიბურდანიძე – საბანკო საქმე (მოკლე კურსი) დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი 2008. გამომცემლობა „თობაღისი“

დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია „საბანკო საქმის“ სასწავლო პროგრამის კურსის შესაბამისად უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით.

დამხმარე სახელმძღვანელოში მოკლე რაკურსით განხილულია ბანკებისა და საბანკო საქმის არსი და როლი. კომერციული ბანკების, როგორც იურიდიული საწარმოს ფუნქციები, ოპერაციები, საქმიანობის არეალი და გაძღოლის ფუნდამენტალური საკვანძო საკითხები მოცემულია განმარტებებსა და მიმართულებებში. საქართველოში საბანკო საქმიანობის შესახებ მდიდარ ლიტერატურულ წყაროებში მისი ორიგინალობა გამოიხატება საკითხების მოკლედ წარმოჩენასა და განხილვაში.

მეცნიერ-რედაქტორები:

სრ. პროფ. შ. ბენია

პროფ. ი. გოდერძიშვილი

რეცენზენტები:

სრ. პროფ. ნ. იოსებაშვილი

ასოც. პროფ. ნ. ხარაიშვილი

ავტორის წინასიტყვაობა

საბანკო საქმისა და მისი პრიორიტეტული მიმართულებების ცოდნა მეტად აქტუალური და საჭირო გახდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. საქართველოში ბიზნესის აღორძინებამ და სამეწარმეო საქმიანობის აღმავლობამ, ბევრისათვის დღის წესრიგში, ბევრისათვის კი, მომავლის გააზრება-გათვლის პროცესში დავა მთელი რიგი მეტად საინტერესო კითხვები:

- როგორ კეთდება ფული?
- რას წარმოადგენენ ბანკები და როგორ შეუძლიათ მათ ხელი შეგვიწყოთ ბიზნესის განვითარებაში; სახსრების უკმარისობის შევსებაში; თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდება-შენახვა-დაცვაში;
- რას წარმოადგენს საბანკო ბიზნესი და მისი სფერო, შეეძლებოდა კი, ამ სფეროში ჩართვას, კაპიტალის ჩადებას, საქმიანობის გაძლოვას, სასურველი შედეგების მიღებას?
- რა წინაპირობებია საჭირო - გვესმოდეს საბანკო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, შეეძლოთ პერსპექტივების პროგნოზირება?
- მოსალოდნელი ხომ არ არის იმ უარყოფითი მოვლენების გამოვლენა, რაც გამოიწვია 1990-იანი წლების პირველი ნახევრის ფულად-საკრედიტო რეფორმამ?
- რა დაცვითი მექანიზმები და გარანტიები აქვთ ბანკებს საანაზრო და სადეპოზიტო თანხების გაუფასურების რისკებზე?
- სადამდე იფარგლება საბანკო მომსახურების ზღვარი, კიდევ რა პროდუქტები შეუძლია შემოგეთავაზოს ბანკმა და სხვ.?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის რეალური საფუძველია საბანკო საქმის სპეციალური ცოდნა.

წარმოდგენილი დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი არ აცხადებს პრეტენზიას ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კითხვას გასცეს ამომწურავი პასუხი. მას მიზნად აქვს დასახული, გარკვეული წვლილი შეიტანოს საბანკო საქ-

მის საფუძვლების შესწავლის საქმეში და დაეხმარება ყველა დაინტერესებულ პირს - ნებისმიერი პროფესიის მოქალაქეს, მოსწავლეს, სტუდენტს ამ სფეროში ორიენტაციისათვის.

არცერთი შრომა დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან. ყოველი შენიშვნა ავტორის მიერ მიღებული იქნება მაღლიერების გრძნობით და გათვალისწინებული შემდგომ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

ლავერენტი ჩიბურდანიძე
სსსს უნივერსიტეტის ფინანსებისა
და აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი,
სრული პროფესორი.

პირველი თავი. ბანკები და საბანკო სისტემა

1.1. ბანკის არსი

სიტყვა „ბანკი“ მომდინარეობს იტალიურიდან „banco“ (ბერძნულად შეესაბამება „ტრაპეზი“, ლათინურად „mensa“) და ნიშნავს მაგიდას, ბანკ-მაგიდას, გადამცემელთა მაგიდას. ასეთ მაგიდებთან, ძველ დროში, ისხდნენ პირები, რომლებსაც შეეძლოთ სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის მონეტების ხარისხის შეფასება და გაცვლაზე რჩევების მიცემა. ამ პირებს ტრაპეზიდებს, მენსარებს, ანუ თანამედროვე გაგებით, ბანკირებს უწოდებდნენ.

სიტყვა „ბანკი“ ვერ ხსნის იმ წარმოდგენას საკრედიტო დაწესებულების არსზე, რაც მას ახასიათებს.

ბანკი, როგორც საკრედიტო დაწესებულება, შეიქმნა იტალიაში, ქ. გენუაში, 1407 წელს („ბანკა დი სან დეორჟო“-ს სახელწოდებით) კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურული სტადიის პირობებში.

ბანკების ფუძემდებლური და საწყისი ფუნქცია გადასახადებში შუამავლობა იყო, რამაც შემდეგში ბანკები თავისუფალი ფულადი კაპიტალით პროცენტის მიმღებად აქცია.

ბანკის არსის განსაზღვრა დღემდე სადისკუსიო საკითხია.

ბანკის არსის განსაზღვრაში გამოყოფენ შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- ფულის საცავი;
- დაწესებულება, ორგანიზაცია;
- ეკონომიკური მართვის ორგანო;
- საშუამავლო ორგანიზაცია;
- ბირჟის აგენტი;
- საკრედიტო საწარმო.

ბანკების არსზე შეხედულების სიმრავლე დაიყვანება ორ ძირითად პუნქტამდე: ბანკი არის დაწესებულება და ბანკი არის საწარმო.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებს ორი, პრინციპულად განსხვავებული, ბანკის ტიპი – ცენტრალური და კომერციული.

ცენტრალური ბანკი - არის ფულად-საკრედიტო დაწესებულება, რომელიც იმყოფება ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ზედა დონეზე და წარმოადგენს ქვეყნის საემისიო ცენტრს, ბანკთა-ბანკს, მთაერთობის ბანკს, ქვეყნის მთავარ საანგარიშსწორებო ცენტრს და ეკონომიკის რეგულირების ორგანოს.

კომერციული ბანკი - არის ფულად-საკრედიტო საწარმო, რომელიც იმყოფება ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ქვედა დონეზე და ფასიან (კომერციულ) საფუძველზე სხვა კომერციულ ბანკებთან ერთად საბაზრო კონკურენციის პირობებში ეწევა ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო მომსახურებას.

საბანკო სისტემა. საბანკო სისტემა წარმოადგენს ეროვნული ბანკების, საბანკო ინსტიტუტებისა და საკრედიტო დაწესებულებების ერთობლიობას, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, ბანკების იურიდიული სტატუსი განსხვავებულად ფასდება.

უმეტესი ქვეყნების საბანკო საკანონმდებლო აქტები განასხვავებს სამ ცნებას: საკრედიტო ორგანიზაცია; ბანკი; არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაცია.

საკრედიტო ორგანიზაცია (საწარმო) - არის იურიდიული პირი, რომელიც (ცენტრალური ბანკის ნებართვით (ლიცენზიით) მოგების მიღების მიზნით, აწარმოებს კანონით გათვალისწინებულ საბანკო ოპერაციებს.

ბანკი - არის საკრედიტო ორგანიზაცია (საწარმო), რომელსაც აქვს განსხვავებული უფლება მთლიანობაში განახორციელოს შემდეგი საბანკო ოპერაციები: ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი საშუალებების ანაბრებში მოზიდვა, ამ საშუალებების თავისი სახელით და თავის ანგარიშზე დაბრუნების, ფასიანობის, ვადიანობის პრინციპებით ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე განთავსება.

არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები - არის ის საკრედიტო ორგანიზაციები, რომელსაც ქვეყნის ორგანული კანონმდებლობით გააჩნია უფლება - განახორციელოს ცალკეული საბანკო ოპერაციები.

1.2 ცენტრალური ბანკის როლი და ადგილი

საბანკო სისტემაში

კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიაზე ბანკები, რომლებიც სახელმწიფო მმართველობასთან უფრო ახლოს იყვნენ და ეროვნული ვალუტის გამოშვებას განაგებდნენ, ემისიურ ბანკებად იწოდებოდნენ. ევოლუციური განვითარების შედეგად, თანამედროვე პირობებში, მათი ფუნქციები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და პრაქტიკაში გამოყენება ჰპოვა ტერმინმა „ცენტრალური ბანკი“.

ცენტრალური ბანკები XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე კერძო საკუთრების იყო, შემდეგ კი ისინი სახელმწიფო ინსტიტუტებად გარდაიქნა. საქართველოში დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის დაარსების თარიღად, 1919 წლის 31 დეკემბერი, ხოლო ამოქმედების თარიღად - 1920 წლის ივლისი უნდა მივიჩნიოთ. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად (რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია), საქართველოს სახელმწიფო ბანკმა არსებობა შეწყვიტა. 1991 წლის აგვისტოში საქართველოში ეროვნული ძალების ძალისხმევით და მონღოლებით, იქმნება ორიარუსიანი საბანკო სისტემა და ქვეყნის ცენტრალურ ბანკს ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების, აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობისა და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, რომელიც ორიენტირებულია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე. ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

- შემუშავოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა;

- განახორციელოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცემელი პუნქტების საქმიანობის შედამხედველობა მათი ლიცენზირების, რეგულირებისა და შემოწმების მეშვეობით, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში მართვა და ლიკვიდაცია;
- ფლობდეს, ინახავდეს და განკარგავდეს ოფიციალურ საერთაშორისო რესერვებს.
- იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი, მრჩეველი და ფისკალური აგენტი;
- უზრუნველყოფდეს საგადახდო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას;
- ხელს უწყობდეს საიმედო და მდგრადი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას;
- კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის დააწესოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუღალტრული ანგარიშგების წესები და პროცედურები.

საქართველოს ეროვნული ბანკი თავის ფუნქციებს ახორციელებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ისეთი ძირითადი ინსტრუმენტებითა და მეთოდებით, როგორცაა:

- საბანკო ოპერაციების საპროცენტო განაკვეთები;
- ღია საბაზრო პოლიტიკა;
- სავალდებულო რესერვების ნორმატივების დადგენა კომერციულ ბანკებში დეპონირებულ რესურსებზე;
- საკრედიტო ორგანიზაციების რეფინანსირება;
- სავალუტო რეგულირება;
- პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები და სხვა.

1.3. კომერციული ბანკების როლი და ადგილი

საბანკო სისტემაში

კომერცია ლათინური სიტყვაა და შეეხება ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროს და საბოლოო მიზანი მოგების მიღებაა. კომერციული ბანკი წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მიერ ლიცენზირებულ (ნებართვამიცემულ) იურიდიულ პირს, რომელიც იღებს დეპოზიტებს და თავისი სახელით მათი გამოყენების საფუძველზე, აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

კომერციული ბანკებისათვის საქართველოში ნებადართულია საქმიანობის შემდეგი სახეობები:

- პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოწოდება;
- სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;
- საკუთარი და კლიენტთა სასხრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუნერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების) ყიდვა-გაყიდვა;
- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციებისა და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;
- გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი

მიმოქცევის ორგანიზება (საგადასახადო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);

- საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- კლიენტების დავალებით ნდობითი (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
- საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

კომერცია, საბანკო სფეროში, ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საქმიანობის მომგებიანობის პრინციპს;
- პრინციპს „იყიდე იაფად - გაყიდე ძვირად“;
- ყველაფერი - კლიენტისათვის, უპირველესად კლიენტის და შემდეგ, ბანკის მოგება.

პრაქტიკაში ფუნქციონირებს კომერციული ბანკების მრავალი სახე. შესრულებული საბანკო ოპერაციების მიხედვით, განასხვავებენ უნივერსალურ და სპეციალიზებულ ბანკებს. უნივერსალური კომერციული ბანკი ასრულებს საბანკო ოპერაციასა უმრავლესობას და არ სპეციალიზდება რომელიმე საბანკო ოპერაციაზე. საკუთრების ფორმის მიხედვით, ასხვავებენ სახელმწიფო კომერციულ ბანკებს, აქციონერულ კომერციულ ბანკებს, კოოპერაციულ კომერციულ ბანკებს, კერძო და შერეული საკუთრების კომერციულ ბანკებს. საქმიანობის მასშტაბების მიხედვით, განასხვავებენ საბანკო კონსორციუმებს, მსხვილ, საშუალო და მცირე ბანკებს. ასევე შეიძლება კომერციული ბანკების განსხვავება დარგობრივი კუთხითაც. მაგალითად, სს „საქართველოს აგრობიზნეს ბანკი“.

2.1. კომერციული ბანკის რესურსები

კომერციულ ბანკს, საქმიანობის განსახორციელებლად, სჭირდება განსასუღერული რესურსები. კომერციული ბანკის რესურსები არის საკუთარი კაპიტალი და დაბრუნების საფუძველზე, მის მიერ ჩატარებული პასიური ოპერაციების შედეგად იურიდიული და ფიზიკური პირებიდან მოზიდული ფულადი საშუალებები.

კომერციული ბანკის რესურსები შექმნის წყაროების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: საკუთარ კაპიტალად და მოზიდულ საშუალებებად. საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს ბანკის უშუალოდ კუთნილ საშუალებებს მთელი საქმიანობის პერიოდში. ამ საშუალებებს წარმოქმნის ისეთი საკუთარი წყაროები, როგორცაა საწესდებო კაპიტალი, სარეზერვო ფონდები, გაუნაწილებელი მოგება და სხვა.

მოზიდული საშუალებები, სახსრების აკუმულაციის წესის შესაბამისად, იყოფა დეპოზიტებად და დანარჩენ მოზიდულ საშუალებებად.

დეპოზიტები – წარმოადგენს ბანკის მიერ იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ ფულად საშუალებებს კლიენტთათვის: ანგარიშების გახსნის და მათზე ოპერაციების წარმართვის, ანაბრების მიღების, სადეპოზიტო და საშემნახველო სერთიფიკატების, საკუთარი თამასუქებისა და ობლიგაციების გამოშვების გზით.

დანარჩენ მოზიდულ საშუალებებს მიეკუთვნება საკრედიტო დაწესებულებებიდან მიღებული სესხები.

2.2. კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალი და

მისი სტრუქტურა

სიტყვა „კაპიტალი“ ლათინურია და ნიშნავს მთავარს, ანუ მთავარ ქონებას. ბანკის საკუთარი კაპიტალი არის ბანკის საკუთარი ქონება ვალდებულებების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მთლიან რესურსებში საკუთარ კაპიტალზე მოდის 15-20%, ის ასრულებს ბანკისათვის მრავალ საარსებო ფუნქციას. ბანკის საკუთარი კაპიტალის ფუნქციებია: დაცვითი ფუნქცია, ოპერატიულობის ფუნქცია, მარეგულირებელი ფუნქცია.

დაცვითი ფუნქცია ნიშნავს ბანკის შესაძლებლობას, ლიკვიდაციის შემთხვევაში, აუნაზღაუროს კომპენსაციები მენაბრეებს ბანკში განთავსებულ სახსრებზე, შეინარსუნოს გადამხდელუნარიანობა აქტივების რესურსების შექმნის გზით, გააგრძელოს ფუნქციონირება დროებით ზარალის წარმოშობის შემთხვევაშიც.

ბანკის საკუთარი კაპიტალის ოპერატიულობის ფუნქციას, დაცვით ფუნქციასთან შედარებით, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია და გულისხმობს, ბანკის არსებობის პერიოდში, მისი მატერიალური ბაზის ფორმირებასა და განვითარებას, ე.ი. დაბანდებებს მიწის, შენობების, მოწყობილობების შექმნაში და გაუთვალისწინებელი მოსალოდნელი ზარალის დაფარვის ფინანსური რესურსის შექმნას.

კაპიტალის მარეგულირებელი ფუნქციის შესრულება დაკავშირებულია, ერთი მხრივ, სასოგადოების განსაკუთრებულ ინტერესთან კომერციული ბანკების ნორმალურ ფუნქციონირებასა და მთელი საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარსუნებაში, მეორე მხრივ, ეკონომიკური ქცევის იმ ნორმებთან, რომელიც საშუალებას იძლევა გააკონტროლოს ბანკების საქმიანობა.

საბანკო კაპიტალის ფუნქციები მიუთითებს, რომ საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს ბანკის კომერციული საქმიანობის საფუძველს. ის უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას და გარანტიაა მისი ფინანსური მდგრადობისა, არის წყარო ბანკის სხვადასხვა რისკების ნეგატიური შედეგების დაფარვისათვის.

ბანკის კაპიტალი იყოფა პირველი დონისა და მეორე დონის კაპიტალად. პირველი დონის, ანუ ძირითადი კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, გაუნაწილებელ მოგებას, უვადო პრივილიგებული აქციების გაუნაწილებელი დივიდენდების ნაშთებს და შეილობილი კომპანიების არაკონტროლირებადი აქციების ნაწილს.

მეორე დონის კაპიტალი მოიცავს: რეზერვებს სესხების მიხედვით შესაძლო 'ხარალ'ზე, უვადო, გრძელვადიან და კონვერტირებულ პრივილიგებულ აქციებს, საშუალოვადიან პრივილიგებულ აქციებს და ვადიან მეორეხარისხოვან ვალს.

ბანკის საკუთარი კაპიტალი, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი, წარმოადგენს ბანკის მთლიან საკუთარ კაპიტალს (ბრუტო-კაპიტალს). სხვადასხვა საბანკო ნორმატივების გაანგარიშებისათვის, საბანკო პრაქტიკაში გამოიყენება ისეთი მანვენებელიც, როგორიცაა წმინდა საკუთარი კაპიტალი (ნეტო-კაპიტალი), რომელიც წარმოადგენს ბანკის საკუთარი საშუალებების ფაქტიურ სიდიდეს და შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც საკრედიტო რესურსი.

კომერციული ბანკებისათვის ზედამხედველობის წესით დგინდება „კაპიტალის საკმარისობის“ დონე, რომლის მთავარი პრინციპი ისაა, რომ საკუთარი კაპიტალის სიდიდე უნდა შეესაბამებოდეს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების სიდიდეს. კომერციული ბანკის კაპიტალის საკმარისობის ნორმატივები განისაზღვრება საკუთარი კაპიტალის შეფარდებით რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან.

2005 წლის 1 იანვრიდან, ამ ნორმატივის მნიშვნელობა განისაზღვრა 5 მილიონი ევროსა და ზემოთ ეკვივალენტის კაპიტალის მქონე ბანკებისათვის – 10%-ით, ხოლო 5 მილიონ ევროზე ნაკლები ეკვივალენტის კაპიტალის მქონე ბანკებისათვის – 11%-ით.

2.3. კომერციული ბანკის მოზიდული საშუალებაები

კომერციული ბანკის რესურსების ძირითად ნაწილს მოზიდული საშუალებები შეადგენს. მათგან, ძირითადი ნაწილი, დეპოზიტებზე მოდის, მცირედი - დანარჩენ მოზიდულ საშუალებებზე.

დეპოზიტები, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- დეპოზიტები მოთხოვნამდე;

- ვადიანი დეპოზიტები;
- დეპოზიტები ფიზიკური პირებიდან (მოსახლეობის ანაბრები);
- ფასიანი ქაღალდები (სერთიფიკატები, თამასუქები).

მოწიდული საშუალებების სტრუქტურა კომერციულ ბანკებში ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდუალური საქმიანობის სპეციფიკის გამო.

დეპოზიტები მოთხოვნამდე გამიზნულია მიმდინარე ანგარიშსწორებისათვის (შენახვისათვის). დეპოზიტები მოთხოვნამდე ბანკის მოძრავი რესურსია, ამიტომ ბანკები მასზე ძალზე დაბალ პროცენტს იხდიან ან საერთოდ უპროცენტო დეპოზიტია, მაგრამ ის ბანკისათვის სტაბილურ დეპოზიტებს წარმოადგენს.

ვადიანი დეპოზიტები -- ესაა იურიდიული პირების ფულადი საშუალებები - შეტანილი ბანკში ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით. საბანკო დეპოზიტებისათვის ვადა იწყება ერთი დღიდან და ზევით, ხოლო სხვა დეპოზიტებზე -- 30 დღიდან და ზევით. ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად, დეპოზიტები, ვადიანობის მიხედვით, კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- დეპოზიტები 30 დღემდე ვადით (საბანკო დეპოზიტები);
- დეპოზიტები 31-დან 90 დღემდე ვადით;
- დეპოზიტები 91-დღიდან 180 დღემდე ვადით;
- დეპოზიტები 181-დან 1 წლამდე ვადით;
- დეპოზიტები 1-დან 3 წლამდე ვადით;
- დეპოზიტები 3 წლიდან ზევით;

ვადიანი დეპოზიტების თანხა არ იცვლება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მათზე ბანკი გასცემს მოთხოვნამდე დეპოზიტებთან შედარებით მაღალ პროცენტს. ეს დეპოზიტები წარმოადგენს მაღალი სტაბილური რესურსების წყაროს ხანგრძლივი ვადით კრედიტისათვის მაღალი პროცენტის ქვეშ.

ფიზიკური პირების დეპოზიტები წარმოადგენს ფიზიკური პირების მიერ ბანკში შესანახად და შემოსავლის მისაღებად სახელშეკრულებო ვადით შეტანილ ანაბრებს. ანაბრები მიიღება სხვადასხვა პირობით და პრინციპით

მოთხოვნამდე ანაბრისა და ვადიანი ანაბრების სახით. ანაბრების მოსიდვას ბანკისათვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ გზით მობილიზდება მოსახლეობის გამოუყენებელი შემოსავლები და ისინი გარდაიქმნება მწარმოებლურ კაპიტალად.

ფულადი საშუალებების მოსიდვის ერთ-ერთი მიმართულება, კომერციულ ბანკებში, ისეთი საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვებაა საყალო ვალდებულებების სახით, როგორცაა: სერთიფიკატები, თამასუქები, ობლიგაციები.

სერტიფიკატი – არის ფასიანი ქაღალდი, რომლითაც დასტურდება ბანკში შეტანილი თანხა და შემტანის უყვლება - მიიღოს შეტანილი თანხა და სერტიფიკატით განპირობებული პროცენტები შენატანის ვადის დამთავრებისას. სერტიფიკატი არის დეპოზიტური და საშემნახველო. დეპოზიტური სერტიფიკატი გაიცემა იურიდიულ პირებს, საშემნახველო სერტიფიკატი – ფიზიკურ პირებს.

სერტიფიკატები კლასიფიცირდება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

გამოშვების წესის მიხედვით:

- სერტიფიკატები ერთჯერადი გამოშვების წესით;
- სერტიფიკატები გამოშვებული სერიებით.

გაფორმების წესის მიხედვით:

- სახელობითი;
 - წარმომდგენზე.
- ვადიანობის მიხედვით:
- ყველა ვადის მიხედვით.
- ყიდვა-გაყიდვის მიხედვით:
- უნაღდოდ (დეპოზიტური სერტიფიკატების მიხედვით);
 - უნაღდოდ და ნაღდი ფულით (საშემნახველო სერტიფიკატები).

თამასუქი – არის ფასიანი ქაღალდი, რომლითაც დასტურდება ბანკის (თამასუქის მიმცემის) უპირობო ფულადი საყალო ვალდებულება – გადაუხადოს ვადის დადგომისას თამასუქის მფლობელს განსაზღვრული თანხა.

თუ ბანკს გამოშვებული აქვს თამასუქები მის შესაძენად, მყიდველი გადაურიცხავს თანხას ბანკ-ემიტენტს. ფიზიკურ პირებს შეუძლიათ შეიძინონ თამასუქები ნაღდ ანგარიშ-ზედაც.

საშუალებების მოზიდვის მიზნით, სააქციო კომერ-ციულ ბანკს შეუძლია გამოუშვას ისეთი საკუთარი სავა-ლო ვალდებულების ფასიანი ქაღალდი, როგორცაა ობ-ლიგაცია.

ობლიგაცია - არის ფასიანი ქაღალდი, რომლითაც დასტურდება სასესხო ურთიერთობა ობლიგაციის მფლო-ბელსა (კრედიტორს) და მის გამომშვევ ბანკს შორის. საკრედიტო ორგანიზაციამ შეიძლება გამოუშვას შემდეგი ობლიგაციები: სახელობითი და წარმომდგენზე; გირაოს უზრუნველყოფით; უზრუნველყოფის გარეშე; პროცენტუ-ლი და დისკონტური; კონვერტირებადი აქციებში; ერთ-დროული დაფარვის ვადით და სერიებით დაფარვის გან-სასვლელი ვადებით.

სხვა მოზიდული საშუალებები წარმოდგენილია ბან-კთაშორისი სესხებით და ბანკთაშორისი დეპოზიტებით.

კომერციულ ბანკს, გარკვეულ პერიოდში, შეიძლება გააინდეს საკრედიტო რესურსების ზედმეტობა ან დრო-ებით მათი ნაკლებობა. ზედმეტი რესურსები შესაძლებე-ლია განთავსდეს სხვა ბანკებში დეპოზიტებზე, ხოლო ნაკლებობა - შეივსოს ბანკთაშორისი სესხით - ბანკთა-შორის ბაზარზე. ბანკთაშორისი ბაზარი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზრის ნაწილს, სადაც საკრედიტო ორგანიზაციების დროებით თავისუფალი ფულადი რესურ-სები ბანკების მიერ მოიზიდება და განთავსდება ერთმა-ნეთს შორის. კომერციული ბანკის საკრედიტო რესურ-სების წყაროებში შესაძლებელია აღმოჩნდეს ცენტრალუ-რი ბანკის სესხები, რომელიც გამოიყოფა რეფინანსირე-ბის წესით ბანკების მიერ ეკონომიკური ნორმატივებისა და სარეზერვო მოთხოვნების სავალდებულო დაცვის მიზ-ნით.

სარესურსო ბაზრის სტაბილურობა, მისი სტრუქტუ-რა, დაბალანსებულობა აქტივებთან, გარანტიან ბანკის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის.

მენსაგე თაჲი. კომერციული ბანკის აქტიუიეი

3.1. საბანკო აქტიუიეი და მათი დანიშნულეა

აქტიუი შეიძლეა რამდენიმე მიმართეით განიმარტოს. აქტიუი არის რესურსი:

- რომელსაც წარსული მოვლენების შედეგად აკონტროლებს საწარმო;
- რომლისგანაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსელა.

აქტიუი არის ბალანსის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გეინვენებს კომპანიის, ფირმის, ორგანიზაციის ძირითად და საბრუნავ საშუალებებს. იგი შეიძლეა იყოს ნაღდი ფული, ძირითადი ფონდები, მატერიალურ-საწარმოო მარაგები, დებიტორული დავალიანებები და სხეა.

კომერციული ბანკის აქტიუეები შეიძლეა დაიყოს ოთხ კატეგორიად:

- საღაროს ნაღდი და მასთან გათანაბრებული საშუალებები;
- ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში;
- სესხები;
- შენობები და მოწყობილობა.

თითოეულ ბანკში აქტიუების სტრუქტურა განსხეევებულია და ბანკის მართვის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, სწორედ აქტიუების ოპტიმალური-რაციონალური სტრუქტურის მიდწეეა. აქტიუების სტრუქტურის ქეეშ, იგულისხმეა ბალანსის სხეადასხეე ხარისხის აქტიუების თანაფარდობა ბალანსის ვალუტის ჯამთან.

ბანკის აქტიუეები კლასიფიცირდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- დანიშნულების;
- ლიკვიდობის;
- რისკის ხარისხის;
- განთავსების ვადების;
- სუბიექტების მიხედვით.

დანიშნულების მიხედვით, აქტიუებს ყოფენ ხუთ კატეგორიად:

- საღაროს აქტიუები-უზრუნველყოფენ ბანკის

ლიკვიდობას;

- მუშა (საბრუნავი) აქტივები—ბანკისათვის მოაქვთ მიმდინარე შემოსავლები;
- ინვესტიციური აქტივები—რომელიც გათვალისწინებულია შემოსავლების მისაღებად მომავალში და სხვა სტრატეგიული მიზნების მისაღწევად;
- კაპიტალიზირებული (ბრუნვისგარეშე) აქტივები —გათვალისწინებულია ბანკის მიერ სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით;
- დანარჩენი აქტივები.

ფულად და მასთან გათანაბრებულ (საღაროს აქტივებს) საშუალებებს მიეკუთვნება:

- საშუალებები ბანკის საღაროში, კვანძგარეთა საღაროებში, ბანკომატებში, საგადაამხდლო დოკუმენტები ვალუტაში (ანგ. 1003, 1004, 1005, 1006, 1012, 1013, 1014, 1015, 1016, 1018);
- ძვირფასი მეტალები - ოქრო (ანგარიშები 1101, 1102);
- საკორესპოდენტო ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ)¹ (ანგ. 1052, 1062);
- სავალდებულო რეზერვისათვის სებ-ში გადარიცხული საშუალებები (ანგ. 1051).

განთავსებულ აქტივებს, ანუ მუშა აქტივებს, შემოსავლის მომტან, საბრუნავ, ანუ რისკიან აქტივებს მიეკუთვნება მოკლე და საშუალოვადიანი სესხები, დაბანდებები ფასიან ქაღალდებში, გაცემული ბანკთაშორისი კრედიტები და ბანკთაშორისი დეპოზიტები.

3.2. აქტივების ლიკვიდობა, რისკიანობა და

ვადიანობა

აქტივის ლიკვიდობა გულისხმობს მისი რეალიზაციის, გაყიდვის, ანუ მატერიალურ ფასეულობათა ნაღდ ფულად გადაქცევის სიადვილეს. ლიკვიდობის ხარისხის

¹ შემდგომში (სებ).

მიხედვით, ბანკის აქტივებს ყოფენ ოთხ ჯგუფად:

- მაღალ-ლიკვიდური აქტივები;
- ლიკვიდური აქტივები;
- ხანგრძლივადიანი ლიკვიდური აქტივები;
- მცირელიკვიდობის აქტივები.

მაღალლიკვიდურ, ანუ პირველი კლასის ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება: ნაღდი ფული, ძვირფასი მეტალები, საშუალებები სებ-ში, საშუალებები არარეზიდენტ ბანკებში, საშუალებები ბანკში პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორებისათვის, საშუალებები – გადაცემული მესამე პირზე მოთხოვნამდე;

ლიკვიდურ აქტივებს, ანუ მიმდინარე აქტივებს მიეკუთვნება: 30 დღემდე ვადით ბანკის სასარგებლოდ შესასრულებელი კრედიტები და გადახდები, ბირჟაზე ადვილადრეალიზებადი ფასიანი ქაღალდები და სხვა.

ხანგრძლივადიან ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება: ბანკის მიერ გაცემული კრედიტები, განთავსებული დეპოზიტები, მათ შორის, ძვირფას მეტალებში ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადით.

მცირელიკვიდურია ისეთი აქტივები, როგორცაა: გრძელვადიანი ინვესტიციები, კაპიტალიზებული აქტივები, ვადაგადაცილებული დაეალიანებები, არაკორტრებადი ფასიანი ქაღალდები, უიმედო ვალები.

საერთაშორისო მოთხოვნებით კომერციულ ბანკებში მაღალლიკვიდური აქტივების წილი მთლიან აქტივებს შორის, უნდა შეადგენდეს 12-დან 15%-ს.

რისკი არის ფინანსური და მატერიალური დანაკარგების წარმოშობის საფრთხე, რომელიც არახელსაყრელი ვითარების შედეგად, დაკავშირებულია საქმიანობის ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან.

ბანკის მიერ საკუთარ თავზე აღებული რისკების ხარისხის შეფასების კუთხით, ყველა აქტივი იყოფა ოთხ¹ ჯგუფად. თითოეული ამ ჯგუფისათვის, დადგენილია ღირებულების დაკარგვის ალბათობის თავისი კოეფიციენტი.

I ჯგუფი – აქტივები რისკის კოეფიციენტით 0; 0,02.

¹ სხვა ქვეყნების პრაქტიკაში მიღებულია დაყოფა ხუთ ჯგუფად.

II ჯგუფი - აქტივები რისკის კოეფიციენტით 0,2;

III ჯგუფი - აქტივები რისკის კოეფიციენტით 0,5;

IV ჯგუფი - აქტივები რისკის კოეფიციენტით 1,0;

პირველი ჯგუფის აქტივებს მიეკუთვნება:

- ბანკში არსებული ნაღდი ფულადი სასხრები ლარებით და ეკონომიკური განვითარების თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეგთო)-ს წევრი ქვეყნების (ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვეცია, შვეიცარია) ვალუტით;
- საქართველოს ეროვნულ ბანკში საკორესპოდენტო და სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები;
- მოთხოვნები ან მათი ნაწილი, რომელიც პირდაპირ და უპირობოდ განპირობებულია საქართველოს ეროვნული ბანკისა და „ეგთოს“ ქვეყნების მთავრობების ან ცენტრალური ბანკების მიერ;
- ბანკის მიერ დაგირავებული (იპოთეკით დატვირთული) აქტივების ნაწილი, მათი უსრუნველყოფით მიღებული სესხების ოდენობით.

მეორე ჯგუფის აქტივებს მიეკუთვნება:

- ნაღდ ფულთან გათანაბრებული დოკუმენტების თანხობრივი მოცულობა ლარებით და „ეგთო“-ს ქვეყნების ვალუტით;
- მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნების და/ან მათი ნაწილი, რომელიც გარანტირებულია „ეგთო“-ს ქვეყნების რეზიდენტი ბანკების მიერ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით წარმოქმნილი მოთხოვნები;
- მოთხოვნები ან/და მათი ნაწილი, რომელიც გარანტირებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ;

- მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უსრუნველყოფილია ამავე ბანკში და/ან „ეგტო“-ს ქვეყნების რეზიდენტ ბანკებში დაჯავშნული ფულადი სახსრებით;
- მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უსრუნველყოფილია „ეგტო“-ს ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით და რომელიც ამ წესის შესაბამისად, კლასიფიცირებული არ არის 0%-იანი რისკის მატარებელი აქტივების კატეგორიაში;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდები;
- მოთხოვნები ან/და მათი ნაწილი, რომელიც უსრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდებით;

მესამე ჯგუფის აქტივებს მიეკუთვნება:

- ნაღდი ფულადი სახსრები და ნაღდ ფულთან გათანაბრებული დოკუმენტების თანხობრივი მოცულობა „ეგტო“-ს არაწევრი ქვეყნების ვალუტებით;
- მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომელიც გარანტირებულია საქართველოს რეზიდენტი ბანკების მიერ;
- მოთხოვნები ან/და მათი ნაწილი, რომელიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოსა და „ეგტო“-ს ქვეყნების ადგილობრივი მთავრობების (მუნიციპალიტეტების) მიერ;
- მოთხოვნები ან/და მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო უწყების) მიერ;
- მოთხოვნები ან/და მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ან კანონ-

მდებლობით გათვალისწინებული სხვა სახელ-
მწიფო უწყების) მიერ გამოშვებული და გარან-
ტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;

მეოთხე ჯგუფის აქტივებს მიეკუთვნება:

- მოთხოვნები ან/და მათი ნაწილი, რომელიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „კბ-თო“-ს არაწევრი ქვეყნების მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;
- მოთხოვნები ან/და მათი ნაწილი, რომელიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „კბ-თო“-ს არაწევრი ქვეყნების მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;
- მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომელიც გარანტირებულია საქართველოს რეზიდენტი ბანკების მიერ;
- კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები;
- ინვესტიციები იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში, გარდა ინვესტიციებისა საქართველოს რეზიდენტი ბანკების საწესდებო კაპიტალში და არაკონსოლიდირებული ინვესტიციებისა შვილეული ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში (რომელიც არ მონაწილეობს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშებაში);
- საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდები;
- მოთხოვნები ან/და მათი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდებით;
- ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება;
- სესხები და დანარჩენი აქტივები, რომელიც ასახული არაა 0,20 და 50%-იანი რისკის მატარებელი აქტივების კატეგორიებში.
- ბანკის მიერ დაგირავებული (იპოთეკით დატვირთული) აქტივების ღირებულებისა და მათი უზრუნველყოფით მიღებული სესხის ოდენობას შორის სხვაობა;

- გარესაბაღანსო ანგარიშებზე რიცხული ბანკის მიერ გაცემული გარანტიები. აქცეპტები, სესხების დაფინანსებისათვის ნაკისრი ვალდებულებები, გასანაღდებელი აკრედიტივები, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისათვის ნაკისრი ვალდებულებები და ბანკის სხვა გარესაბაღანსო ვალდებულებითი შინაარსის მქონე საბანკო ინსტრუმენტები, ძირითადი თანხებით, მიეკუთვნება 100%-იანი რისკის მატარებელი IV კატეგორიის აქტივებს.

რისკის მიხედვით შეწონილი თითოეული კატეგორიის აქტივების მოცულობა გაიანგარიშება, როგორც აქტივების თითოეული კატეგორიის საბაღანსო მოცულობა გამრავლებული ამ კატეგორიის აქტივების შესაბამისი რისკის კოეფიციენტზე.

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობა უდრის რისკის მიხედვით შეწონილი თითოეული კატეგორიის აქტივების მოცულობათა ჯამს გამოკლებული საყურადღებო, არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის (№41 კლასის საბაღანსო ანგარიშებზე რიცხული თანხის შესაბამისი ნაწილი) თანხა.

ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედ ანგარიშთა შესაბამისად, აქტივები, განთავსების ვადების მიხედვით, იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- უვადო აქტივები;
- აქტივები განთავსებული ვადით:
 - მოთხოვნამდე;
 - 30 დღემდე;
 - 31-დან 90 დღემდე;
 - 91-იდან 180 დღემდე;
 - 181-დან 360 დღემდე;
 - 1 წლიდან 3 წლამდე;
 - სამ წელზე ზევით.

აქტივები, თუ ვის გამოყენებაში იმყოფება, კლასიფიცირდება ორ ჯგუფად:

1. აქტივები თვითონ ბანკის გამოყენების ქვეშ;
2. დროებით სარგებლობისათვის სხვა სუბიექტზე

- გადაცემული აქტივები:
- აქტივები, გადაცემული სახელმწიფო სტრუქტურებზე;
- აქტივები, გადაცემული არასახელმწიფო იურიდიულ პირებზე;
- აქტივები, გადაცემული ფიზიკურ პირებზე;
- აქტივები, გადაცემული არარეზიდენტებზე.

3.3. ბანკის აქტივების ხარისხი

ბანკის აქტივების ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ისინი კომერციული ბანკის საქმიანობის ძირითადი მიზნის მიღწევას, ანუ მის სტაბილურ მომგებიან ფუნქციონირებას.

ბანკის აქტივების ხარისხი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

- აქტივების ლიკვიდობით;
- აქტივების შემოსავლიანობით;
- აქტივების რისკიანობით;
- აქტივების ვადის, სტრუქტურის პასივების ვადებით და სტრუქტურასთან შესაბამისობით;
- აქტიური ოპერაციების დივერსიფიკაციით;
- აქტივების ცვალებადობის ნიშნებით.

აქტივებს, ხარისხის მიხედვით, ყოფენ „კარგ“ (სრულფასოვან) და „ცუდ“ (არასრულფასოვან) აქტივებად. აქტივი ითვლება არასრულფასოვანად, თუ ბანკს არ შეუძლია მისი ფულად საშუალებად მთლიანად გადაქცევა მიმდინარე საბალანსო ღირებულებით მისი დაფარვის ვადის ამოწურვამდე.

ერთმანეთისაგან განსხვავდება არასრულფასოვანი და რისკიანი აქტივები. რისკიანს მიეკუთვნება აქტივები, რომელზეც არსებობს ალბათობა - ღირებულების მომავალში დაკარგვისა, ხოლო არასრულფასოვანს - რომლისთვისაც ეს ალბათობა უკვე დადგა.

„ცუდ“ აქტივებს მიეკუთვნება:

- ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანება;
- ვადებში გაუნადღებელი თამასუქები და სხვა

სავალო ვალდებულებები;

- არალიკვიდური და გაუფასურებული ფასიანი ქაღალდები;
- 30 დღეზე მეტი ვადის დებიტორული დავალიანება;
- გაკოტრებული ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშებზე საშუალებები;
- კრისისულ სიტუაციებში მყოფი საწარმოების კაპიტალში ინვესტიციები;
- არარეალიზებადი უძრავი ქონება და სხვა.

აქტივების ხარისხის ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

A1 - შემოსავლიანი აქტივების დონე - გაიანგარიშება შემოსავლის მომტანი აქტივების შეფარდებით აქტივების მთლიან თანხასთან. მსოფლიო გამოცდილების საერთაშორისო სტანდარტებით ამ კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა შეადგენს 76-83%-ს;

A2 - მაღალი რისკის აქტივების კოეფიციენტი - გაიანგარიშება მაღალი რისკის აქტივების შეფარდებით აქტივების მთლიან თანხასთან. ამ კოეფიციენტის დიაპაზონი არ დგინდება;

A3 - საექვო დავალიანების დონე - გაიანგარიშება სესხზე ვადაგადაცილებული დავალიანების შეფარდებით განთავსებული აქტივების მთლიან თანხასთან. მისი სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს, ოპტიმალურია 0-2%.

A4 - რეზერვების დონე - გაიანგარიშება რეზერვების შეფარდებით განთავსებულ აქტივებთან. ოპტიმალურად ითვლება რეზერვების დონე 5-7%-მდე.

A5 - დებიტორული დავალიანების დონე - გაიანგარიშება დებიტორული დავალიანების შეფარდებით შემოსავლის არმომტან აქტივებთან. ამ კოეფიციენტის სიდიდე 40%-ზე ნაკლები უნდა იყოს;

- A6 – აქტივების იმობილიზაციის კოეფიციენტი – გაიანგარიშება იმობილიზებული აქტივების შეფარდებით ნეტო აქტივების თანხასთან. ამ კოეფიციენტის ნორმალური მნიშვნელობაა 15-17%.
- A7 – აქტივების „შთანქმის“ კოეფიციენტი – გაიანგარიშება ნეტო-აქტივების თანხის შეფარდებით ბალანსის ჯამთან. ნორმალურია, როცა ნეტო-აქტივებზე მოდის ბრუტო-აქტივების არანაკლებ 65%-ისა.

და მისი მარჱენებლები

4.1. ბანკის ლიკვიდოტის არსი და მისი

ბანმსაზღვრელი ჟაქტორები

სიტყუა „ლიკვიდოტა“ მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს დენადს, მიმდინარეს, თხეუადს და აძლევს ამა თუ იმ ობიექტს დახასიათებას მოძრაობის, გადაადგილების სიადვილის მხრივ.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინს „ლიკვიდოტა“-ს აქვს გამოყენების ფართო სპექტრი და მახასიათებელია ეკონომიკის სრულიად განსხეუვებული ისეთი ობიექტებისა, როგორიცაა:

- საქონლის ლიკვიდოტა;
- აქტიუების ლიკვიდოტა;
- ბანკის ბალანსის ლიკვიდოტა და სხეა.

საქონლის ლიკვიდოტის ქვეშ, ჩეუულებრივად, იგულისხმება, მყიდველისათვის მისი სწრაფი და უსარალო რეალიზაციის შესაძლებლობა. ასეთივე წესით განისაზღვრება ფასიანი ქაღალდების ლიკვიდოტაც.

აქტიუების ლიკვიდოტა განისაზღვრება, როგორც აქტიუების ფულში ტრანსფორმაციის ოპტიმალური საჭირო დრო.

ბანკის ბალანსის ლიკვიდოტის განსაზღვრის ორი ყველაზე მეტად გავრცელებული შეხედულება არსებობს. ერთის მიხედვით, ბანკის ლიკვიდოტა გაიგივებულია ნადდი ფულისა და სწრაფად კონვერტირებადი აქტიუების მოცულობის ქონებასთან. მეორე კი, ლიკვიდობას განიხილავს, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ობიექტის ხარისხობრივ მახასიათებელს, კერძოდ, შესაძლებლობას - ვადებში დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კომერციულ ბანკებს თავისი საქმიანობის პროცესში ლიკვიდობის პრობლემასთან შეხება აქვს ორჯერ:

- პირველად ფულის ბაზარზე, ბაზრის მონაწილეთა შორის ანგარიშსწორებისას, შუამავლის როლის შესრულების მომენტში. ამ

მხრივ, ბანკის როლი მდგომარეობს მარტივ შუამავლობაში და ლიკვიდობის უზრუნველყოფის ამოცანა დაიყვანება შესაბამისი მოცულობის გადახდების განსახორციელებლად ნაღდი ფულის ქონებაზე.

- მეორედ ბანკი გამოდის, საფინანსო-საკრედიტო სფეროს დამოუკიდებელ სუბიექტად და საქმიანობიდან ღებულობს ფინანსურ შედეგს – მოგებას ან ზარალს. ამ კუთხით, ბანკს შეეხება აქვს საკუთარი საქონლის – საბაკნო მომსახურების ლიკვიდობასთან.

ბანკი, როგორც ფულად-საკრედიტო ურთიერთობების დამოუკიდებელი მონაწილე, უშუალოდ ხდება ვალდებულებათა მოვალე და კრედიტორი. ამ კუთხით, წინა პლანზე წამოიწევა მისი საქმიანობის რისკიანობის საკითხები, როგორც კრედიტორისა და საიმედოობისა, საკუთარი ვალდებულებების შესრულებისას.

ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, რომელიც შეიძლება დაიყოს შიგა და გარე ფაქტორებად. ეს ფაქტორები განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის ხარისხს.

შიგა ფაქტორებს მიეკუთვნება:

- ბანკის ძლიერი კაპიტალური ბაზა;
- ბანკის აქტივების ხარისხი;
- ბანკის დეპოზიტების ხარისხი;
- ზომიერი დამოკიდებულება საგარეო წყაროებზე;
- აქტივების შესაბამისობა პასივებთან ვადიანობის მიხედვით;
- მაღალი დონის მენეჯმენტი;
- ბანკის პირველი კლასის იმიჯი.

ბანკისაგან დამოუკიდებელი ლიკვიდობის განმსაზღვრელ საგარეო ფაქტორებს მიეკუთვნება:

- პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში;
- ფასიანი ქაღალდების და ბანკთაშორისი ბაზრის განვითარების მდგომარეობა;
- რეფინანსირების ორგანიზაციული სისტემები;

- სებ-ის საზედამხედველო ფუნქციების ეფექტურობა.

ბანკის ძლიერი კაპიტალური ბაზა ნიშნავს მნიშვნელოვანი აბსოლიტური სიდიდის საკუთარი კაპიტალის ფლობას, რომელიც წარმოადგენს აქტივების შთანთქმის რისკის მთავარ დაცვით წყაროს, მეანაბრეთა და კრედიტორთა საშუალებების გარანტიას. რაც უფრო დიდია ბანკის საკუთარი კაპიტალი, მით მაღალია მისი ლიკვიდობა.

ბანკის აქტივების ხარისხი განისაზღვრება, ძირითადად, ოთხი კრიტერიუმის საფუძველზე: ლიკვიდობა; რისკიანობა; შემოსავლიანობა; დივერსიფიცირებულობა;

ბანკის აქტივების ლიკვიდობის ხარისხი გამოიხატება რეობს მათი დანიშნულებიდან და უნდა შეესაბამებოდეს საქმიანობის ოპტიმალურ ვარიანტს.

აქტივების რისკიანობა ნიშნავს მათ ფულად ფორმაში გადაყვანისას, დანაკარგის პოტენციური შესაძლებლობების დადგენას. აქტივების რისკიანობის ხარისხი დამოკიდებულია მრავალ სპეციფიკურ ფაქტორზე. რაც უფრო მაღალია ბანკის აქტივების ერთობლივი რისკი, მით ნაკლებია ბანკის ლიკვიდობა.

შემოსავლიანობა, როგორც აქტივების ხარისხის კრიტერიუმი, ასახავს აქტივების ქმედუნარიანობას, ეფექტიანობას, ე.ი. შესაძლებლობას – გამოიმუშაოს შემოსავლები და ამით შექმნას ბანკის განვითარების და მისი კაპიტალური ბაზის გაძლიერების წყარო. რაც უფრო მაღალია შემოსავლის მომტანი აქტივების წილი მთლიან აქტივებში, მით მეტია კაპიტალური ბაზის გაძლიერების შესაძლებლობა, საკუთარ თავზე აღებული რისკებისადმი ძლიერი დაპირისპირება, ე.ი. მაღალია ბანკის ლიკვიდობა. მაგრამ ბანკმა, შემოსავლიანობის მიხედვით აქტივების სტრუქტურის რეგულირებისას, უნდა გამოიჩინოს წინდახედულება, რათა მოგებისადმი თავშეუკავებელმა სწრაფვამ, არ გამოიწვიოს აქტივების დანაკარგი და ლიკვიდობის დაკარგვა.

აქტივების ხარისხის განმსაზღვრელია აგრეთვე მისი დივერსიფიცირებულობა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის რესურსების განაწილების ხარისხს განთავსების სხვადასხვა სფეროში. დივერსიფიცირებულობის მაჩვენებელი

ბელია: აქტივების სტრუქტურა რესურსების დაბანდების ძირითადი მიმართულებების მიხედვით; საკრედიტო დაბანდებათა სტრუქტურა ობიექტებისა და სუბიექტების მიხედვით; ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურა და სხვა. რაც მეტადაა დივერსიფიცირებული აქტივები, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა.

ბანკის დეპოზიტურ ბაზას ქმნიან იურიდიული და ფიზიკური პირების საშუალებები, რომლებიც ბანკის მიერ აკუმულირებულია ანგარიშსწორებისა და მიმდინარე ანგარიშებზე, ვადიან დეპოზიტებში და ანაბრებში. დეპოზიტების ხარისხის კრიტერიუმია სტაბილურობა. რაც უფრო მაღალია დეპოზიტების სტაბილური ნაწილი, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა, რადგან ამ ნაწილში აკუმულირებული რესურსები იმყოფება ბანკში და არ ტოვებს მას.

საგარეო წყაროებიდან, ბანკის ლიკვიდობა დამოკიდებულია ბანკთაშორის კრედიტზე. ის ბანკის ლიკვიდობისათვის არ წარმოადგენს საფრთხეს, პირიქით, იძლევა ლიკვიდურ საშუალებებზე მოკლევადიანი უკმარისობის დაძლევის საშუალებას. თუ ბანკი საჭიროებს დიდი მოცულობის ლიკვიდურ სახსრებს საგარეო წყაროებიდან, მაშინ მას არ გააჩნია საკუთარი ბაზა ბიზნესისათვის, არ აქვს განვითარების პერსპექტივა და განიცდის საკუთარი რესურსების ბაზის არამდგრადობის დიდ რისკს.

კომერციული ბანკის ლიკვიდობაზე სერიოზულ გავლენას ახდენს აქტივების პასივებთან შესაბამისობა დროისა და თანხების მიხედვით. იმისათვის, რომ ბანკმა, კლიენტის წინაშე მასთან შეთანხმებულ დროში, შეასრულოს ინვესტორებთან დაკავშირებული ვალდებულებები, შეანაბრეთაგან მიღებული საშუალებები დროში უნდა იძლეოდეს ამის საშუალებას.

ლიკვიდობა დამოკიდებულია აგრეთვე ისეთ შიგა ფაქტორზე, როგორცაა ბანკის მენეჯმენტი, ე.ი. ბანკის საქმიანობის მართვაზე მთლიანად და მათ შორის, ნაწილობრივ ლიკვიდობის მართვაზე. ეს გამოიხატება საბანკო პოლიტიკის შინაარსში, ბანკის მართვის აპარატის რაციონალურ სტრუქტურაში გადაწყვეტილ მაღალ დონეზე ბანკის სტრატეგიული და მიმდინარე ამოცანები;

ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის შესაბამისობის მექანიზმის შემუშავებაში და სხვა.

ბანკის დადებითი იმიჯი მას აძლევს სხვა ბანკებთან შედარებით უპირატესობას რესურსების მოზიდვის საქმეში და აქედან გამომდინარე, შეუძლია სწრაფად დაძლიოს შეფერხებები ლიკვიდური საშუალებების უკმარისობაში. პირველი კლასის იმიჯი ბანკს აძლევს საშუალებას, დაამყაროს კავშირები საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, რაც ერთ-ერთი პირობაა მისი ფინანსური მდგომარეობისა და ლიკვიდურობის განმტკიცებისათვის.

ქვეყანაში საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ქმნის წინაპირობას საბანკო სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის, უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის სტაბილურ ეკონომიკურ საფუძველს. ამ პირობების გარეშე, ბანკს არ შეუძლია შექმნას მყარი დეპოზიტური ბაზა, მიაღწიოს ოპერაციის მომგებიანობის დონეს, განავითაროს თავისი ინსტრუმენტები, აამაღლოს აქტივობის ხარისხი, სრულყოს მართვის სისტემა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება უზრუნველყოფს ლიკვიდური საშუალებების შექმნის შედარებით ოპტიმალურ ვარიანტს მომგებიანობის დანაკარგების გარეშე.

ბანკთაშორის ბაზრის განვითარება განაპირობებს ბანკებს შორის დროებით თავისუფალი ფულადი რესურსების სწრაფ გადანაწილებას. ბანკთაშორისი ბაზრიდან საკუთარი ლიკვიდობის განმტკიცებისათვის, ბანკს შეუძლია მოიხილოს საშუალებები სხვადასხვა ვადით, მათ შორის, ერთი დღითაც კი.

ამ ფაქტორთაგან მჭიდრო კავშირშია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების რეფინანსირების სისტემა. უშუალოდ ამ წყაროდან, შესაძლებელია ლიკვიდური აქტივების შეესება კომერციული ბანკის მიერ სესხის აღების გზით. საქართველოს ეროვნული ბანკის კომერციულ ბანკებზე საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვასთან. სები აწესებს ლიკვიდობის ნორმატივებს, რომელთა დაცვა კომერციული ბანკებისათვის სავალდებულოა.

4.2. კომერციული ბანკების ლიკვიდობის

მაჩვენებლები და ნორმატივები

კომერციული ბანკების ლიკვიდობის შეფასებით, დაინტერესებულთა:

- საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც ახორციელებს ფულად-საკრედიტო რეგულირებას სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით;
- სააქციონერო ბანკების აქციონერები, რომლებიც დაინტერესებული არიან საწესდებო კაპიტალში დაბანდებული საკუთარი საშუალებების დაცვით და ზრდით;
- კრედიტორები და მენაბრეები, რომლებიც ბანკს აწვდიან დროებით თავისუფალ ფულად საშუალებებს;
- ბანკის ხელმძღვანელობა და პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია კრედიტორებთან და მენაბრეებთან მათი საშუალებების დაცულობაზე;
- პოტენციური პარტნიორები (მათ შორის, სხვა ქვეყნის), რომელთა წინაშე დგას პრობლემა – შეაფასოს ბანკთან თანამშრომლობის მიზნობრიობა.

რამდენადაც კომერციული ბანკების ლიკვიდობაზე გავლენა აქვს სხვადასხვა ფაქტორებს, მაჩვენებლთა სისტემა, რომლითაც შეფასდება კომერციული ბანკის ლიკვიდობა, უნდა მოიცავდეს:

- საკუთარი საშუალებების საკმარისობის მაჩვენებლებს;
- აქტიური და პასიური ოპერაციების განხორციელების დროისა და შინაარსის მიხედვით, შესაბამისობის მაჩვენებლებს;
- აქტივების ხარისხის, ცალკეული აქტიური ოპერაციების რისკიანობის დონის მაჩვენებლებს;
- მაჩვენებლებს, რომელიც ახასიათებს: დეპოზი-

ტური ოპერაციების დივერსიფიცირებულობას, მოზიდული რესურსების მოცულობას და ხარისხს;

- მომგებიანობისა და რენტაბელობის მაჩვენებლებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის მიზნით, CAMEL-ის სისტემით გარე საბანკო ზედამხედველობის კუთხით დადგენილი მაჩვენებლები და ნორმატივებია:

- K^1 - პირველადი კაპიტალი შეფარდებული რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან $X 100$. ამ მაჩვენებელს კაპიტალის საკმარისობის დონეს უწოდებენ. ის ნორმატივის სახით უნდა აღემატებოდეს 12% -ს.
- K^2 - მთლიანი კაპიტალი შეფარდებული რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან $X 100$. ნორმატივის სახით ის უნდა აღემატებოდეს 15% -ს;
- K^3 - ერთი ინსაიდერისათვის (ბანკთან დაკავშირებული პირი: ბანკის მუშაკი, აქციონერი, მასთან ცოლქმრული ან ახლო ნათესაური კავშირის, ან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირი) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა შეფარდებული მთლიან კაპიტალთან $X 100$. ნორმატივის სახით ის არ უნდა აღემატებოდეს 5% -ს.
- K^4 - ყველა ინსაიდერისათვის გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა - შეფარდებული მთლიან კაპიტალთან $X 100$. ნორმატივის სახით ის არ უნდა აღემატებოდეს 25% -ს;
- K^5 - ერთი აუტსაიდერისათვის (არაინსაიდერი ფიზიკური და იურიდიული პირი) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა - შეფარდებული მთლიან კაპიტალთან $X 100$. ნორმატივის სახით ის არ უნდა აღემატებოდეს 15% -ს.

კ⁶ - ათი უმსხვილესი მსესხებლისათვის გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა - შეფარდებული საკრედიტო დაბანდებასთან X 100. ნორმატივის სახით ის არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს.

კ⁷ - ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეფარდებული ხელუხლებელ კაპიტალსა და რეზერვებთან (ბანკის აქციონერთა - პარტნიორთა კაპიტალი) X 100. ნორმატივის სახით ის არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს.

კ⁸ - ლიკვიდური აქტივები შეფარდებული ვალდებულებებთან X 100. ნორმატივის სახით ის უნდა იყოს ტოლი ან აღემატებოდეს 30%-ს.

კ⁹ - საშუალო თვიური ლიკვიდური აქტივები - შეფარდებული საშუალო თვიურ ვალდებულებებთან X 100. ნორმატივის სახით ის უნდა იყოს ტოლი ან აღემატებოდეს 30%-ს.

კ¹⁰ - მიმდინარე აქტივები (დაფარვის ერთ თვემდე ვადის მქონე აქტივები) შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან (ვალდებულებები, რომელთა დაფარვამდე დარჩენილია 1 თვე) X 100. ნორმატივის სახით ის უნდა იყოს ტოლი ან აღემატებოდეს 90%-ს.

• კ¹¹ - იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხა შეფარდებული ხელუხლებელ კაპიტალსა და რეზერვებთან X 100. ნორმატივის სახით ის უნდა იყოს 50%-ის ტოლი ან ნაკლები.

საქართველოს ეროვნული ბანკის გარდა, დაინტერესებული პირებისათვის, ბანკის ლიკვიდობის განსაზღვრისათვის, ხელმისაწვდომია მხოლოდ გამოქვეყნებული ანგარიშგება, რომლის საფუძველზე შესაძლებელია გაანგარიშებულ იქნეს შემდეგი მანკვენებლები:

- კაპიტალის წილი პასივებში;
- კაპიტალის თანაფარდობა ვალდებულებებთან;
- კაპიტალის იმობილიზაცია;
- ფულადი პოზიცია;
- ნეტო-პოზიცია საკორესპოდენტო ანგარიშების მიხედვით;

- ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან;
- რისკიანი აქტივების წილი;
- რეზერვების თანაფარდობა რისკიან აქტივებთან;
- აქტივების რენტაბელობა.

5.1. კომერციული ბანკის შემოსავალი

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის გადიდებით და არაა დაკავშირებული მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

საბანკო სფეროში შემოსავლები – ესაა ფულადი შემოსულობები საწარმოო და არასაწარმოო საქმიანობიდან. შემოსავლების წყაროებს კომერციულ ბანკში წარმოადგენს მისი ძირითადი საქმიანობა – საბანკო ოპერაციები და კლიენტებზე გაწეული მომსახურება და შემოსავლის მომტანი დანარჩენი საქმიანობა, რომელიც ითვლება დამხმარედ.

საბანკო ბიზნესის ელემენტებს მიეკუთვნება: სასესხო ბიზნესი, დისკონტ-ბიზნესი, დაცვითი ბიზნესი, ბანკის საგარანტიო საქმიანობა, ბიზნესი ფასიანი ქაღალდებით, ბიზნესი მენაბრეთა დაფალებით ანაბრების მიღებაზე და ოპერაციების წარმოებაზე, ბიზნესი არატრადიციულ საბანკო მომსახურებაზე და სხვა.

სასესხო ბიზნესი მოიცავს ორ შემადგენელ ელემენტს – სესხების გაცემას კლიენტებზე (იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) და დროებითი სარგებლობისათვის თავისუფალი რესურსების გადაცემას სხვა კომერციული ბანკისათვის.

დისკონტ-ბიზნესი ემყარება ბანკის ოპერაციებს, რომელიც დაკავშირებულია გაუნაღლებელი თამასუქების ჩეკებისა და მოთხოვნების შესყიდვაზე განსასულვრული ფასდაკლებით – დისკონტით.

დაცვითი ბიზნესი ემყარება ნდობით (სატრასტო) და სააგენტო მომსახურების ოპერაციებს. ამ ოპერაციებით ბანკი იღებს შემოსავლებს კლიენტის ქონების მართვისათვის ან ამ ქონებასთან დაკავშირებით კლიენტის დაფალებით კონკრეტული ოპერაციის შესრულებისათვის.

ბიზნესი ფასიანი ქაღალდებით – მოიცავს ისეთ შე-

მადგენელ ელემენტებს, როგორცაა, თვით ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებას და რეალიზაციას ბაზარზე და სხვა ემიტენტების ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის ოპერაციებს მეორად ბაზარზე.

ბანკის საგარანტიო საქმიანობა დაკავშირებულია ბანკის მიერ სხვადასხვა ფორმის გარანტიებისა და თავდებობის გაცემასთან კლიენტზე კრედიტის მისაღებად.

მეანაბრეთა დავალებით ანაბრების მიღებაზე და ოპერაციების წარმოებაზე ბანკი შემოსავლებს ღებულობს: ანგარიშის გახსნისათვის, ანგარიშის წამოებისათვის, ამონაწერების წარდგენისათვის, ნაღდი ფულის გაცემისათვის, ანგარიშის დახურვისათვის.

არატრადიციული საბანკო მომსახურებიდან, ბანკში შემოსავლები მიიღება სალიზინგო, საინფორმაციო, საკონსულტაციო მომსახურებიდან, ვალუტის გაცვლის მომსახურებიდან.

საბანკო სფეროში არსებობს აგრეთვე შემოსავლები გაუთვალისწინებელი (არაორდინალური) ხასიათის ოპერაციებიდან, რაც დაკავშირებულია ერთჯერადი გარიგებით ბანკის ქონების რეალიზაციასთან. შემოსავლები, ასეთ სიტუაციაში წარმოიშობა ქონების საბალანსო ღირებულებაზე საბაზრო ღირებულების მეტობის შემთხვევაში.

კომერციული ბანკის შემოსავლები, თავისი შინაარსისა და ფორმის მიხედვით, შეიძლება დაეყოთ სტაბილურ და არასტაბილურ შემოსავლებად. სტაბილურად ითვლება შემოსავლები, რომელიც დაკავშირებულია კლიენტების საბანკო მომსახურებასთან. არასტაბილურია შემოსავლები, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ ბაზრის ოპერაციებთან, ბანკის დამხმარე საქმიანობასთან და შემთხვევით შემოსავლებთან.

შემოსავლების ფორმირების საკითხი დამოკიდებულია ფასზე. ფასები საბანკო ბაზარზე, როგორც სხვა ბაზარზე, ფორმირდება მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე.

საბანკო შემოსავლები, ძირითადად, იქმნება სასესხო პროცენტისაგან და საკომისიო გასამრეჯელოსაგან (ჯილდოსაგან).

სასესხო პროცენტი წარმოადგენს დროებით სარგებ-

ლობისათვის გასესხებული ღირებულების თავისებურ ფასს, რომელიც დაკავშირებულია კრედიტის ფორმასზე, საკრედიტო დაწესებულების სახეზე, კრედიტის ვადებზე, კრედიტის სახეებზე, საკრედიტო ოპერაციის სახეებზე, პროცენტის დარიცხვის ხერხებზე და სხვა.

კონკრეტულ კომერციულ ბანკში სახელშეკრულებო სასესხო პროცენტი ფორმირდება საკრედიტო რესურსების ფასით და იმ მარჟით, რაც აუცილებელია ამ ბანკისათვის.

საკომისიო გასამრჯელო (ჯილდო) – წარმოადგენს საბანკო მომსახურებისათვის დაწესებულ გადასახადს და მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „commissio“ (დავალება). მისი სიდიდის განსაზღვრას, საფუძვლად უდევს მომსახურების თვითღირებულება და აუცილებელი მოგება.

ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობის გამო, ამა თუ იმ საბანკო მომსახურების გასამრჯელო (ტარიფი) შეიძლება თვითღირებულებაზე მაღალი ან დაბალი აღმოჩნდეს. ამიტომ ბანკი რეგულარულ კონტროლს უწევს მომსახურების თვითღირებულების დონეს და საბაზრო ფასს.

საანგარიშგებო პერიოდში ბანკის ყველა შემოსავლის ერთობლიობას ეწოდება მთლიანი შემოსავლები. მთლიანი შემოსავლებიდან გამოიყოფა შემოსავლების შემდეგი ჯგუფები:

1. ოპერაციული შემოსავლები:

საპროცენტო შემოსავლები;

არასაპროცენტო შემოსავლები;

• საკომისიო შემოსავლები;

• შემოსავლები ფინანსურ ბაზარზე ოპერაციებიდან;

• სხვა ოპერაციული შემოსავლები.

2. შემოსავლები ბანკის დამხმარე (თანაური) საქმიანობიდან;

3. დანარჩენი შემოსავლები.

საბანკო შემოსავლებში მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემოსავლების ძირითადი მასა მიიღება საპროცენტო შემოსავლების სახით, ე.ი. საკუთარი და მოზიდული საშუალებების ფასიანი განთავსების სა-

ფუძველზე. კონკრეტულად, აქ შედის შემოსავლები კლიენტებზე გაცემული სესხებიდან, თავისუფალი სახსრების სხვა ბანკებში განთავსებიდან, აგრეთვე პროცენტული შემოსავლები სავალო ვალდებულებებში დაბანდებიდან. ამ ჯგუფში შეიტანება ასევე შემოსავლები აღრიცხული სალიზინგო, ფაქტორინგული და ფორფეიტინგული ოპერაციების მიხედვით.

არასაპროცენტო შემოსავლები მოიცავს საკომისიო შემოსავლებს, შემოსავლებს ფინანსურ ბაზარზე ოპერაციებიდან, შემოსავლებს საშუალებების გადაფარვიდან უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ბაზარზე ბანკი აწარმოებს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს: ფასიან ქაღალდებზე, უცხოურ ვალუტაზე, ძვირფას მეტალებზე და სხვა. ეს ოპერაციები ხორციელდება პრინციპით „იაფად ყიდვა - ძვირად გაყიდვა“.

შემოსავლები ბანკის დამხმარე საქმიანობიდან ბანკის მთლიან შემოსავლებში შეადგენს უმნიშვნელო წილს. ის მოიცავს შემოსავლებს არასაბანკო საქმიანობიდან, კერძოდ, კონკრეტულ საწარმოებში ინვესტიციებიდან, იჯარიდან, ქონების რეალიზაციიდან და სხვა.

ბანკის დანარჩენი შემოსავლებია:

- ჯარიმები, საურაევები, პირგასამტეხლოები ამოგებული კლიენტებიდან;
- შემოსავალში აღებული სალაროს ზედმეტობა;
- რეზერვების თანხების აღდგენა;
- შემოსავლები წინა წლების ოპერაციების მიხედვით, რომელიც გამოვლინდა და მიღებული იქნა საანგარიშო წელს;
- იჯარით გაცემული ქონების დაცვის და სხვა გადასახდელების ხარჯების დასაფარად მიღებული შემოსავლები და სხვა.

ასეთი შემოსავლების გათვალისწინება შემოსავლების გეგმაში არ ხდება და მას გაუთვალისწინებელ შემოსავლებსაც უწოდებენ.

5.2. კომერციული ბანკების ხარჯები

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით და არაა დაკავშირებული მესაკუთრისათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ბანკებში ხარჯები არის ფულადი საშუალებების გამოყენება საწარმოო (საბანკო) და არასაწარმოო (არასაბანკო) საქმიანობისათვის.

საბანკო ხარჯები კლასიფიცირდება შემდეგ ჯგუფებად:

1. ოპერაციული ხარჯები:
 - საპროცენტო ხარჯები;
 - არასაპროცენტო ხარჯები:
 - საკომისიო ხარჯები;
 - ხარჯები ფინანსურ ბაზარზე ოპერაციების მიხედვით;
 - დანარჩენი ოპერაციული ხარჯები.
2. ხარჯები ბანკის საქმიანობის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;
3. დანარჩენი ხარჯები.

ხარჯებს, რომელიც უშუალოდ საბანკო ოპერაციების შესრულებასთანაა დაკავშირებული, უწოდებენ ოპერაციულ ხარჯებს, ანუ ცვლად ხარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებული საბანკო ოპერაციის მოცულობასთან.

საბანკო ხარჯებში განსაკუთრებული ხედრითი წონითაა წარმოდგენილი ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საშუალებების მოზიდვასთან, უფრო სწორად, მათ გამოყენებაზე გადახდილ თანხებთან. რადგან ეს ხარჯები ხორციელდება პროცენტების სახით, ასეთ ხარჯებს საპროცენტო ხარჯებს უწოდებენ. ამ ხარჯებში შედის იურიდიული და ფიზიკური პირებიდან მიღებულ ანაბრებზე გადახდილი პროცენტები, ბანკთაშორის კრედიტებზე გადახდილი პროცენტები, იურიდიული პირების დემოზიტებზე გადახდილი პროცენტები და სავალო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტები.

კომერციული ბანკი სხვადასხვა საშუაშაველო ოპერაციების განმახორციელებელი ინსტიტუტებიდან (სეპ-ი, ბანკები-კორესპოდენტები, ბირჟები, საკლირინგო პალატები და სხვა), ღებულობს მომსახურებას, რისთვისაც გადახდები წარმოებს საკომისიო გასამრჯელოების სახით. ეს ხარჯები იწოდება საკომისიო ხარჯებად.

კომერციული ბანკები ფინანსურ ბაზრებზე ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი მეტალების შესაძენად გასწევენ ხარჯებს, რომელიც მიეკუთვნება ბანკების მიერ ფინანსურ ბაზარზე ოპერაციების ხარჯებს.

ბანკის საქმიანობის ორგანიზაციის უზრუნველყოფის ხარჯები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. პერსონალის ხარჯები (ხელფასი, პრემიები, მატერიალური დახმარება, სოციალური გასაცემლები, შვებულებისა და სააუადმყოფო ფურცლების მიხედვით გასაცემლები და სხვა);
2. ბანკის განვითარების (რეკლამის, სამივლინებო, წარმომადგენლობითი, თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების) ხარჯები;
3. დანახარჯები შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ექსპლოატაციასთან დაკავშირებით (ცვეთა, მიმდინარე შეკეთება);
4. სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები;
5. ბანკის ფუნქციონირების (საექსპლოატაციო) ხარჯები (კომუნალური მომსახურების, ქონების დაზღვევის, პრესის გამოწერის, ფოსტა-ტელეგრაფის, საკანცელარიო, ტრანსპორტის შენახვის ხარჯები);
6. ხარჯები ბიუჯეტის გადასახადების მიხედვით (მოგების გადასახადის გარდა).

5.3. კომერციული ბანკის მოგება. მოგების

შორმირება და გამოყენება

კომერციული ბანკის მოგება არის ბანკის საქმიანობის ფინანსური შედეგი შემოსავლების ხარჯზე მეტობის სახით. ამ სხვაობის ურყოფითი ნაშთი მიუთითებს კომერციული ბანკის ზარალის სიდიდეზე.

კომერციული ბანკის მოგება წარმოადგენს ბანკის ძირითადი ფონდების განახლების, მისი საკუთარი კაპიტალის ზრდის, დივიდენდების შესაბამისი დონის უზრუნველყოფის, საბანკო მომსახურების განვითარების ხარისხის ამძღვრების ბაზას.

ბანკის მთლიან შემოსავალსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბანკის საბალანსო, ანუ მთლიანი მოგება. კომერციული ბანკის მოგება იყოფა:

1. ოპერაციულ მოგებად – რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ოპერაციულ შემოსავლებსა და ოპერაციულ ხარჯებს შორის. ოპერაციული მოგება მოიცავს: საპროცენტო მოგებას, საკომისიო მოგებას, მოგებას საფინანსო ბაზარზე ოპერაციებდან, დანარჩენ საოპერაციო მოგებას.
 - საპროცენტო მოგებად, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა საპროცენტო შემოსავლებსა და საპროცენტო ხარჯებს შორის;
 - საკომისიო მოგებად – რომელიც განისაზღვრება, როგორც შემოსავლების მეტობა საკომისიო ხარჯებს შორის;
 - მოგება საფინანსო ბაზარზე ოპერაციებიდან – რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ამ ოპერაციების მიხედვით შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.
 - დანარჩენი საოპერაციო მოგება – სხვაობა, რომელიც განისაზღვრება დანარჩენ საოპერაციო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის;

2. მოგებად დამხმარე (თანაური) საქმიანობიდან – სხვაობა დამხმარე საქმიანობიდან შემოსავლებსა და მის განხორციელებაზე გაწეულ ხარჯებს შორის;
3. დანარჩენი მოგება – რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა, დანარჩენ შემოსავლებსა და დანარჩენ ხარჯებს შორის.

კომერციული ბანკის საბოლოო ფინანსურ შედეგს წარმოადგენს წმინდა მოგება. საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება განისაზღვრება მთლიანი მოგებიდან მოგების გადასახადის, აქტივების შესაძლო დანაკრავებისათვის შექმნილი რეზერვების თანხების გამოკლებით. წმინდა მოგებას გადახდილი დივიდენდების გამოკლებისას უწოდებენ კაპიტალიზირებულ მოგებას.

კომერციული ბანკების მოგების გამოყენება – რეგულირდება სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სების ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით. მოგება გამოიყენება შემდეგი მიმართულებით:

- გადასახადების გადახდაზე ბიუჯეტში;
- დივიდენდების აქციონერებზე გასაცემად;
- მოგების კაპიტალიზაციით (საწესდებო და სარესერვო ფონდების, სპეციალური დანიშნულების ფონდების, დაგროვებისა და სხვა ფონდების შესაყსებად).

ფონდების შექმნა და მოგების სხვა მომენტებისათვის გამოყენება კომერციულ ბანკებში რეგულირდება საკრედიტო ორგანიზაციის სადამფუძნებლო და სების ნორმატიული დოკუმენტებით.

კომერციული ბანკის მოგების დონის შეფასების ძირითადი მეთოდებიდან გამოყოფენ: მოგების მიღების წყაროების სტრუქტურულ ანალიზს, ფინანსური კოეფიციენტების სისტემით ანალიზს და ფაქტორულ ანალიზს.

6.1. პასიური ოპერაციების არსი და ღახასიათება

კომერციული ბანკის ოპერაციები, რომლის მეშვეობით ხორციელდება კომერციული ბანკის რესურსების ფორმირება, იწოდება პასიურ ოპერაციებად. პასიური ოპერაციებით მოიხილება უკვე ბრუნვაში არსებული ფულადი საშუალებები და აქტიური ოპერაციების განხორციელების ბაზაზე იქმნება ახალი რესურსები.

არსებობს კომერციული ბანკების პასიური ოპერაციების ოთხი ფორმა:

1. ფასიანი ქაღალდების პირველადი ემისია;
2. ბანკის მოგებიდან ანარიცხები ფონდების ფორმირებასა და ზრდაზე;
3. სხვა იურიდიული პირებისაგან სესხების მიღება;
4. დეპოზიტური ოპერაციები.

პირველი ორი ფორმის პასიური ოპერაციებით იქმნება საკრედიტო რესურსების ისეთი დიდი ჯგუფი, როგორცაა საკუთარი საშუალებები (რესურსები). მესამე და მეოთხე ფორმის ოპერაციებით იქმნება საკრედიტო რესურსების მოზიდული (ნასესხები) საშუალებები.

ბანკის საკუთარი რესურსები წარმოადგენს ბანკის კაპიტალსა და მასთან გათანაბრებულ მუხლებს. აღნიშნული რესურსები იქმნება ისეთი ოპერაციების განხორციელებით, როგორცაა:

- ჩვეულებრივი აქციების ემისია საწესდებო კაპიტალის ფორმირებისათვის;
- პრივილიგებული აქციების ემისია საწესდებო კაპიტალის ფორმირებისათვის;
- საწესდებო კაპიტალში მონაწილეობისთვის წილის მიღება;
- სააქციონერო ბანკების საემისიო შემოსავლები;
- ბანკის სარეზერვო და სხვა ფონდების შექმნა;

- მიმდინარე და გასული წლის გაუნაწილებელი მოგებიდან ანარიცხები;
- ქონების ღირებულების ზრდა გადაფასების ანგარიშზე;
- სადაზღვევო რეზერვების შექმნა და სხვა.

ბანკის საკუთარი რესურსების დანიშნულება, მისი მდგრადობის შენარჩუნებაში დევს და მისი სტრუქტურის შეფასებისას, განისაზღვრება თითოეული მუხლის ხვედრი წონა საკუთარი საშუალებების წყაროების მთლიან მოცულობაში. საკუთარი კაპიტალის მატების ტემპის ზრდის ტენდენცია, ნასესხები წყაროების ზრდასთან შედარებით, ახასიათებს ბანკის მისწრაფებას - უზრუნველყოს საკუთარი კაპიტალური ბაზა და დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, ბანკის მუშაობის დადებითი შედეგები მოგებისა და ფონდების ზრდის სახით.

ბანკის მოზიდული საშუალებების ბაზაზე იფარება ბანკის აქტიური ოპერაციებისათვის ფულად საშუალებებზე მოთხოვნების 90%. მოზიდული საშუალებების როლი ძალზე დიდია. ფულად ბაზარზე იურიდიული და ფიზიკური პირების დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზებით, კომერციული ბანკი აკმაყოფილებს დამატებით მოთხოვნებს საბრუნავ საშუალებებზე კლიენტთა ფართო წრისათვის და ამით ხელს უწყობს ფულის კაპიტალად გადაქცევის საქმეს.

ოპერაციები მოზიდული რესურსების ფორმირების მხრივ - არის ოპერაციები დეპოზიტური და არადეპოზიტური (ნასესხები საშუალებების) წყაროების ფორმირებისათვის. მოზიდული რესურსების ფორმირების ოპერაციების სტრუქტურის შეფასებისას განისაზღვრება:

- თითოეული ჯგუფის წილი მოზიდული წყაროების მთლიან თანხაში;
- ყველა მოზიდული რესურსის წილი ბალანსის ვალუტაში;

მოზიდული რესურსების წილის ზრდა ასახავს ბანკის აქტიურ მუშაობას კლიენტებთან და ამავდროულად, მოითხოვს მათ ეფექტურ გამოყენებას. მოზიდული საშუალებების სტრუქტურის შეფასება კლიენტებისა და ვადების მიხედვით, ბანკს აძლევს საშუალებას - დაადგინოს -

ეკონომიკის რომელი სექტორიდან და რა ვადით მოიზიდება ფულადი საშუალებების ძირითადი მასები.

ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციური პროცესი დეპოზიტური ოპერაციების არასაკმარისი ზრდა, ხშირ შემთხვევაში, განაპირობებს ბანკების მიერ დამატებითი წყაროების მოზიდვას სესხების სახით ეროვნული ბანკიდან ან შვიძინოს ის ბაკნთაშორის ბაზარზე. ასეთი ოპერაციები ხელს უწყობს მთლიანად საბანკო სისტემაში საკრედიტო რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. კომერციული ბანკებისათვის ყურადსადეგია ის ფაქტი, რომ ასეთი რესურსების ზრდა განაპირობებს საკრედიტო რესურსების გაძვირებას, რადგან ეს რესურსები ყველაზე ძვირია მოზიდულ საშუალებებში.

6.2. საბანკო ოპერაციები საკუთარი რესურსების ფორმირებაზე

ბანკის საკუთარი საშუალებების შემადგენლობაში უდიდესი წილი საწესდებო კაპიტალზე მოდის. საწესდებო კაპიტალის სიდიდე, 1999 წლიდან, მინიმალური სიდიდით მოქმედი ბანკისათვის, განისაზღვრება 5 მილიონი ევროს ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში და მისი ფორმირება შესაძლებელია გამოშვებულ აქციებზე შემოსული საშუალებების ანგარიშზე (სააქციონერო ბანკებში) ან დამფუძნებელთა საქმეში ჩადებული წილით (საპაიო ბანკებში).

აქცია – ეს არის ემისიური ფასიანი ქაღალდი, რომელიც უჩვენებს მფლობელის მონაწილეობის წილს ბანკის საკუთარ საშუალებებში და უფლებას – მოგების დივიდენდების სახით მიღებაზე. აქცია არის უეადო ფასიანი ქაღალდი, ე.ი. მიმოქცევაშია მისი გამომშვები ბანკის არსებობის მანძილზე.

საბანკო აქციები შეიძლება იყოს სახელობითი და წარმომდგენს, ჩვეულებრივი და პრივილიგებული. ჩვეულებრივი აქციები, გამომშვების დროისა და რიგითი ნომრის მიუხედავად, უნდა შეიცავდეს ერთი და იგივე ნომი-

ნაღურ ღირებულებას (ლარებში) და აძლევდეს მის მფლობელს ერთი და იგივე უფლებებს.

პრივილიგებული აქციების წილი მთლიანი მოცულობის კაპიტალში არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. პრივილიგებული აქციები შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის იმ პირობით, რომ ერთი ტიპის პრივილიგებულ აქციებს გააჩნდეს ერთი და იგივე ნომინალური ღირებულება და მფლობელებს აძლევდეს ერთი და იგივე უფლებას.

აქციონერული ბანკის შექმნისას (როგორც დახურული, ისე ღია ტიპისათვის) ან მისი საპაიოდან სააქციონეროში რეორგანიზაციისას, წარმოებს ნომინალური ღირებულებით ყველა აქციის - დამფუძნებლებზე დახურული წესით განაწილება. აქციების გამოშვების და მათი კონვერტაციის წესი - შერწყმისას, გაყოფისას და გამოყოფისას განისაზღვრება რეორგანიზებული საკრედიტო რეორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭოს) მიერ და მტკიცდება აქციონერთა საერთო კრების მიერ.

განთავსებული აქციების ასანაზღაურებლად, ბანკი მიიღებს:

- ნაღდ და უნაღდო ფულად საშუალებებს ეროვნულ ვალუტაში;
- ნაღდ და უნაღდო ფულად საშუალებებს უცხოურ ვალუტაში ფიზიკური პირებიდან და უნაღდო უცხოურ ვალუტას იურიდიული პირებიდან;
- საბანკო შენობას და სხვა ქონებას არაფულად ფორმაში: საბანკო შენობების დასაშვები სიდიდე საწესდებო კაპიტალში არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს;

საწესდებო კაპიტალის გაზრდა შესაძლებელია ბანკის მიერ დამატებითი აქციების გამოშვების შედეგად, ადრე გამოშვებული აქციების სრულად დაფარვის შემდეგ. აქციების დამატებითი განთავსება ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შესყიდვის გზით, თავისი სახელითა და თავის ანგარიშზე დამფუძნებლებსა და დანარჩენ ინვესტორებს შორის.

საწესდებო კაპიტალის გაზრდა შეიძლება განხორციელდეს მისი კაპიტალიზაციის გზით, ე.ი. საკუთარი საშუალებების ანგარიშზე. კაპიტალიზაციაზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს: სარეზერვო ფონდის საშუალებები, ეკონომიკური სტიმულირების ფონდის ნაშთები წლის მიხედვით, აქციების რეალიზაციიდან საემისიო შემოსავლები; დარიცხული და აქციონერებზე გაუცემელი დავალიანება, გასული წლების გაუნაწილებელი მოგება.

საკუთარი საშუალებების წყაროებს წარმოადგენს კომერციული ბანკის ფონდები. საქართველოს საბანკო სისტემა მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, იქმნება საერთო რეზერვების ფონდი, რომელიც შედგება ორი - სარეზერვო და მიზნობრივი ფონდებისაგან.

სარეზერვო ფონდი კომერციული ბანკების მიერ იქმნება საქართველოს კანონმდებლობისა და სებ-ის დებულებების შესაბამისად. სარეზერვო ფონდის მინიმალური სიდიდე განისაზღვრება ბანკის წესდებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საწესდებო კაპიტალის 15%-ზე ნაკლები.

სარეზერვო ფონდის ფორმირების წყარო ბანკის საანგარიშგებო წლის მოგებაა. ბიუჯეტში სავალდებულო გადასახადების და სხვა სავალდებულო გადახდების გადახდის შემდეგ. სარეზერვო ფონდის ფორმირებისათვის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიმდინარე წლის წმინდა მოგების ანგარიშზე შექმნილი ფონდების საშუალებათა ნაშთები.

მიზნობრივი ფონდები კომერციულ ბანკებში იქმნება მიმდინარე და წინა წლების გაუნაწილებელი წმინდა მოგებიდან ბანკის წესდებით დადგენილი ნორმატივების შესაბამისად. ასეთ ფონდებს მიეკუთვნება ეკონომიკური სტიმულირებისა და დაგროვების ფონდები.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდის საშუალებები გამოიყენება პრემიების, მატერიალური დახმარების და შემწეობის გასაცემად, ბანკის მუშაკებისათვის აქციების (პაის) შესასყიდად, ბანკის შენობის შესაძენად, ასაშენებლად, სხვადასხვა მოწყობილობების შესაძენად. აგროვების ფონდი - გამოიყენება ბანკის საწარმოო და სოციალური განვითარების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

გარდა ზემოჩამოთვლილი ფონდების საშუალებებისა, კომერციული ბანკი ქმნის ისეთ სხვადასხვა რეზერვებს, როგორცაა: ოქროს, სავალუტო სახსრების, ფასიანი ქაღალდების, ძირითადი საშუალებებისა და სხვა აქტივების გადაფასების რეზერვი.

6.3. დეპოზიტური და დეპოზიტგარეშე ოპერაციები

დეპოზიტურია საბანკო ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია ბანკში იურიდიული და ფიზიკური პირებიდან ფულადი საშუალებების მოზიდვასთან ანაბრებში განსაზღვრული ვადით ან მოთხოვნამდე. დეპოზიტური ოპერაციების წილზე მოდის ბანკის პასივების უმეტესი ნაწილი.

დეპოზიტური ოპერაციების სუბიექტების როლში გამოდის ქვეყანაში ფუნქციონირებადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები და ფიზიკური პირები, ობიექტების როლში კი დეპოზიტები – ის ფულადი საშუალებები ეროვნული ვალუტისა და უცხოური ვალუტის სახით, რომელიც დეპოზიტური ოპერაციების სუბიექტებს შეაქვთ ბანკში.

დეპოზიტური ოპერაციებით აიხსნება კომერციული ბანკის, როგორც საკრედიტო რესურსების თავისუფალ ბაზრებზე შექმნაში საშუამავლო საქმიანობის შემსრულებლის შინაარსი.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, დეპოზიტები იყოფა სამ ჯგუფად:

- ვადიანი დეპოზიტები (სადეპოზიტო სერტიფიკატის სახესვარობით);
- დეპოზიტები მოთხოვნამდე;
- მოსახლეობის საშემნახველო ანაბრები;

დეპოზიტების თითოეული ჯგუფი, თავის მხრივ, კლასიფიცირდება, სხვადასხვა ნიშნით.

ვადიანი დეპოზიტები, ვადების მიხედვით, კლასიფიცირდება შემდეგ ჯგუფებად:

- დეპოზიტები 3 თვემდე ვადით;
- დეპოზიტები 3-დან 6 თვემდე ვადით;
- დეპოზიტები 6-დან 9 თვემდე ვადით;
- დეპოზიტები 9-დან 12 თვემდე ვადით;
- დეპოზიტები 12 თვეზე მეტი ვადით;

სადეპოზიტო სერტიფიკატი – წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომლითაც დასტურდება, რომ ბანკში შეტანილია ვადიანი ანაბარი ფიქსირებული ვადით და საპროცენტო განაკვეთით. არსებობს დეპოზიტური სერტიფიკატის ორი სახე – პირველი, გადაცემის გარეშე იმყოფება მენაბრესთან და გადახდის ვადის დადგომისას, წარედგინება ბანკს, და მეორე - გადასაცემი, რომელიც შეიძლება თავისუფლად გაიყიდოს მეორად ფულად ბაზარზე.

დეპოზიტები მოთხოვნამდე კლასიფიცირდება ანგარიშებზე არსებული საშუალებების ხასიათისა და კუთვნილების მიხედვით: საშუალებები საანგარიშსწორებო, მიმდინარე, საბიუჯეტო ანგარიშებზე; საშუალებები სპეციალურ ანგარიშებზე (ფონდების ეკონომიკური დანიშნულების მიზნების შესაბამისად); საშუალებები ანგარიშსწორებაში; საშუალებები საკორესპოდენტო ანგარიშებზე და სხვა.

საშემნახველო ანაბრები შენახვის თავისებურებებიდან გამომდინარე, იყოფა: ვადიან, ვადიან-დამატებითი შენატანებით; მომგებიან; ფულად-ნივთობრივ მომგებიან; საშემნახველო სერტიფიკატად; პლასტიკურ ბარათებად და სხვა.

ბანკისათვის სხვადასხვა სახის სერტიფიკატს გააჩნია თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები.

დეპოზიტები მოთხოვნამდე ხასიათდება ცენტრალურ ბანკში სარეზერვო მაღალი პროცენტით და ასეთი თანხების გამოყენებისათვის, კომერციულ ბანკს უნდა გააჩნდეს მაღალი ოპერაციული რეზერვი ლიკვიდობის შესანარჩუნებლად, ერიცხება დაბალი პროცენტი ან საერთოდ არ ერიცხება ის.

ვადიანი დეპოზიტებისათვის დგინდება აუცილებელი რეზერვების დაბალი ნორმა და ბანკისათვის მისი ლიკ-

ვიდობის შესანარჩუნებლად საჭიროა მცირე სიდიდის ოპერატიული რესურსები.

საშენმახველო ანაბრები ხელსაყრელია ბანკისათვის, რადგან ის ატარებს გრძელვადიან ხასიათს და შესაძლებლობას ქმნის ხანგრძლივადიანი დაბანდებისათვის. მათ ბანკისთვის არახელსაყრელობაზე მიუთითებს დასარიცხი მაღალი საპროცენტო განაკვეთი, დამოკიდებულება გარე ფაქტორებზე და შესაძლო სწრაფი გადინება ბანკიდან და ბანკის ლიკვიდობის დაკარგვა, ბანკის უუნარობა მყარ საფუძველზე ამ რესურსების განახლებაში.

კომერციული ბანკი, საკრედიტო რესურსების ბაზარზე კონკურენციული ბრძოლის პირობებში, მუდმივად უნდა ზრუნავდეს საკუთარი დეპოზიტების, როგორც როდენობრივი, ისე თვისობრივი გაუმჯობესებისათვის. ის, ამ მიზნებისათვის, იყენებს სხვადასხვა მეთოდებს (საპროცენტო განაკვეთებს, მეანაბრებისათვის სხვადასხვა მომსახურებას და შეღავათს).

რესურსების მოზიდვის დეპოზიტგარეშე წყაროებს მიეკუთვნება:

- სესხების მიღება ბანკთაშორის ბაზარზე;
- საბანკო აქცეპტების გამოშვება;
- კომერციული ქაღალდების გამოშვება;
- სესხის მიღება ევროდოლარების ბაზარზე;
- კაპიტალური ნოტებისა და ობლიგაციების გამოშვება.

ცენტრალიზებული და ბანკთაშორისი კრედიტი ხელსაყრელია იმით, რომ ის შემოდის ბანკ-მსესხებლის განკარგულებაში პრაქტიკულად დაუყოვნებლივ და არ საჭიროებს სარესურსო უზრუნველყოფას, რადგან არ წარმოადგენს ანაბრებს.

7.1. უნაღლო ანგარიშსწორების არსი და ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები

ნებისმიერი ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკა წარმოადგენს მასში შემავალი მილიონობით სუბიექტის რთული ურთიერთობების ფართოდ განტოტვილ ბადეს. ამ ურთიერთკავშირის საფუძველს წარმოადგენს ანგარიშსწორებები და გადახდები, რომლის პოცესში წარმოებს ურთიერთმოთხოვნათა და ვალდებულებათა დაკმაყოფილება.

ფულადი ანგარიშსწორებები ხორციელდება ნაღდი ფულისა და უნაღლო ფულის ფორმის სახით. ნაღდი ფულადი ბრუნვა მოიცავს იმ გადასახადებს, რომელიც ხორციელდება ნაღდი ფულით და ძირითადად, დაკავშირებულია მოსახლეობის შემოსაულებთან და ხარჯებთან. უნაღლო ანგარიშსწორებები ხორციელდება ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე გადარიცხვით, ანუ გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე გადატანით. ანგარიშსწორების ამ ფორმის გამოყენებას მიეყვართ მიმოქცევაში ნაღდი ფულის რაოდენობის და ნაღდი ფულის დაბეჭდვის, გადატანის და შენახვის ხარჯების შემცირებასთან.

უნაღლო ანგარიშსწორების ორგანიზაციის სისტემა ემყარება სამ შემადგენელ:

- უნაღლო ანგარიშსწორების პრინციპების ერთობლიობას, რომლის დაცვა სამეურეო საქმიანობის ყველა სუბიექტისაგან სავალდებულოა. ეს პრინციპებია: ანგარიშსწორებისა და გადახდის განხორციელების სამართლებრივი რეჟიმის განხორციელება; ანგარიშსწორების განხორციელება საბანკო ანგარიშებით; ლიკვიდობის შენარჩუნება იმ დონით, რომელიც უზრუნველყოფს გადახდების შეუფერხებელ განხორციელებას; გადამხდელის აქცე-

ტის (თანხმობის) აუცილებლობას გადახდაზე; გადახდის ვადების დაცვას; კონტროლს ანგარიშსწორების განხორციელების დებულებებისა და წესების დაცვაზე; სახელშეკრულებო პირობების დაცვას;

- ანგარიშთა სისტემას, რომელიც იძლევა უნაღდო ფორმით გადახდებისა ანგარიშსწორების განხორციელების საშუალებას. კლიენტთა სამართლებრივი სტატუსისა და საქმიანობის ხასიათის მიხედვით ანგარიშები იყოფა: ანგარიშსწორების, მიმდინარე, ბიუჯეტურ, სასესიო სადეპოზიტო და სხვა ანგარიშებად;
- გადახდის ფორმების, დოკუმენტების და დოკუმენტბრუნვის სისტემას. თანამედროვე პირობებში გამოყენებული შეიძლება იქნეს უნაღდო ანგარიშსწორების შემდეგი ფორმები: საგადასახადო დავალება; აკრედიტივები; საგადახდო მოთხოვნა-დავალებები; ჩეკები; საინკასო დავალებები.

საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესები დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 2 სექტემბრის №220 ბრძანებით.

უნაღდო ანგარიშსწორების დროს, თანამედროვე პირობებში მოქმედი წესით, ნებადართულია უნაღდო ანგარიშსწორების შემდეგი ფორმების გამოყენება:

- საგადახდო დავალება;
- აკრედიტივები;
- საგადახდო მოთხოვნა-დავალება;
- ჩეკები;
- საინკასო დავალება.

საგადახდო დავალება წარმოადგენს მომსახურე ბანკისადმი ანგარიშის მფლობელის დავალებას მისი ანგარიშიდან განსაზღვრული ფულადი თანხის სხვა პირზე გადარიცხვის შესახებ. დავალება ბანკს წარედგინება დადგენილი ფორმის ბლანკით 3 ან 4 ცალად ბანკების განლაგებიდან გამომდინარე, ისე, რომ მიმღების ბანკში უნდა მივიდეს 2 ეგზემპლარი. დავალების ერთი პირი, გა-

დახდის დასტურად, უბრუნდება გადამხდელს გადარიცხვის შემსრულებელი ბანკიდან. ანგარიშსწორებაში მყოფ მხარეთა შეთანხმებით, საგადახდო დაეალება შეიძლება იყოს:

- ვადიანი – გადახდა საქონლის გადატვირთვის შემდეგ – პირდაპირი აქცეპტის გზით და ნაწილობრივი გადახდა მსხვილი გარიგების დროს;
- ვადამდელი საქონლის ღირებულების გადახდა გადატვირთვამდე ავანსის სახით;
- გადავადებული – როცა გადახდა გადაიდება იმ ვადისათვის, რაც ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

აკრედიტივი წარმოადგენს მყიდველის ბანკის მიერ მიმწოდებლის ბანკისათვის წარდგენილ დაეალებას საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლისათვის ფულის გადახდის თაობაზე იმ პირობით, რომელსაც მყიდველის სააკრედიტივო განაცხადი ითვალისწინებს. ამ განცხადებას მყიდველი აკეთებს მიმწოდებლიდან შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

აკრედიტივი შეიძლება იყოს:

1. დაფარული (დეკონირებული) ან დაუფარავი (გარანტირებული);
2. გამოთხოვითი ან გამოუთხოვარი.

დაფარულ (დეკონირებულ) აკრედიტივს მიეკუთვნება აკრედიტივები, როდესაც გამსხნელი ბანკი მიმწოდებლის ბანკში შესაბამის ანგარიშზე „აკრედიტვები“ დროებით გადარიცხავს გადამხდელის ანგარიშიდან მის საკუთარ სახსრებს ან მისთვის გაცემულ კრედიტს მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებისათვის.

დაუფარავი (გარანტირებული) აკრედიტივი - თუ ანგარიშსწორებაში მონაწილე ბანკებს შორის არსებობს საკორესპოდენტო ურთიერთობა, შეიძლება გაიხსნას შემსრულებელ ბანკში. მას ეძლევა უფლება, აკრედიტივის მთელი თანხით სახსრები ჩამოწეროს აკრედიტივის გამსხნელი ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშიდან.

აკრედიტივი ითვლება გამოთხოვად აკრედიტივად, თუ მასში მკაფიოდ აღინიშნება ეს პირობა. გამოთხოვითი აკრედიტივი შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს გამსხნე-

ლი ბანკის მიერ მიმწოდებელთან (რემიტენტთან) შეთანხმების გარეშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში.

გამოუთხოვარი აკრედიტივის შემთხვევაში, გამხსნელი ბანკი უფლებამოსილებას აძლევს შემსრულებელ ბანკს, დაადასტუროს გამოუთხოვარი აკრედიტივი. ასეთი დასტური გამხსნელი ბანკის ვალდებულებასთან ერთად, არის შემსრულებელი ბანკის მყარი ვალდებულება, განახორციელოს გადახდები აკრედიტივით მისი ყველა პირობის დაცვის შემთხვევაში. დაუმოწმებელი გამოუთხოვარი აკრედიტივის დროს, გადახდაზე პასუხს აგებს მხოლოდ გამხსნელი ბანკი, დამოწმების შემთხვევაში - როგორც გამხსნელი, ისე დამადასტურებელი ბანკი. მისი შეცვლა ან გაუქმება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, არ შეიძლება. ყველა რემიტენტს გაეხსნება ცალკე აკრედიტივი.

საგადასახადო მოთხოვნა-დავალება წარმოადგენს მიმწოდებლის მოთხოვნას მყიდველისადმი, გაანაღდოს ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ღირებულება.

მიმწოდებელი საგადასახდო მოთხოვნა-დავალებას გამოწერს შესაბამისი ფორმის ბლანკზე სამ ცალად და საბუთებთან ერთად გაუგზავნის უშუალოდ მყიდველს, მათგან:

- პირველი ეგზემპლარი წარმოადგენს გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის საფუძველს და ბანკის მიერ ოპერაციის შესრულების შემდეგ, ინახება ბანკის დღიურ საბუთებში;
- მეორე - გადამხდელის მომსახურებ ბანკის მიერ გაიგზავნება მიმწოდებლის მომსახურებ ბანკში;
- მესამე - დაუბრუნდება გადამხდელს ოპერაციის განხორციელების დასტურად. აღნიშნული საგადასახდო მოთხოვნა-დავალება შესასრულებლად ბანკში მიიღება გადამხდელის ანგარიშზე სახსრების არსებობისას. გადახდის ე-

დებს და პირობებს ითვალისწინებს და რეგულირდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით და ბანკისაგან კონტროლს არ ექვემდებარება.

ჩეკი წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. იგი მზადდება ერთიანი ნიმუშის მიხედვით, არის მკაცრი აღრიცხვის ბლანკი და გამოიყენება, როგორც გადახდის საშუალება გადამხდელის მიერ მისი შეესების, მომსახურე ბანკში წარდგენისა და ანგარიშზე ფულადი სასხრების არსებობის შემთხვევაში.

იურიდიული და ფიზიკური პირები ჩეკებს მიიღებენ მომსახურე ბანკებში განაცხადის წარდგენის შემთხვევაში. განაცხადი, გარანტიის განაღდება შემთხვევაში, გაფორმდება ორ ცალად. ერთი ცალი რჩება საბანკო დაწესებულებაში, მეორე - მიეცემა ჩეკის მიმტანს ბანკის დასტურად ჩეკის განაღდებას გარანტიის შესახებ.

ჩეკებს გამოიყენებენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები „ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

საინკასო დავალება წარმოადგენს სპეციალურ საგადახდო დავალებას იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშებიდან მათი თანხმობის გარეშე უვადო წესით სასხრების გადახდევინებაზე, სასამართლო და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახადების დაკისრების შემთხვევაში. გადამხდელის ანგარიშებიდან სასხრების ჩამოწერა ხდება სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, მასთან გათანაბრებული დოკუმენტების პირველი პირების ან დუბლიკატების საფუძველზე.

საინკასო დავალებებს ბანკი მიიღებს გადახდას-დაქვემდებარებული პირის ანგარიშსწორების ანგარიშზე სასხრების არსებობის მიუხედავად. სასხრების უკმარისობის შემთხვევაში, დავალება აიღება კართოთეკაში და განაღდება მოხდება, პირველ რიგში, სასხრების შემოსავლის კვალობაზე მთლიანად ან ნაწილობრივ.

7.2. ბანკთაშორის ანგარიშსწორება

მიმწოდებელებსა და გადამხდელებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელება განაპირობებს ბანკებს შორის ურთიერთანგარიშსწორებას. ასეთი ანგარიშსწორებების აუცილებლობა გამოწვეულია, თუ მიმწოდებელს და მომხმარებელს ემსახურება სხვადასხვა ბანკი და ბანკების ურთიერთდაკრედიტებისას. ბანკთაშორის ანგარიშსწორებებს მიეკუთვნება აგრეთვე ანგარისწორება საკრედიტო ორგანიზაციებსა და მათ ფილიალებს შორის. ასეთ ანგარიშსწორებებს ახასიათებს, როგორც საერთო, ისე განსხვავებული ნიშანთვისებები. ორგანიზაციული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საკრედიტო დაწესებულებებს შორის ანგარიშსწორებისას, ხორციელდება ეკონომიკურად დამოუკიდებელი სუბიექტების ურთიერთობათა რეალიზაცია, ხოლო ფილიალებს შორის ანგარიშსწორებები - ხორციელდება ერთი ბანკის ფარგლებში.

ბანკებს შორის ანგარიშსწორებები ხორციელდება საკორესპოდენტო ურთიერთობათა საფუძველზე. ბანკთაშორისი ანგარიშსწორებების განსახორციელებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამი ძირითადი მეთოდი:

- საშუალებების მოხსნა და წარიცხვა ხდება ცენტრალურ ბანკში ბანკების მიერ გახსნილ ანგარიშებზე;
- ბანკთაშორისი გადახდები განხორციელდეს ნოსტრო და ლორო ანგარიშების მიხედვით, რომელიც გაიხსნება ბანკებს შორის ორმხრივობის საფუძველზე;
- ბანკთაშორისი ანგარიშსწორებები ხორციელდება ანგარიშებით, რომელიც გახსნილია ბანკ კორესპოდენტებში, რომელიც მესამე მხარეს წარმოადგენს ან სპეციალიზებულ საანგარიშსწორებო და საკლირინგო ცენტრებში.

საქართველოში ბანკებს საკორესპოდენტო ანგარიშები გახსნილი აქვს ეროვნულ ბანკში და ერთმანეთს შორის ანგარიშსწორებები ამ ანგარიშებიდან ხორციელდება.

საკორესპოდენტო ანგარიში ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც ანგარიშსწორების ანგარიში – საწარმოში ბანკის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ ანგარიშებზე ინახება კომერციული ბანკების დროებით თავისუფალი საკუთარი და მოზიდული საშუალებები.

ბანკის ფილიალებს შორის, ანგარიშსწორება ხორციელდება შიდასაბანკო საანგარიშსწორებო სისტემის მეშვეობით ყველა იმ საბანკო ოპერაციაზე, რომელიც მითითებულია სებ-ის მიერ გაცემულ ლიცენზიაში.

კომერციული ბანკის ფილიალებს შორის ურთიერთ-ანგარიშსწორება შეიძლება იყოს ორი სახის: პირველი, დაკავშირებულია რესურსების გადაადგილებასთან, ხოლო მეორე, მოიცავს ყველა სხვა ოპერაციას – კლიენტის დავალებით განხორციელებული ანგარიშსწორების ჩათვლით.

კომერციული ბანკი, საზღვარგარეთის ბანკებთან საკორესპოდენტო ურთიერთობების დასამყარებლად, საჭიროებს ცენტრალური ბანკის გენერალურ ლიცენზიას და ურთიერთშეთანხმების მთელი რიგი პირობების შესრულებას. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გაისხნება ორი ტიპის - „ნოსტრო“ და „ლორო“ ანგარიში.

ამ ანგარიშების სახელის არსი აიხსნება იმისდამიხედვით, თუ რომელი ბანკი გასწევს მომსახურებას ანგარიშის მიხედვით და რომელი ბანკი სარგებლობს ამ მომსახურებით. მომსახურების გამწვევ ბანკში ანგარიშს ჰქვია „ლორო“, ხოლო მომსახურების მიმღებ ბანკში – „ნოსტრო“. ის, რაც ერთი ბანკისათვის არის „ლორო“, მეორისათვის არის „ნოსტრო“ ანგარიში.

ბანკებს შორის ანგარიშსწორების გაუმჯობესების გზას წარმოადგენს ბანკთაშორისი კლირინგის განვითარება. კლირინგი წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომლის თანახმად, ფულადი პრეტენზიები (დებიტორული დავალიანება) მონაწილეთა მოთხოვნებზე დაიფარება მათივე ვალდებულებების (კრედიტორული დავალიანება) ანგარიშზე რეალური ფულის გამოყენების გარეშე ან მათი მინიმალური ოდენობის გამოყენებით.

8.1. კრედიტის არსი და დაკრედიტების საბაზო

ელემენტები

კრედიტი ლათინური სიტყვაა და პირდაპირ გაგებით, სესხს, ვალს ნიშნავს. კრედიტი წარმოადგენს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციას და გადაცემას სესხის სახით განსაზღვრული ვადითა და პირობებით დროებითი სარგებლობისათვის. კრედიტი საბაზრო ეკონომიკის პირობებში გვევლინება, როგორც სასესხო კაპიტალი, ე.წ. ფულადი კაპიტალის მოძრაობის ფორმა და გადასვლა სესხში.

კრედიტს შეუძლია აქტიური ზემოქმედება განახორციელოს ფულადი მასის მოცულობაზე და სტრუქტურაზე, საგადამხდელო ბრუნვაზე, ფულის მომოქცევის სიჩქარეზე. კრედიტი ხელს უწყობს მოგების კაპიტალიზაციის პროცესის დაჩქარებას, კერძოდ, წარმოების კონცენტრაციას.

კრედიტის გარეშე, შეუძლებელია უსრუნველყოთ ჩქარი და ცივილიზებული ფერმერული მეურნეობის, მცირე ბიზნესის საწარმოებისა და სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის პროცესი.

კრედიტი ბიზნესით დაინტერესებულ პირებს დიდ დახმარებას გაუწევს, რაც ძირითადად, შემდეგში გამოიხატება:

- აჩქარებს კაპიტალბრუნვას;
- აჩქარებს ძირითადი ფონდების გაფართოებას;
- აჩქარებს ახალი ტექნოლოგიების ათვისებას;
- აჩქარებს მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობას;
- აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს;
- უსრუნველყოფს აუცილებელი ფულადი რესურსებით საწარმოში სახსრებზე წარმოქმნილ უკმარისობაზე დროებით მოთხოვნილებას;
- ხელს უწყობს ქვეყანაში, რეგიონში ფულადი მეურნეობის განმტკიცებას;

- ხელს უწყობს ბიზნესის მომგებიანობის ზრდას და ა.შ.

საბანკო დაკრედიტება ეფუძნება სამ ძირითად საბაზო ელემენტს: 1. დაკრედიტების სუბიექტს; 2. კრედიტის უსრუნველყოფას; 3. დაკრედიტების ობიექტს. დაკრედიტების სისტემის საბაზო ელემენტები განუყოფელია ერთმანეთისაგან მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ერთმანეთს ავსებენ, ზრდიან საკრედიტო საიმედოობას.

აღნიშნულ საბაზო ელემენტებთან ერთად, დაკრედიტების აუცილებელ ელემენტად უნდა გამოდიოდეს ნდობის საკითხი. ის წარმოსდგება თვით კრედიტის არსიდან „credo“ - მჯერა, ვენდობი.

დაკრედიტების სუბიექტები. დაკრედიტების სუბიექტის გარკვევისათვის, საჭიროა გაეარკვიოთ კრედიტის ფორმები, ანუ, ვინ გამოდის სესხის გამცემის როლში. კრედიტის ფორმებს მიეკუთვნება:

1. სახელმწიფო კრედიტი, როდესაც სახელმწიფო კონკრეტული ვადით და განსაზღვრული პირობებით გასცემს კრედიტს;
2. სამეურნეო, ანუ კომერციული კრედიტი, როდესაც საკრედიტო ურთიერთობაში გამოდის მიმწოდებელი და მყიდველი. მიმწოდებელი მყიდველს მისცემს გადახდის გადავადებას, ის კი, გამოწერს თამასუქს, როგორც ვალდებულებას – გადაუხადოს თანხა გარკვეული პერიოდის შემდეგ მიღებული საქონლისათვის. თანამედროვე მეურნეობის პირობებში, საწარმოები ერთმანეთს აძლევენ არამარტო საქონლურ, არამედ ფულად კრედიტსაც;
3. სამოქალაქო (პირადი) კრედიტი, როცა საკრედიტო გარიგების უშუალო მონაწილეს წარმოადგენს ფიზიკური პირი;
4. საერთაშორისო კრედიტი, როდესაც საკრედიტო ურთიერთობების მონაწილეებიდან, ერთ მხარეს წარმოადგენს საზღვარგარეთელი სუბიექტი;
5. საბანკო კრედიტი – თანამედროვე კრედიტის ძირითადი ფორმა, რომელსაც საკრედიტო ურ-

თიერთობათა ორგანიზაციაში გააჩნია განსაკუთრებული შესაძინევი თვისებები.

დაკრედიტების სუბიექტი (სესხის მიმღები) კლასიკური საბანკო საქმის პოზიციიდან, შეიძლება იყოს იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც შეუძლია და გააჩნია მატერიალური და სხვა გარანტიები – მონაწილეობდეს ეკონომიკურ, მათ შორის, საკრედიტო გარიგებებში.

დაკრედიტების სუბიექტების კლასიფიკაცია წარმოდგენლია შემდეგი სახით:

- სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები;
- კოოპერატივები;
- მოქალაქეები, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, მოიჯარეები.
- სხვა ბანკები;
- დანარჩენი მეურნეობები – ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით, ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები.

კრედიტის სახეები. კრედიტის დაყოფა სუბიექტების მიხედვით, დაკრედიტების სისტემაში ბადებს კრედიტის სახეების ცნებას და მის კლასიფიკაციას. კრედიტის სახის ქვეშ განზოგადებულია თვისებათა ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ საკრედიტო გარიგების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობებში. საკრედიტო გარიგების ეკონომიკური თვისებები – ესაა თვით კრედიტის საერთო თვისებები (დაბრუნებადობა, ფასიანობა). ცალკეულ შემთხვევებში, ორგანიზაციული თვისებები შეიძლება განსხვავებულ იქნეს ერთმანეთისაგან – სესხის გაცემისა და დაფარვის წესი შეიძლება იყოს სხვადასხვა. ამ კუთხით, ასხვავებენ სამრეწველო, სავაჭრო და ბანკთაშორის სესხებს.

კრედიტის სახეებად კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმებია:

- კრედიტის კავშირი კაპიტალის მოძრაობასთან;
- კრედიტის გამოყენების სფერო;
- კრედიტის ვადა;
- კრედიტის ფასი;
- კრედიტის უზრუნველყოფა.

კაპიტალის მოძრაობასთან კავშირის მიხედვით, კრედიტი იყოფა ორ ტიპად: ფულადი სესხი და კაპიტალის სესხი. ფულადი სესხი დაკავშირებულია მომხარებით, ანუ სხვა მიზნებისათვის, როცა კრედიტს არ მოაქვს საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატი, იხარჯება და იფარება უკვე დაგროვების ანგარიშებზე. კაპიტალის სესხი გულისხმობს პროდუქტის ზრდას, ახალი ღირებულების მიღებას.

გამოყენების სფეროს მიხედვით, კრედიტი იყოფა წარმოების სფეროსა და მიმოქცევის სფეროს კრედიტად. თანამედროვე პრაქტიკისათვის დამახასიათებელია საშუალებათა დაბანდება, უმეტესად, მიმოქცევის სფეროში და არა, როგორც უნდა იყოს - წარმოების სფეროში. ამას განაპირობებს წარმოებაში კრედიტის სარგებლიანობის მაღალი პროცენტები, რომლის გადახდაც უფრო სავაჭრო-საშუამავლო ფირმებს შეუძლიათ.

ვადიანობის მიხედვით, საბანკო კრედიტები იყოფა:

- მოკლევადიანი სესხი - რომლის გამოყენება არ აღემატება ერთ წელიწადს;
- საშუალოვადიანი სესხი - რომლის გამოყენების ინტერვალი შეადგენს 1-დან 3 წლამდე პერიოდს;
- გრძელვადიანი სესხი - რომლის გამოყენების ვადა აღემატება 3 წელს;

ფასის მიხედვით, კრედიტები შეიძლება კლასიფიცირდეს: სესხები საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, სესხები მაღალი საპროცენტო განაკვეთით, სესხები შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტის საბაზრო ფასი - ეს ის ფასია, რომელიც ფორმირდება ბაზარზე მოცემული მომენტიისათვის საბანკო სესხებზე მოთხოვნებისა და მიწოდების პირობების შესაბამისად. ინფლაციის პირობებში, ეს ფასები ძალზე ცვლადია და ხასიათდება ზრდის ტენდენციით.

სესხები შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით - ეს დაკრედიტებისადმი ინდივიდუალური მიდგომის შედეგია. ის წარმოიშობა აქციონერებთან ურთიერთობის შედეგად, ეროვნული ბანკის ცენტრალიზებული კრედიტების რეფინანსირებისას, ბანკის თანამშრომლების დაკრედიტებისას.

უზრუნველყოფის მიხედვით, სესხებს შეიძლება გააჩ-

ნდეს პირდაპირი უზრუნველყოფა, არაპირდაპირი (ირიბი) უზრუნველყოფა, ნაწილობრივი უზრუნველყოფა და საერთოდ არ გააჩნდეს ის.

ცენტრალისებულ საბანკო სისტემაში ყველაზე მეტად საიმედოდ მიჩნეულია ის კრედიტი, რომლის უზრუნველყოფა ლიკვიდურია, საკმარისია და არსებობს გარანტია მის დაბრუნებაზე. ეს არ ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ კრედიტებზე უზრუნველყოფის გარეშე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის გაიცემა პირველი კლასის მსესხებულზე.

დაკრედიტების ობიექტი. სიტყვა „ობიექტი“ ლათინურიდან მომდინარეობს და ნიშნავს საგანს, ნივთს, რომლისთვისაც გაიცემა სესხი და რისთვისაც დაიდება საკრედიტო გარიგება. დაკრედიტების ობიექტებს წარმოადგენს საწარმოო მარაგის ელემენტები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, საშუალებები ანგარიშსწორებაში, ბრუნვაში, დანახარჯებში, დანახარჯები მემცენარეობაში, მეცხოველეობაში და ა.შ.

გრძელვადიანი დაკრედიტების ობიექტი შეიძლება იყოს:

- საწარმოო ობიექტების მშენებლობა;
- საწარმოო ობიექტების რეკონსტრუქცია, ტექნიკური გადაიარაღება, გაფართოება;
- ტექნიკის, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა;
- ახალი პროდუქციის გამოშვების ორგანიზაცია.

საბანკო დაკრედიტების ობიექტი შეიძლება იყოს კერძო და ერთობლივი. კერძო მაშინაა დაკრედიტების ობიექტი, თუ ის, რისთვისაც გაიცა სესხი, განზოგადდება და გამოიყოფა სხვა სესხებისაგან. ერთობლივია ობიექტი, როცა კრედიტი გაიცემა მრავალი ობიექტის ქვეშ, რომელიც ერთმანეთისაგან გამოყოფილი არაა და ერთიანდება ერთ (საერთო, ერთობლივ) ობიექტად.

8.2. საბანკო დაკრედიტების თანამედროვე

სისტემის თავისებურებები, პირობები, ეტაპები

საბანკო სესხების კლასიფიკაცია, მისი კრიტერიუმები, განუყრელადაა დაკავშირებული დაკრედიტების პრინციპებთან. უპირველეს მოთხოვნას, თანამედროვე საკრედიტო სისტემისადმი, წარმოადგენს კრედიტის მიზნობრივი ხასიათი, სესხის სრულად და ვადებში დაბრუნება, მათი უზრუნველყოფა. საერთო ეკონომიკურ პრინციპს დაკრედიტებაში წარმოადგენს დიფერენცირების პრინციპი, რომელიც გამოიხატება ბანკის არაერთგვაროვან მიდგომაში, როგორც სუბიექტის, ობიექტის, ისე კრედიტის უზრუნველყოფის მხრივ. დაკრედიტების თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის მარჯა, რისკის შემცირება. მნიშვნელოვან მომენტად იქცევა აგრეთვე დაკრედიტების ტექნოლოგია, სესხების გაცემისა და დაფარვის წესების დაცვა და საკრედიტო ოპერაციების ანალიზი.

დაკრედიტების თანამედროვე სისტემის არსებითი ნიშან-თვისებაა მისი სახელშეკრულებო საფუძველი. საკრედიტო ხელშეკრულება დაკრედიტების სისტემაში წარმოადგენს ძალას, რომელიც ამაგრებს, როგორც კრედიტორის, ასევე მსესხებლის პასუხისმგებლობას.

დაკრედიტების პირობების ქვეშ, იგულისხმება ყველა ის მოთხოვნა, რომელიც წაეყენება დაკრედიტების საბაზო ელემენტებს - სუბიექტებს, ობიექტებს და კრედიტის უზრუნველყოფას. ეს ნიშნავს, რომ ბანკი არ დააკრედიტებს ნებისმიერ კლიენტს. ეს გადაწყვეტილება მიიღება კლიენტის კრედიტუნარიანობისა და სხვა აუცილებელი ინფორმაციის შესწავლის შემდეგ. დაკრედიტების ობიექტი შეიძლება იყოს მსესხებლის არა ყველა მოთხოვნა, არამედ მხოლოდ ის, რაზედაც არსებობს საგადაამხდლო შეფერხებები.

დაკრედიტების საბაზო ელემენტებისადმი დაკრედიტების პირობები მოიცავს შემდეგი მოთხოვნების დაცვას:

- საკრედიტო გარიგების ორივე მხარის ინტერესების დამთხვევას;

- შეეძლოს ბანკ-კრედიტორს და მსესხებელს თავისი ვალდებულებების შესრულება;
- დაცული იქნეს დაკრედიტების პრინციპები;
- გირაოს რეალიზაციის შესაძლებლობას;
- ბანკის კომერციული ინტერესების დაცვას;

დაკრედიტების ეტაპები. დაკრედიტების პროცესი შესაძლებელია დაიყოს რამდენიმე ეტაპად. პირველი ეტაპი გულისხმობს მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებას. კერძოდ, ბანკის მხრიდან მომდინარეობს საკრედიტო პროდუქტების, მიზნებისა და პირობების კლიენტებზე წარდგენა სესხის მიღებისათვის სასურველ პირობებთან ერთად. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობს კომერციული ბანკის საკრედიტო განყოფილება და მისი სამუშაოები. ამ ეტაპზე უნდა გადაწყდეს კლიენტის დაკრედიტების საკითხი. თუ კრედიტის თანხის მოცულობა შედარებით მცირეა, გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო განყოფილების გამგე, ხოლო დიდი კრედიტების შემთხვევაში, საკითხი განიხილება საკრედიტო კომიტეტზე, რომლის სხდომაზე შემუშავდება ყველა ეკონომიკური და იურიდიული საკითხი, მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება განხილულ სესხებზე, განისაზღვრება დაკრედიტების კონკრეტული პირობები.

მეორე ეტაპი გულისხმობს საკრედიტო დოკუმენტაციის გაფორმებას. ბანკის მუშაკები აფორმებენ საკრედიტო ხელშეკრულებას, გამოწერენ განკარგულებას კრედიტის გაცემაზე, ქმნიან სპეციალურ დოსიეს კლიენტ-მსესხებელზე.

მესამე კრედიტის გამოყენების ეტაპზე ხორციელდება კონტროლი საკრედიტო ოპერაციებზე: დაკრედიტების ლიმიტის (საკრედიტო ხაზის) დაცვით, კრედიტის მიზნობრივი გამოყენებით, სასესხო პროცენტის გადახდით, სესხის სრულად და თავისდროულად დაბრუნებით. ამ ეტაპზე გრძელდება კლიენტის კრედიტუნარიანობისა და მუშაობის ფინანსური შედეგების ანალიზი. აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოებს შეხვედრები, საუბრები კლიენტებთან, ზუსტდება დაკრედიტების პირობები და ვადები.

8.3. დაკრედიტების ორგანიზაციულ-ეკონომიკური

საფუძვლები

დაკრედიტების სისტემა სუბიექტის, ობიექტის, კრედიტის სახეების მრავალფეროვნებასთან ერთად, წარმოადგენს ერთ სქემას, რომელიც მოიცავს:

1. დაკრედიტების მეთოდებს და სასესხო ანგარიშების ფორმებს;
2. ბანკში წარსადგენ საკრედიტო დოკუმენტაციას;
3. პროცედურებს კრედიტის გაცემის მიხედვით;
4. სესხის დაფარვის წესს;
5. კონტროლს დაკრედიტების პროცესში.

თუ დაკრედიტების ეტაპები გვიჩვენებს განსაზღვრული, აუცილებელი პროცედურების თანმიმდევრობას, მაშინ დაკრედიტების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სქემის ელემენტები გამოხატავს საკრედიტო პროცესის ტექნოლოგიას.

დაკრედიტების მეთოდები და სასესხო ანგარიშების ფორმები. დაკრედიტების მეთოდი წარმოადგენს წესების ერთობლიობას, რომლის დახმარებითაც, ბანკი ახორციელებს კრედიტის გაცემას და კრედიტზე ვალის დაფარვას. დღეისათვის დაკრედიტების სამი მეთოდი გამოიყენება. ესენია:

1. ბრუნვის მიხედვით დაკრედიტების მეთოდი;
2. ნაშთის მიხედვით დაკრედიტების მეთოდი;
3. ბრუნვით-საღდობრივი (ნაშთობრივი) მეთოდი.

ბრუნვის მიხედვით დაკრედიტებისას, კრედიტი მიიყვება დაკრედიტების ობიექტის მოძრაობას, ბრუნვას. კრედიტი ავსებს ავანსის სახით მსესხებელის დანახარჯებს მისი რესურსების გამოთავისუფლებამდე. სესხის სიდიდე იზრდება მასზე მოთხოვნების ზრდასთან ერთად და იფარება ამ მოთხოვნების შემცირებასთან ერთად. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს კრედიტზე მოთხოვნების სინქრონულ უწყვეტ მოძრაობას შემცირებისა და ზრდის პარალელურად და არის უწყვეტად განახლებადი პროცესი.

ნაშთის მიხედვით დაკრედიტებისას, კრედიტი დაკავშირებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის იმ ნაშთთან და ხარჯებთან, რომელიც საჭიროებს სესხებზე მოთხოვნებს. კრედიტი, ამ შემთხვევაში, გაიცემა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთის ქვეშ, კომპენსაციის წესით და არა აუცილებელი მასალების შექმნაზე დანახარჯების ავანსირებისათვის.

ბრუნვით-საღდობრივი მეთოდით დაკრედიტებისას, აღნიშნული მეთოდები ერწყმის ერთმანეთს და პირველ სტადიაზე კრედიტი დაიფარება მკაცრად განსაზღვრულ დროში და შესაძლებელია, არ დაემთხვეს გამოთავისუფლებული რესურსების მოცულობას. პირველ სტადიაზე კრედიტი გაიცემა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და დანახარჯების ბრუნვაზე. მეორე სტადიაზე დაიფარება სესხი კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ვადიანი ვალდებულებების ნაშთების ბაზაზე.

კრედიტის ორგანიზაციული მოძრაობა. მისი გაცემა და დაფარვა აისახება კლიენტისათვის ბანკის მიერ გახსნილ სასესხო ანგარიშებზე. სასესხო ანგარიში ისეთი ანგარიშია, რომელზეც აისახება კლიენტის ვალი (დავალიანება) ბანკიდან მიღებულ სესხზე, სესხების გაცემა და დაფარვა. ყველა სასესხო ანგარიშისათვის დამახასიათებელია მათი საერთო კონსტრუქცია: კრედიტის გაცემა აისახება ანგარიშის დებეტში, დაფარვა – კრედიტში, კლიენტის დავალიანება მოცემულია ყოველთვის სასესხო ანგარიშის მარცხენა – დებეტის მხარეს.

სქემა 1.

დებეტი	კრედიტი
კრედიტის გაცემა	კრედიტის დაფარვა
სასესხო ანგარიშის საღდო (დავალიანება კრედიტის მიხედვით)	

ერთიანი სქემის მიუხედავად, სასესხო ანგარიშები ერთმანეთისაგან განსხვავდება: გახსნის მიზნით და ბრუნვასთან ურთიერთკავშირის მიხედვით.

სასესხო ანგარიშები შეიძლება იყოს: დეპოზიტურ-სასესხო, სასესხო ანგარიშები საკრედიტო ბრუნვით, მაგროვებელ-ხარჯვითი სასესხო ანგარიშო.

დეპოზიტურ-სასესხო ანგარიშის გახსნისას, კლიენტი იძენს უფლებას, ბანკში დეპოზიტებზე არსებული საკუთარი საშუალებების ამოწურვისას, განსაზღვრული ოდენობის სესხის მიღებაზე. სადეპოზიტო ანგარიშიდან სასესხოზე გადასვლა ხდება მაშინ, როდესაც სალდო მასზე ხდება სადებეტო.

სასესხო ანგარიში საკრედიტო ბრუნვით გაიხსნება ვალუტით კრედიტის ხარჯვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში, კრედიტი მიიღება ერთჯერადი წესით მისი შემდგომი გამოყენების მიზნით სადებეტო სალდოს შემცირებისა და თანდათანობით დაფარვით. ამავე კლასს მიეკუთვნება მაგროვებელ-ხარჯვითი სასესხო ანგარიში, რომლითაც შეთანაწყობილია საშუალებების მოძრაობა, როგორც კრედიტის, ისე დებეტის მიხედვით.

ბრუნვასთან ურთიერთკავშირის მიხედვით, ასხვავებენ სამი ტიპის სასესხო ანგარიშს:

1. ბრუნვით საგადამხდელოს;
2. სალდობრივ-კომპენსაციურს;
3. ბრუნვით-სალდობრივს.

ბრუნვით-საგადამხდელო სასესხო ანგარიშის გახსნისას, კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა, გაანაღდოს საგადამხდელო დოკუმენტები სხვადასხვა მოთხოვნაზე, ანგარიშები საქონელზე და მომსახურებაზე, ჩეკები შრომის ანაზღაურებაზე, გადასახდელების გადარიცხვა და სხვა გადასახდელების განაღდება. ყველა ამ გადასახადისათვის, საკმარისია ერთი ბრუნვით-საგადამხდელო ან ბრუნვით-სალდობრივი სასესხო ანგარიში, რომელზეც შემოვა კლიენტისაგან გადასახადები სასესხო დავალიანების დასაფარავად.

ყველა გადასახადის საწარმოებლად, კლიენტს შეუძლია გამოიყენოს სალდობრივ-კომპენსაციური ანგარიში, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, მას მოუწევს იმდენი ანგარიშის გახსნა, რამდენსაც საჭიროება მოსთხოვს მას. ლიენტს შეიძლება ჰქონდეს იმდენი სალდობრივ-კომპენსაციური ანგარიში, რამდენიც პირადი დაკრედიტების ობიექტი

გააჩნია. ასეთი სასესხო ანგარიში, დანარჩენ ორთან შედარებით, საჭიროებს დიდ ტექნიკურ გაფორმებას, მაგრამ მისი მეშვეობით, მეტი ყურადღება ექცევა და კონტროლი გაეწევა კრედიტის მიზნობრივად გამოყენებას. ბრუნვით საგადაამხდლო სასესხო ანაგრიშების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს კონტოკორენტი, რომელზეც აისახება საწარმოს ყველა გადასახადი. მასზე აისახება ხარჯები, როგორც ძირითადი საწარმოო საქმიანობის, ისე ძირითადი ფონდების გაფართოება-მოდერნიზაციისათვის. ძირითადად, ასეთი ანგარიშები გაეხსნებათ პირველი კლასის კრედიტუნარიან მსესხებლებს.

ბანკის კლიენტი თვითო ირჩევს, დაკრედიტების რომელი ფორმა აწყობს მას, რომელი სასესხო ანგარიშის გახსნაა მიზანშეწონილი, რომელი რეჟიმია ხელსაყრელი სესხის მიღებისა და დაფარვისათვის.

დაკრედიტების დოკუმენტაცია. ყოველი ეკონომიკური გარიგება, მათ შორის, საკრედიტო, მოითხოვს განსაკუთრებულ დოკუმენტალურ გაფორმებას. ზეპირი მოლაპარაკებები, რომელიც ბანკსა და კლიენტს შორის მიმდინარეობს, დაკრედიტების პირველ ეტაპზე მთავრდება კრედიტის მიზნობრივი დანიშნულებისათვის აუცილებლობის დასაბუთების წარდგენით. გარდა ამისა, ბანკს სჭირდება ასევე მასალები, რომლითაც დაადგენს კლიენტის ფინანსურ მდგომარეობას, მის კრედიტუნარიანობას. ბანკისათვის აუცილებელია ამ მიზნით წარედგინოს კლიენტს ბალანსი წლის დასაწყისისათვის. საზღვარგარეთის პრაქტიკაში არის ფაქტები 2-3 წლის ბალანსის წარდგენისა. ბალანსთან ერთად, საწარმო წარადგენს ბანკში ანგარიშებს მოგებისა და ხარალის შესახებ.

კრედიტის აუცილებლობის დასაბუთება (მას ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას უწოდებენ) მოიცავს კლიენტის თხოვნას, კონკრეტული მიზნისათვის სესხის მიღებაზე, სესხის სიდიდეზე განსაზღვრული პროცენტისა და ვადის შესაბამისად.

ბანკში, გარდა წერილობითი მიმართვისა, სესხის მისაღებად გამოიყენება სპეციალური დოკუმენტალური ფორმა საერთო განცხადება-ვალდებულება, რომელშიც აისახება მსესხებლის მიერ იმ ვალდებულებების შესრუ-

ლების პირობა, რომელიც გამომდინარეობს საკრედიტო გარიგებიდან.

განცხადება-ვალდებულების ფორმასთან ერთად, საკრედიტო დოკუმენტაციაში გამოიყენება ვადიანი ვალდებულების ის ფორმაც, რომლითაც ფიქსირდება მსესხებლის ვალდებულება – დაფაროს მოცემული კრედიტი კონკრეტულ ვადაში ფიქსირებული თანხით.

განმსაზღვრელ დოკუმენტს, საკრედიტო გარიგებაში, წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება საკრედიტო გარიგებაში მონაწილე მხარეთა უფლებები და მოვალეობები. ის მოიცავს მხარეთა ეკონომიკურ და იურიდიულ პასუხისმგებლობას.

საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად, აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეებს შორის შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება გირაუნობაზე. თუ გირაოს მექანიზმი არსებობს საკრედიტო გარიგებაში, მაშინ ხელშეკრულება გირაუნობაზე აუცილებლად უნდა იქნეს დადებული. ასეთ შემთხვევაში, გირაოზე ხელშეკრულების სიმყარისათვის, ბანკისა და კლიენტის ხელმოწერები დამატებით დასტურდება ნოტარიულად.

დაკრედიტების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, კლიენტი ბანკში წარადგენს სხვა დოკუმენტაციასაც (გარანტიები, მესამე პირის თავდებობა).

კრედიტის გაცემის პროცედურა. დაკრედიტების სუბიექტისა და ობიექტის პოზიციური შეფასება, კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხი, საკრედიტო ხელშეკრულების დადება და ეკონომიკური და იურიდიული პარამეტრების განსაზღვრა, იძლევა საფუძველს ბანკიდან კრედიტის გასაცემად. კრედიტი გაიცემა ბანკის კომპეტენტური მუშაკის წერილობითი განკარგულების საფუძველზე. ბანკში მიღებული კომპენტაციის დროის თანახმად, ეს პირი შეიძლება იყოს ბანკის პრეზიდენტი, მისი მოადგილე, საკრედიტო სამმართველოს უფროსი, შესაძლებელია, ბანკის საკრედიტო ინსპექტორი. განკარგულება კრედიტის გაცემაზე მიეწოდება იმ განყოფილებას, რომელიც აწარმოებს კლიენტებთან ანგარიშსწორებით და საკრედიტო ოპერაციებს. მასში ნაჩვენებია კლიენტის გვარი და სახელი, პირადობის დამადასტურებელი საბუთის

რეკვიზიტები, თანხა, ანგარიში, რომლის მიხედვითაც უნდა გაიცეს კრედიტი.

განკარგულება ადგენს კრედიტის მიმართულებას. ეს დამოკიდებულია კლიენტის სურვილზე და კონკრეტულ სიტუაციაზე. კრედიტის გაცემა, მიმართულების მიხედვით, შეიძლება იყოს სამი სახის:

1. სესხი ჩაირიცხება კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე;
2. სესხი, ანგარიშსწორების ანგარიშის გამოტოვებით, წარედგინება სხვადასხვა საგადამხდელო დოკუმენტების გასანაღდებლად, როგორც საქონლურ, ისე არასაქონლურ ოპერაციებზე;
3. სესხები მიიღება ადრე აღებული კრედიტების დასაფარავად.

ყველა შემთხვევაში, დებეტდება სასესხო ანგარიში და კრედიტდება კლიენტის ან ანგარიშსწორების ანგარიში (პირველი შემთხვევა) ან სხვა კლიენტების კრედიტორი საწარმოები (მეორე შემთხვევა) ან სხვა სასესხო ანგარიში, დაეალიანება, რომელიც ექვემდებარება დაფარვას დადგენილ ვადებში (მესამე შემთხვევა).

კრედიტის გაცემა, მოცულობის მიხედვით, განსხვავდება ერთმანეთისაგან, აქაც შეიძლება იყოს სამი ვარიანტი:

1. სესხი მთლიანი თანხით ჩაირიცხება ანგარიშსწორების ანგარიშზე, საიდანაც ხდება მისი თანდათანობით ხარჯვა;
2. კრედიტის მთლიანი მოცულობით მიღების უფლებას კლიენტი ახორციელებს თანდათან, დამატებით ფულად რესურსებზე მოთხოვნების წარმოშობის შესაბამისად;
3. კლიენტმა შეიძლება უარი თქვას კრედიტის იმ მთლიანი მოცულობის მიღებაზე, რომელიც წინასწარ იქნა დაფიქსირებული საკრედიტო ხელშეკრულებაში.

კრედიტის მიმართულების მეორე ვარიანტი ეკონომიკურად კლიენტისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე პირველი. რადგან სესხის მთლიანი თანხით მიღება, შემდეგში მისი თანდათანობითი დახარჯვის მიზნით, აძვი-

რებს ბანკის საკრედიტო მხარდაჭერას. ბანკს, სესხის სარგებლობისათვის, პროცენტი ერიცხება კრედიტის ფლობის ყოველ დონეზე მას შემდეგ, რაც ის მოხვდება სასესხო ანგარიშზე. კრედიტით მიღებული ფულადი საშუალებების ანგარიშსწორების ანგარიშზე დიდხანს გაჩერებას, მიუყვართ კრედიტით სარგებლობისათვის სახდაურის გაზრდასთან, ამიტომ, სასურველია ასეთი მოვლენების თავიდან აცილება.

კლიენტისაგან სხვადასხვა, თანაბარ პირობებში, კრედიტის მიღებაზე უარი შეიძლება ბანკისათვის შემობრუნდეს პოტენციურ სარაღად. ბანკს, კლიენტის გამო, შეუძლია დაუშვას თავისი რესურსების მოცდენა, რადგან მათი უმეტესი ნაწილი, თავის მხრივ, მოზიდულია ფასიან საფუძველზე. ასეთ პირობებში, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ასეთი სარაღის კომპენსაცია. კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა უნდა დაფიქსირდეს საკრედიტო ხელშეკრულებაში.

კლიენტის განკარგულებაში მიღებული კრედიტის სიდიდე, მთლიანად დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე. პირველ რიგში, კრედიტის სიდიდე განსაზღვრულია საკრედიტო ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული თანხა არის კრედიტის მაქსიმალური თანხა, რომელიც, არსებითად, წარმოადგენს დაკრედიტების ლიმიტს. მას, მეორენაირად, უწოდებენ საკრედიტო ხაზს, საკონტროლო ციფრს. დაკრედიტების ლიმიტი შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად დანიშნულების მიხედვით, გამოიყოფა დავალიანების ლიმიტი და გასაცემი ლიმიტი. პირველით ლიმიტირდება სასესხო დავალიანება გარკვეული თარიღისათვის, მეორე - აფიქსირებს არა ნაშთს, არამედ გაცემული სესხის მოცულობას.

მოქმედების ვადის მიხედვით, გამოიყოფა გამოსავალი და შიდა წლიური (შიდაკვარტალური, შიდათვიური) ლიმიტები. გამოსავალი ლიმიტები - არის ისეთი ლიმიტები, რომლითაც კლიენტს აქვს უფლება გამოვიდეს განსაზღვრული პერიოდის ფარგლებს გარეთ განსაზღვრულ პერიოდში (მაგალითად, წლის ან კვარტლის დასაწყისისათვის). ლიმიტების მეორე სახესხვაობები აფიქსირებს მსესხებლის უფლებას, ისარგებლოს მხოლოდ

შესაბამისი პერიოდის სახსრების ფარგლებში.

კრედიტის მოცულობის ხარისხის ცვლილების მიხედვით, გამოიყოფა შემცირებადი (მცოცავი) და მზარდი ლიმიტები. ეს ლიმიტები განისაზღვრება სესხზე მოთხოვნილების მატების ან შემცირების შესაბამისად და იძლევა ვალის დაფარვის კონკურენტული გრაფიკის დადგენის შესაძლებლობას.

კრედიტის გამოყენების შესაძლებლობის მიხედვით, განასხვავებენ მყარ ლიმიტს, ლიმიტს მასზე აღმატების წესით და თავისუფალ ლიმიტს.

- მყარი ლიმიტით ფიქსირდება მაქსიმალური უფლება სესხის მიღებაზე. ის შეუძლებელს ხდის მასზე გადაჭარბებას ბანკის განსაკუთრებული განკარგულების გარეშე.
- დამატებითი ლიმიტით ფიქსირდება მყარ ლიმიტზე შემოთ მისაღები სესხები;
- ხშირ შემთხვევაში, დაკრედიტების ლიმიტი არ წარმოადგენს მკაცრად რეგლამენტირებულს და კლიენტს აძლევს შესაძლებლობას მის გადამეტებაზე;
- თავისუფალ ლიმიტად ითვლება კრედიტის ის თანხა, რომელზეც კლიენტს აქვს უფლება, მიიღოს. სესხი მისთვის დადგენილი საზღვრების ფარგლებში.

კრედიტის სიდიდე, კონკრეტულ შემთხვევაში, დამოკიდებულია ეკონომიკურ გარემოებაზე, მათ შორის:

1. მსესხებლის საგადამხდელო ბრუნვაში გარღვევების სიდიდეებზე;
2. კრედიტის უზრუნველყოფისათვის მიღებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობის რეალურ მარაგზე და მათი ლიკვიდობის ხარისხზე;
3. მარჟის სიდიდეზე;
4. რისკის ხარისხზე და ბანკის კლიენტთან ნდობაზე;
5. ბანკის რესურსების განსაზღვრული მოცულობის ნაშთზე და სხვა.

სესხის დაფარვის წესი. კრედიტის დაბრუნების, ისე,

როგორც გაცემის ერთიანი მოდელი, არ არსებობს. პრაქტიკა ადასტურებს სესხის დაფარვის შესაძლებლობის ვარიანტების მრავალფეროვნებას. მათგან უნდა გამოვყოთ:

1. ეპიზოდური დაფარვა ვადიანი ვალდებულებების საფუძველზე;
2. დაფარვა საკუთარი საშუალებების ფაქტიური დაგროვებისა და კრედიტზე მოთხოვნების შემცირების შესაბამისად, მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშიდან;
3. სისტემური დაფარვა ადრე ფიქსირებული თანხების საფუძველზე;
4. დაფარვა ამონაგების სასესო დავალიანების შესამცირებლად ჩარიცხვით ანგარიშსწორების ანგარიშზე ასახვის გარეშე;
5. კრედიტის დაფარვის გადავადება;
6. ვადაგადაცილებული დავალიანების გადატანა „ვადაგადაცილებული სესხების“ განსაკუთრებულ ანგარიშზე;
7. ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერა ბანკის რეზერვების ანგარიშზე და სხვა.

კრედიტის დეპოზიტური დაფარვა ვადიანი ვალდებულებების ბაზაზე ხშირად გამოიყენება სალდობრივ-კომპენსაციური ანგარიშებით სარგებლობისას, როცა დაბრუნება წინასწარაა გადაწყვეტილი თარიღის ან თარიღებისათვის: კრედიტის დაფარვის ვადის დადგომისას, ბანკი ჩამოწერს შესაბამის თანხებს სასესო დავალიანების დასაფარად.

საკუთარი საშუალებების ფაქტიური დაგროვებისა და კრედიტზე მოთხოვნების შემცირების შესაბამისად, სესხის დაფარვის მაგალითად გამოდგება სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელსაც კრედიტზე მოთხოვნები ეზრდება სამუშაოთა სეზონური ხასიათის გამო. მაგალითად, მემცენარეობის პროდუქციის საწარმოებლად, აქტიურად გამოიყენება სესხები წლის დასაწყისიდან და გაზაფხულის პერიოდში. ამ პერიოდში, ამ ეტაპზე სესხების დაფარვა არ ხდება. ის იწყება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებისა და რეალიზაციის მომენტიდან.

კრედიტის სისტემატურ დაფარვას, ადრე ფიქსირებუ-

ლი თანხების საფუძველზე, ადგილი აქვს ბრუნვით საგადამხდელო სასესხო ანგარიშის გამოყენებისას საგადამხდელო ბრუნვის საკმარისად ინტენსიობის შემთხვევაში. ასეთ პირობებში, სისტემატურად მიღებადი კრედიტის დასაბრუნებლად წარმოებს საშუალებების ჩამოწერა ანგარიშსწორების ანგარიშიდან წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად. ასეთი ჩამოწერები ამ ანგარიშიდან შეიძლება განხორციელდეს ყოველდღიურად ან ერთხელ, 3-5 სამუშაო დღის განმავლობაში. გეგმიური გადახდების სიდიდე, ასეთ შემთხვევაში, დამოკიდებულია დაკრედიტების ობიექტზე და ის გასათვალისწინებელია საკრედიტო ხელშეკრულებაში.

ამონაგების სასესხო დავალიანების შესამცირებლად ჩარიცხვით ანგარიშსწორების ანგარიშის გამოყენების გარეშე დაფარვის ვარიანტისას, რეალიზაციიდან მიღებული ყველა ამონაგები მიდის სასესხო ანგარიშზე დავალიანების დასაფარავად. რადგან ამ მეთოდით დაკრედიტებისას, ბანკი ყველა ოპერაციას არ აკრედიტებს და ამონაგებში შედის კლიენტის შემოსავლებიც, ის, მსესხებელთან ხელშეკრულების საფუძველზე, ვალდებულია დააბრუნოს საშუალებების ნაწილი ანგარიშსწორების ანგარიშზე. ამონაგების სასესხო ანგარიშზე ჩარიცხვას ადგილი აქვს კონტოკორენტის გამოყენების შემთხვევაშიც.

დაკრედიტების პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა კლიენტს, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ შეუძლია დაფაროს აღებული სესხი. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია კრედიტის დაბრუნების გადავადება. გადავადება შესაძლებელია მთლიანი ვალის ან მისი ნაწილის 1-3-5 და მეტი დღით, შესაძლებელია 30 დღემდე და 6 თვემდეც.

ვადაგადაცილებული დავალიანების გადატანა „ვადაგადაცილებული სესხების“ განსაკუთრებულ ანგარიშზე წარმოიშობა მაშინ, თუ დაფარვის გადავადების დრო ამოწურა ან შეუძლებელია უახლოეს ვადებში დაიფაროს უპერსპექტივობის გამო. დაფარვის ვადაგადაცილებული ვალის გადატანა ამ ანგარიშზე ნიშნავს, რომ ამ მომენტიდან კლიენტი ბანკს გადაუხდის შედარებით მაღალ სასესხო პროცენტს.

ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერა ბანკის

რეზერვების ანგარიშზე ხდება იმ შემთხვევაში, როცა კლიენტის ვალის გახდა უიმედოა, როდესაც ბანკი ხანგრძლივი დროით არ ღებულობს ანაზღაურებას ადრე გაცემულ სესხებზე და პერსპექტივაში, დაბრუნებაც არ იგულისხმება. საერთოდ, ასეთ შემთხვევაში, კლიენტის ვალის ჩამოწერა ხდება ბანკის ანგარიშზე ამ მიზნით დაგროვილი რეზერვებიდან. ბუნებრივია, ასეთი ჩამოწერა ბანკის უშუალო ზარალს წარმოადგენს საკრედიტო საქმიანობიდან.

სასესხო დავალიანების დაფარვის განხილული ვარიანტები საშუალებას იძლევა ამ პროცესის კლასიფიცირებისათვის რიგ კრიტერიუმებთან დამოკიდებულებაში.

- კრედიტის სრული და ერთჯერადი დაფარვა, ძირითადად, გამოიყენება ვალის უმნიშვნელო თანხების არსებობისას, როდესაც კლიენტის ანგარიშიდან თანხების ჩამოწერა არ იწვევს რაიმე სიძნელეს მის საგადამხდელო ბრუნვაში. პირიქით, ნაწილობრივი და მრავალჯერადი დაფარვა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც რესურსების გამოთავისუფლება, კრედიტის დასაფარავად, ხდება თანდათან და საჭიროა გარკვეული დრო ბანკთან სრული ანგარიშსწორებისათვის.
- კრედიტის სისტემატური დაფარვა წარმოიშობა კლიენტის ინტენსიური საგადამხდელო ბრუნვის პირობებში, როდესაც გამოიყენება ბრუნვით-საგადამხდელო სასესხო ანგარიში. ის მიიღწევა სასესხო ანგარიშზე გეგმიური გადახდის გადარიცხვით ან მთელი ამონაგების ჩარიცხვით სასესხო დავალიანების დასაფარავად. ეპიზოდური დაფარვა დამახასიათებელია კრედიტებისათვის, რომელიც გაიცემა განსაზღვრული მიზნობრივი საჭიროებისათვის სალდობრივ კომპენსაციური ანგარიშებიდან;
- ვადიანი დაფარვა, ანუ დაფარვა წინასწარ განსაზღვრული ვადებით, პრაქტიკულად, შესაძლებელია შეგვხვდეს ყველა კრედიტის შემთხვევაში. ეს ფაქტი შემთხვევითი არ

არის, რადგან სესხები წარმოიშობა მაშინ, როდესაც განისაზღვრა მათი დაბრუნების ვადა სასესხო პროცენტის ჩათვლით;

- პრაქტიკა წარმოშობს კრედიტის დაფარვის სხვა ვარიანტებსაც, რომელიც შეიძლება იყოს გადავადებული, ვადაგაგრძელებული და ვადამდე დაფარვით.
- კრედიტის დაფარვის მეტად გავრცელებულ (და საბოლოო) წყაროს წარმოადგენს მსესხებლის საკუთარი ფულადი საშუალებები. უმეტეს შემთხვევაში, ეს საშუალებები არ არის ამ მიზნისათვის საკმარისი. ასეთ შემთხვევაში, ადრე გაცემული კრედიტის დაბრუნების წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს გაცემული ახალი კრედიტი და არა ძველი სესხების დაფარვის ვადის პროლონგაცია (ვადის გაგრძელება).

თუ მსესხებელს არ შეუძლია დაფაროს ვალი საკუთარი საშუალებებით ან ახალი კრედიტით, ბანკს შეუძლია საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, დაიბრუნოს კრედიტი გარანტიის გამცემის ანგარიშიდან.

კრედიტის დაფარვის გაფორმება შეიძლება მოხდეს სპეციალური დოკუმენტების საფუძველზე ან მათ გარეშე. დოკუმენტებად, რომელიც იძლევა ვალის დაფარვის საფუძველს, გამოდის: კლიენტის წერილობითი განკარგულებები, ადრე ბანკზე გადაცემული ვადიანი ვალდებულებები, თვით ბანკის განკარგულებები საკრედიტო შეთანხმების საფუძველზე, არბიტრაჟისა და სასამართლოს გადაწყვეტილებები. კლიენტის განკარგულება, ვალის დაფარვისათვის მისი ანგარიშსწორების ანგარიშიდან თანხების ჩამოწერაზე, შეიძლება წერილობით გაფორმებასთან ერთად, მოხდეს ზეპირი ფორმითაც.

8.4. სესხებზე შინაქლო დანაკარგების

რეზერვის ფორმირება

საკრედიტო ოპერაციები კომერციული ბანკის საქმიანობის მაღალრისკიან სფეროს მიეკუთვნება. ამ რისკების დაწვევის მიზნით, ბანკი ქმნის სპეციალურ რეზერვებს სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგებისათვის.

აღნიშნული რეზერვი უზრუნველყოფს ბანკების ფინანსური საქმიანობის მყარი პირობების შექმნას და საშუალებას მისცემს ბანკს თავიდან აიცილოს მოგების შემცირებისაკენ გადახრის შესაძლებლობა სესხების მიხედვით დანაკარგების ჩამოწერისას.

რეზერვის განსაზღვრის მიზნით, საკრედიტო რისკების გათვალისწინებით, პროფესიონალური შეფასების საფუძველზე სესხები კლასიფიცირდება ხუთ კატეგორიად.

- სტანდარტული სესხები (ხარისხის უმაღლესი კატეგორია) – რისკი ნულის ტოლია;
- არასტანდარტული სესხები 'სომიერი საკრედიტო რისკით (1-დან 20%-მდე გაუფასურების შესაძლებლობა);
- სეჭვო სესხები – მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკით (21-დან 50%-მდე გაუფასურების შესაძლებლობა);
- პრობლემური სესხები – მაღალი საკრედიტო რისკით (56-დან 100%-მდე გაუფასურების შესაძლებლობა);
- უიმედო სესხები (100%-იანი გაუფასურების შესაძლებლობა);

სესხების ასეთ პროფესიონალურ შეფასებას საფუძველად უდევს მსეხებლის საქმიანობის დეტალური და კომპლექსური შემოწმება მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

რეზერვის განსაზღვრას საფუძველად უდევს სტანდარტული და არასტანდარტული კატეგორიის სესხების უზრუნველყოფის დონე. პირველი კატეგორიის სესხების უზრუნველყოფის საგნად ჩაითვლება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, ცენტრალური ბანკის ფასიანი ქაღალ-

დების გირაო, საგარანტიო დეპოზიტები, სახელმწიფო გარანტიები, სეზ-ის გარანტიები, მაღალკრედიტიანი საინვესტიციო რეიტინგის იურიდიული პირების თავდებობა. მეორე კატეგორიის სახეების უსურუნველყოფად შეიძლება ჩაითვალოს მიწის ნაკვეთების, საწარმოების, შენობების, ნაგებობების, ბინებისა და სხვა უძრავი ქონების გირაო, აგრეთვე იმ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის გირაო ამ საგნების მყარი ბაზრის არსებობისას.

პირველი და მეორე კატეგორიის ხარისხის უსურუნველყოფის არსებობისას, რეზერვის მინიმალური სიდიდე განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$r = \frac{k_0 \cdot \text{უღ}_x}{r_g \cdot (1 - s_x)}$$

სადაც r – რეზერვის მინიმალური სიდიდეა;

r_g – გაანგარიშებითი რეზერვის სიდიდე;

k_0 – უსურუნველყოფის ხარისხის მანველებელი კოეფიციენტი (ინდექსი); პირველი კატეგორიის უსურუნველყოფისათვის $k_0=1,0$; მეორე კატეგორიის უსურუნველყოფისათვის $k_0=0,5$;

s_x – სესხის მიხედვით ძირითადი დავალიანების სიდიდე;

უღ_x – შესაბამისი კატეგორიის ხარისხის უსურუნველყოფის ღირებულება (უსურუნველყოფის ხარჯების გამოკლებით).

თუ $k_0 \cdot \text{უღ}_x \geq s_x$, მაშინ – r ჩაითვლება ნულის ტოლად.

ბანკის მიერ ამოსაგებად არარეალური სესხების ჩამოწერა ხორციელდება შექმნილი რეზერვის ანგარიშზე შესაბამისი სესხების მიხედვით.

8.5. ბანკის მსახეობის კრედიტუნარიანობის

შეფასება

საკრედიტო გარიგების პროცესი დაკავშირებულია რისკის მქონე მრავალ ფაქტორთან. კლიენტთან დაკავ-

შირებულ ფაქტორებს მიეკუთვნება საკრედიტო გარიგების ხასიათი და კრედიტუნარიანობა. საკრედიტო გარიგების ხასიათი ნაკარნახევია მსესხებლის რეპუტაციით და მის კრედიტზე მოთხოვნებით, უნარზე უზრუნველყოს დაბრუნება.

კრედიტუნარიანობის განსაზღვრა – არის კლიენტის სესხის მიღების შესაძლებლობა და დავალიანების თავისდროულად, მთლიანი მოცულობით, პროცენტის ჩათვლით დაფარვის უნარის შეფასება.

კრედიტუნარიანობის შეფასების სხვადასხვა ხერხია ცნობილი:

- შეფასება ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე;
- შეფასება ფულადი ნაკადების საფუძველზე;
- შეფასება საქმიანი რისკების მაჩვენებლების საფუძველზე.

ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასება ხორციელდება შემდეგი კონკრეტული კოეფიციენტებით:

- ლიკვიდობის კოეფიციენტები – საწარმოს ლიკვიდობა არის მისი უნარი და შესაძლებლობა – თავისდროულად დაფაროს სავალო ვალდებულებები. საწარმოს აქტივები ლიკვიდობის მიხედვით, იყოფა ოთხ ჯგუფად: სწრაფადრეალიზებად, საშუალორეალიზებად, ნელადრეალიზებად და მუდმივ აქტივებად. ბალანსის საფუძველზე, ასეთი რიგით დაყოფილი აქტივების მიხედვით, განისაზღვრება: აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი - ფულადი საშუალებებისა და მოკლევადიან ფინანსურ დაბანდებათა ჯამის შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან. ამ კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობა 0,2-0,25-ია. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი – ფულადი საშუალებების და მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების ჯამს ემატება დებიტორული დავალიანება. ამ კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობაა 0,7-0,8. დაფარვის კოეფიციენტი (მთლიანი ლიკვიდობის) გამოითვლება ფორმულით, რომლის მრიცხველში ფულადი საშუალებების, მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებათა და დებიტორული დავალიანების ჯამს ემატება მარაგები

და დანახარჯები. მნიშვნელოვანი იქაც იგივეა. კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობაა 2,0.

• აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტები. აქტივების გამოყენების ეფექტიანობა ხასიათდება მათი ბრუნვის მაჩვენებლებით. მათგან, ყველაზე მეტად, გაერცელებულია:

– აქტივების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში გამოითვლება ფორმულით, რომლის მრიცხველია საშუალო ქრონოლოგიურით გათვლილი ძირითადი და საბრუნავი აქტივების ნაშთის ნამრაველი საანალიზო პერიოდის დღეთა რიცხვებზე (90,180,270 ან 360), ხოლო მნიშვნელოვან პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები. საწარმოს უნდა გააანდეს ამ კოეფიციენტის ზრდის ტენდენცია. პერიოდში აქტივების ბრუნვის რიცხვი გაიანგაზრდება ფორმულით, რომლის მრიცხველია დღეების რაოდენობა საანალიზო პერიოდში, მნიშვნელოვანი – აქტივების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში.

– ბრუნვის კოეფიციენტი გაიანგაზრდება ფორმულით, რომლის მრიცხველია პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები, ხოლო მნიშვნელოვანი საშუალო ქრონოლოგიურით გათვლილი ძირითადი და საბრუნავი აქტივების ნაშთი.

• ფინანსური ლევერაჟის (ლევერიჯის) კოეფიციენტი. ფინანსური ლევერაჟის კოეფიციენტი რაოდენობრივად გაიზომება ნასესხები და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობით. ფინანსური ლევერაჟის დონე პირდაპირ პროპორციულად მოქმედებს საწარმოს ფინანსური რისკის ხარისხზე, მის მოგებაზე, ანუ ფინანსურ მდგრადობაზე. რაც უფრო მაღალია ფინანსური ლევერაჟის დონე, მით უფრო მაღალია საწარმოს დამოკიდებულება მოზიდულ (ნასესხებ) წყაროებზე და მეტ დანახარჯებს გასწევს ის ვალების მომსახურებისათვის და არ ჩაითვლება მდგრად საწარმოდ.

ფინანსური ლევერაჟის მიხედვით, გამოითვლება შემდეგი კოეფიციენტი:

• საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით, რომლის მრიცხველში არის ნასესხები კაპიტალი, მნიშ-

ენელში - საკუთარი კაპიტალი. ოპტიმალურია, თუ შეფარდება ერთის ტოლია.

• ავტონომიის (დამოუკიდებლობის) კოეფიციენტი - განისაზღვრება ფორმულით, რომლის მრიცხველშია საკუთარი კაპიტალი, მნიშვნელში - საწარმოს ბალანსის ვალუტა. ოპტიმალურად ითვლება, თუ შეფარდება 0,5-ის ტოლია.

კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის კომერციული ბანკი, ჩვეულებრივად, ამ ორი კოეფიციენტიდან, იყენებს ერთ-ერთს, ყველაზე ხშირად - ავტონომიის კოეფიციენტს;

• მომგებიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტები. ეს კოეფიციენტები გამოიყენება საწარმოს მიერ მთლიანი კაპიტალის გამოყენების დახასიათებისათვის და წარმოადგენს დამატებით მანევრებლებს სხვა, უკვე განხილულ კოეფიციენტებთან ერთად. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად, ამ რიგით შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- რეალიზებული პროდუქციის ერთეულის რენტაბელობის კოეფიციენტი - განისაზღვრება ფორმულით, რომლის მრიცხველშია ერთი სახის პროდუქციის ერთეულიდან მიღებული მოგება, მნიშვნელში კი - ამ პროდუქციის თვითღირებულება. ამ მანევრებლის ოპტიმალური მნიშვნელობა 25%-ია საერთო ინფლაციის წლიური 5-7%-ს ტემპისას.

- რეალიზებული მთლიანი პროდუქციის რენტაბელობის კოეფიციენტი - გამოითვლება ფორმულით, რომლის მრიცხველშია მთლიანი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, მნიშვნელში - მისი თვითღირებულება. ოპტიმალურად ითვლება, თუ ეს მნიშვნელობა 15%-ია.

- საწარმოს ყველა აქტივის რენტაბელობის კოეფიციენტი - განისაზღვრება ფორმულით, რომლის მრიცხველშია საანგარიშო წელს მიღებული მოგება, მნიშვნელში - აქტივების საშუალო თანხა. ნორმატივი არაა განსაზღვრული.

ფულადი ნაკადი - წარმოადგენს ფულადი საშუალებების სიდიდეს, რომელსაც საწარმო იღებს ან გას-

ცემს საანგარიშო ან საპროგნოზო პერიოდში. ფულადი ნაკადის ანალიზისათვის, საჭიროა მონაცემების აღება სხვადასხვა პერიოდისათვის, რათა დადგინდეს ცვლილებათა ტენდენცია. თუ მსესხებელს მუდმივად აქვს წმინდა ფულადი შემოსავალი, ეს მიუთითებს მის ფინანსურ მდგრადობაზე და კრედიტუნარიანობაზე. მოკლედროითი წმინდა ფულადი გადინება - შედარებით დაბალი კრედიტუნარიანობის, ხოლო სისტემატური წმინდა ფულადი გადინება - საწარმოს არაკრედიტუნარიანობის დასტურია.

საქმიანი რისკი - რისკი, დაკავშირებული ფონდების წრებრუნვის არათავისდროულ დამთავრებასთან და რესურსების (ფინანსური, ტექნიკური, შრომითი) არაეფექტიან გამოყენებასთან. საწარმოო ციკლის ყველა სტადიის ანალიზის საფუძველზე დადგენილი ისეთი ფაქტები, როგორიცაა: საწარმოს პროდუქციის მყიდველების რიცხვის ზრდა, ანგარიშსწორების პროგრესული ფორმების გამოყენება, დებიტორული დაეალიანების დაბალი დონე, ბაზრის გაუჯერებლობა მსესხებლის პროდუქციაზე, იძლევა საშუალებას, დადებითად შეფასდეს საწარმოს საქმიანობა.

8.6. საკრედიტო ხელშეკრულება

საკრედიტო გარიგების საფუძველი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ატარებს ნებაყოფლობით პრინციპს და თითოეული გარიგება ფორმდება ხელშეკრულებით. შაკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება ბანკსა და მსესხებელს შორის, განსაზღვრავს კრედიტის სამართლებრივ და ეკონომიკურ პირობებს. ის არის იურიდიული დოკუმენტი, რომლის ყველა პუნქტი დამდები მხარეების მიერ ექვემდებარება შესრულებას.

საკრედიტო ხელშეკრულებაში ფიქსირდება: მხარეთა დასახელება, ხელშეკრულების მოქმედების ვადები, საკრედიტო გარიგების საგანი და პირობები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, აღებულ ვალდებულებათა შესრულების სამართლებრივი გარანტიები. ასეთ გარანტიებს მიეკუთვნება: მსესხებლის იურიდიული ფორმის მითითება,

კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმა (გირაო, გარანტია, თავდებობა, დაზღვევა, და ა.შ.), სანქციები მხარეთა მიერ ვალდებულებათა დარღვევაზე, საკრედიტო ხელშეკრულების გაუქმებაზე (დარღვევაზე).

საკრედიტო ხელშეკრულება დაიდება წერილობითი სახით, ხელი მოეწერება ხელშეკრულების დამდები რწმუნებული პირების მიერ და უნდა დამტკიცდეს შესაბამისი ნდობის დამადასტურებელი მოთხოვნებით. საკრედიტო ხელშეკრულების იურიდიულად სწორად გაფორმება მოითხოვს ორივე მხარის იურისტების მონაწილეობას.

საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ბანკის საკრედიტო სფეროს მუშაკი, მსესხებელთან ყოველდღიური მუშაობის ბაზაზე, ახორციელებს კონტროლს კრედიტის მიზნობრივ გამოყენებაზე, მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე. დაკვირვება გულისხმობს საიმედო და ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას მსესხებლის საქმიანობაში მომხდარ ყველა ცვლილებაზე.

8.7. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმები

დაკრედიტების, ანუ კრედიტის მიღების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია კრედიტის დაბრუნება. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმებში იგულისხმება მსესხებლის გარანტირებული ვალდებულების ფორმა. საბანკო პრაქტიკაში სესხების დაფარვის წყაროები იყოფა პირველად და მეორად წყაროებად. სესხების დაფარვის პირველად წყაროს წარმოადგენს მსესხებლის ამონაგები პროდუქციის, მომსახურების რეალიზაციიდან ან ფიზიკური პირის შემოსავლები.

პრაქტიკაში ხდება ისეთი ფაქტები, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება ამონაგების თავისდროულად მიუღებლობის რისკი. ეს რისკები შეიძლება წარმოიქმნას წარმოების ან რეალიზაციისაგან ანგარიშსწორების პროცესში ბაზრის კონიუნქტურის, სეზონური ცვლილებების და ა.შ. ფაქტორების გამო. ყოველივე ამის გამო, აუცი-

ღებელი ხდება დამატებითი გარანტიების შექმნა მეორადი წყაროს სახით. მათ რიცხვს მიეკუთვნება გირაო, თავდებობა, გარანტია, დაზღვევა, მოთხოვნათა დათმობა და სხვა.

– გირაო. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ყველაზე მეტად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს გირაო. გირაოს ქვეშ იგულისხმება სესხის გამცემის უფლება მიიღოს ანაზღაურება ჩადებული ქონების ღირებულებიდან მსესხებლის მიერ საკრედიტო გარიგების შესრულებლობის დროს.

ქონება, რომელიც მიიღება ბანკის მიერ გირაონობის ქვეშ, უნდა პასუხობდეს რიგ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნებია:

1. საკუთრების უფლებას ამ ქონებაზე, დამტკიცებულს შესაბამისი დოკუმენტებით;
2. ქონების გაუსხვისებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და თანამესაკუთრეთა თანხმობები გირაონობაზე;
3. საგირაონო ნივთის ფულადი შეფასება (შეთანხმებული მხარეებს შორის საბაზრო ფასებისა და ინდექსაციის გათვალისწინებით);
4. საგირაონო ნივთის ლიკვიდობა, ე.ი. ქონების რეალიზაციის სისწრაფის შესაძლებლობა;
5. გირაოში ჩადებული ქონების შენახვაზე კონტროლის შესაძლებლობა;
6. საგირაონო საგნის დაზღვევა განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევისას;
7. გირაოს საკმარისობა. გირაოს თანხა უნდა აღემატებოდეს კრედიტის თანხას და მოიცავდეს პროცენტს და შესაძლო რეალიზაციის ხარჯებს.

კომერციული ბანკი შეიმუშავებს ხელშეკრულებებს გირაონობის პროცესის შესახებ და აფორმებს მას მსესხებლებთან გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით. საგირაონო ხელშეკრულების გასაფორმებლად წარდგენილი დაკუმენტაციის ჩამონათვალი დამოკიდებულია საგნის ფლობის რეგისტრაციის, შეფასებისა და სხვა ნივთობრივ თავისებურებებზე.

გირაოს ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს გირაოს სახე და ფორმა, მისი ღირებულება და ადგილმდებარეობა, მხარეების უფლებები და მოვალეობები, რომელიც უნდა მოიცავდეს გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნების შესრულებას. ბანკის მოთხოვნების რეალიზება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩადებული ქონების რეალიზაცია ხდება ღია საჯარო ვაჭრობით.

თავდებობა. თავდები, ანუ მესამე იურიდიული ან ფიზიკური პირი ბანკის წინაშე იღებს პასუხისმგებლობას მსესხებლის მიერ ბანკის ვალდებულებების სრული თანხით ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

თავდებად შეიძლება გამოყენდნენ ფინანსურად მდგრადი საწარმოები ან სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ და განკარგავენ საშუალებებს, მაგალითად, ბანკები, ფონდები, თავდებობა, შეიძლება იყოს სრული (მთლიანი კრედიტის თანხა პროცენტების ჩათვლით) ან ნაწილობრივი. ნაწილობრივი თავდებობა, რიგ შემთხვევაში, საჭიროებს სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის დამატებით ფორმებს. მსესხებლიდან ვალდებულების დარღვევისას, კრედიტის დაბრუნებაზე მევალე და თავდები, ბანკის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუსს. თავმდებაზე, რომელმაც შეასრულა ვალდებულება მსესხებლის მაგივრად, ბანკიდან გადადის უფლებები მასზე, ამ ვალდებულებებზე. ბანკი თავდებს გადასცემს დოკუმენტებს, რომლითაც დასტურდება მოთხოვნები მევალესთან. თავდები შეიძლება იყოს ფიზიკური პირიც. ყველაზე ხშირად, ასეთი თავდებობა გამოიყენება მსესხებლების მიერ სამომხმარებლო სესხების აღებისას.

გარანტია. გარანტი, ისე, როგორც თავმდები, ბანკის წინაშე იღებს ვალდებულებას მსესხებლის ვალდებულებებზე. გარანტია წარმოადგენს ერთმხრივ გარიგებას, რომლის შესაბამისადაც, გარანტი იძლევა წერილობით ვალდებულებას (საგარანტიო წერილს) კრედიტორი-ბანკის სახელზე, სესხად გაცემული თანხის ანაზღაურებაზე მისგან თანხის წერილობითი მოთხოვნისას. მევალე, გარანტიის მიღებისათვის, ვალდებულია გარანტს გადაუხადოს საკომისიო ჯილდო საგარანტიო თანხის განსაზღვრული

პროცენტის ფარგლებში. პროცენტის განაკვეთის სიდიდე განისაზღვრება გარანტიისა და მსესხებლის შეთანხმების საფუძველზე.

თავდებობას და გარანტიას შორის არის მსგავსებაც და განსხვავებებიც:

- გარანტად შეიძლება გამოვიდეს კომერციული ბანკი ან სადაზღვევო ფონდები, თავმდებად – სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები;
- საბანკო გარანტია (თავდებობისაგან განსხვავებით) არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებებზე, რომლის შესრულებასაც ის კისრულობს. ის ინარჩუნებს ძალას ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც კი;
- ბანკის გარანტიის გამოუთხოვნობა. გარანტს არ შეუძლია საბანკო გარანტიის გამოთხოვა წინასწარ ბანკ-კრედიტორთან შეთანხმების გარეშე, თუ ის არაა წერილობით ვალდებულებებში გათვალისწინებული. გამოთხოვის შემთხვევაში, ბანკი კრედიტორი უარს ეტყვის მსესხებელს სესხის გაცემაზე.

არსებობს კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის სხვა ფორმები. ამ ფორმებიდან, აღსანიშნავია დაზღვევა, სადეპოზიტო ანაბრების გირაო, მოთხოვნების უფლებების გადაცემა ბანკზე.

დაზღვევა ხელსაყრელია სამი მონაწილისათვის: მსესხებლისათვის - ინარჩუნებს საქმიანი რეკუტაციის სახელს; ბანკი - ღებულობს გარანტიებს საკუთარი რესურსების დაბრუნებაზე, დამზღვევი კომპანია - იღებს გასამრჯელოს მომსახურებაზე.

ხელშეკრულება დაიდება საწარმო-მსესხებელსა (დამზღვევი) და სადაზღვევო კომპანიას შორის. ხელშეკრულება დასრულებულად ჩაითვლება, დამზღვევის მიერ სადაზღვევო შესატანის გადახდის შემდეგ. სადაზღვევო პრემიის სიდიდე დამოკიდებულია სადაზღვევო თანხის სიდიდეზე და დამზღვევის ტარიფზე.

სადეპოზიტო ანაბრების გირაო (მ.შ. უცხოური ვალუტა) - კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის გარან-

ტირებული ფორმაა. გარიგება ფორმდება ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც, ფულის დაბრუნების უფლება მსესხებლის დეპოზიტის მიხედვით, გადადის ბანკ კრედიტორზე. ასეთ შემთხვევაში, დეპოზიტიდან ხარჯვითი ოპერაციები შენერდება ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

ბანკზე მსესხებლის მოთხოვნების გადაცემა (დათმობა), როგორც სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმა, გამოიყენება მდგრადი ეკონომიკის ქვეყნებში. დათმობა (ცესია) – არის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ვალების გადახდაზე მოთხოვნები (დებიტორული ვადები) საწარმო-მსესხებლიდან გადადის ბანკზე. დათმობილი მოთხოვნების თანხა, როგორც წესი, უნდა აღემატებოდეს ბანკისადმი დავალიანებას როგორც წესი არანაკლებ – ორჯერ. რისკის შემცირების მიზნით, ბანკი მსესხებლიდან მოითხოვს დებიტორების სიას და იმ დოკუმენტების ასლებს, რომლითაც დასტურდება მსესხებლის მიერ პროდუქციის გადაგზავნა, შესრულებული სამუშაო და გაწეული მომსახურება.

მეცხრე თავი. ცალკეული სახის სესხების გაცემისა

და დაფარვის ორგანიზაცია

9.1. მოკლევადიანი სესხების გაცემისა და

დაფარვის ორგანიზაცია

საბანკო კრედიტებიდან ყველაზე ხშირად გაერკველებულ სესხს მოკლევადიანი სესხი წარმოადგენს. ვადის მიხედვით, ასეთი სესხები ერთ წლამდე ვადით აიღება, ატარებს ერთჯერად ხასიათს და ემსახურება კონკრეტულ სამეურნეო გარიგებებს. მიზნობრივი დანიშნულებით, შეიძლება გამოიყვით კრედიტები: საწარმოო, სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციების და დროებითი საჭიროების მიზნებისათვის.

საწარმოო მიზნებისათვის სესხის მიღება ემსახურება ნედლეულის, მზა პროდუქციის დასაწყობებას და საწარმოო ხარჯების გაწევას. კრედიტის დაფარვა ხორციელდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობის გაყიდვის შესაბამისად. კრედიტის მისაღებად კლიენტი ბანკში წარადგენს:

- განაცხადს – ინფორმაციას საკუთარ თავზე და მის საქმიანობაზე;
- მონაცემებს ფინანსურ საქმიანობაზე – ბალანსების ასლი. ანგარიშგებას მოგება-ზარალზე;
- კრედიტის მიზნის ტექნიკურ-ეკონომიკურ დახასიათებას გარიგების ეფექტიანობის დასტურად.

კრედიტი შეიძლება გაიცეს მარტივი სასესხო ანგარიშიდან საანგარიშო დოკუმენტების განაღდებას ან ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის გზით. საკრედიტო გარიგების თანხა კლიენტზე შეიძლება გაიცეს ერთდროულად ან წინასწარშეთანხმებული გრაფიკით. თუ ფული ჩაირიცხება კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე, მისი მიზნობრივი კონტროლისათვის ბანკს შეუძლია კლიენტისაგან მოითხოვოს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება შესაბამისი ნედლეულისა და მასალის შექმნა. ასეთი სესხების გაცემისას, ბანკი დაბრუნების უზრუნველსაყოფად მიმართავს სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობის გირაოს ფორმას. კრედიტის დაფარვა ხორციელდება კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ფულადი საშუალებების ჩამოწერით.

საეჭრო-საშუამავლო ოპერაციებზე კრედიტი ასევე მოკლევადიანი ხასიათისაა და ხშირად დაკავშირებულია კლიენტის დებიტორული დავალიანების წარმოშობასთან. კრედიტის გაცემისა და დაბრუნების სქემის ზემოთ მოტანილთან იგივობის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ კლიენტების როლში გამოდიან საბითუმო და საცალო ვაჭრობის სუბიექტები. მსესხებელი ბანკში დამატებით წარადგენს ხელშეკრულებას პროდუქციის მიწოდებაზე. ბანკი, კრედიტის მიცემის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას, აკრედიტებს კლიენტს მარტივი სასესხო ანგარიშიდან ან საკრედიტო ხაზის გახსნით. დაკრედიტების პირობებში, კრედიტის დაფარვის წესი, პროცენტის დარიცხვა და გადახდა რეგულირდება დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით.

კრედიტი დროებითი საჭიროებისათვის გაიცემა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ბიუჯეტის გადასახადების გადახდისათვის, ე.ი. ემსახურება კლიენტის ფულადი სასხრების მოკლევადიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სესხის მისაღებად, მსესხებელი ბანკს წარუდგენს განაცხადს სესხის მიღებაზე და სესხის დაფარვის გრაფიკს. სესხის გაცემამდე, ბანკი ამოწმებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ადგენს მიზეზებს, რამ განაპირობა ანგარიშსწორების ანგარიშზე თანხების უქონლობა და საზღვრავს კრედიტის დაფარვის პერსპექტივებს. შრომის ანაზღაურების გასაცემად გამოყოფილი კრედიტის ხანგრძლივობა, მერყეობს 30 დღიდან 90 დღემდე. გამოყოფილი სესხით განაღდება საწარმოს ჩეკი შრომის ანაზღაურების გასაცემად თანხის მიღებაზე და საგადასახადო დავალებები ბიუჯეტიდან გადასახადების გადახდაზე. კრედიტის დაფარვა ხორციელდება მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშიდან სასხრების ჩამოწერით ვადიანი ვალდებულებების ან გადახდის დავალების საფუძველზე. დროებით საჭიროებისათვის გაცემული კრედიტი უსრუნველყოფის გარეშე კრედიტია, თუ კლიენტი

წარმოადგენს პირველი კლასის კრედიტუნარიან საწარმოს. სხვა შემთხვევაში, ბანკს შეუძლია მოითხოვოს ქონების გირაო, საგარანტიო ვალდებულებები ან სხვა უზრუნველყოფა.

9.2. დაკრედიტება საკრედიტო ხაზის წესით

საკრედიტო ხაზი წარმოადგენს ბანკსა და მსხვებელს შორის იურიდიულად გაფორმებულ ხელშეკრულებას ბანკის ვალდებულებებზე – გამოუყოს მსესხებელს დროის განსაზღვრულ მომენტში კრედიტი შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში.

საკრედიტო ხაზი განისაზღვრება საბრუნავი საშუალებების განთავსებაზე საბალანსო მონაცემების საფუძველზე და გაიანგარიშება ფორმულით:

$$ს_გ = (ს_ხ + დ_წ + მ_პ + დ_დ + გ_ს) - (კ_დ + ს_ს)$$

სადაც $ს_გ$ – საკრედიტო ხაზის სიდიდეა;

$ს_ხ$ – საწარმოო ხარჯები;

$დ_წ$ – დაუმთავრებელი წარმოება;

$მ_პ$ – მზა პროდუქცია;

$დ_დ$ – დებიტორული დავალიანება;

$გ_ს$ – გადატვირთული საქონელი;

$კ_დ$ – კრედიტორული დავალიანება;

$ს_ს$ – საკუთარი საშუალებები.

დაკრედიტების ეს სახე ბანკისათვის განსაკუთრებით რისკიანია, ამიტომ საკრედიტო ხაზის გამოყენებისას, ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონტროლს საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით დაკრედიტების ლიმიტს და სასესხო ანგარიშის მიხედვით დავალიანების ლიმიტს.

საკრედიტო ხაზი გაეხსნებათ მხოლოდ იმ კლიენტებს, რომლებსაც ბანკ-კრედიტორში გახსნილი აქვთ ანგარიშსწორების ანგარიში. კრედიტის მისაღებად, მსესხებელი ბანკში წარადგენს:

- განაცხადს;
- ბოლო ორი პერიოდის ბუღალტრული ანგარიშგების (ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშები) ასლებს;

- ფულადი შემოსავლებისა და გასაველების ბალანსს;
 - ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას;
- ბანკი კლიენტს კრედიტის სარგებლობისათვის პროცენტს დაურიცხავს და ამოიღებს ანგარიშზე სადებეტო ნაშთის მიხედვით.

მსესხებლისათვის გახსნილი ხაზი შეიძლება იყოს ჩარჩოსებრი (ფარგლებიანი), განახლებადი და განუახლებადი.

ჩარჩოსებური საკრედიტო ხაზი არის მიზნობრივი, ე.ი. კრედიტი ასეთ დროს გაიცემა სასაქონლო მიწოდებაზე ერთი ხელშეკრულების ფარგლებში დათქმული დროის განმავლობაში.

განახლებადი საკრედიტო ხაზი, რომელსაც რეველურ კრედიტსაც უწოდებენ, გულისხმობს კლიენტზე კრედიტის გაცემას და დაფარვას ავტომატურად, დამატებითი მოლაპარაკების გარეშე დაკრედიტების ლიმიტისა და ვადების შესაბამისად.

განუახლებადი საკრედიტო ხაზი ხასიათდება იმით, რომ კრედიტის გაცემისა და დაფარვის შემდეგ, ბანკსა და მსესხებელს შორის ურთიერთობა მთავრდება.

9.3. ოვერდრაფტი, კონტოკორენტული

კრედიტი

ოვერდრაფტი წარმოადგენს მოკლევადიან კრედიტს, რომელიც ხორციელდება ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშის მიხედვით, ნაშთის ზემოთ საშუალებების ჩამოწერის გზით, ანუ არის კლიენტის ანგარიშზე უარყოფითი სადებეტო სალდოს შექმნის შესაძლებლობა.

ოვერდრაფტული კრედიტი ატარებს მრავალმიზნობრივ ხასიათს და მიეცემა კლიენტს საბრუნავ საშუალებებზე მოთხოვნების დასაფარად. ოვერდრაფტი შეიძლება იყოს გადაწვევითი, ე.ი. გამომდინარე მხარეთა ხელშეკრულებიდან და გადაწვევითების გარეშე – ბანკის თანხმობის გარეშე. კლიენტებზე ნასყესხები საშუალებების

წარდგენა ხორციელდება საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულებასთან დართულ ოვერდრაფტზე დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

ოვერდრაფტის წარდგენაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წარმოებს ოვერდრაფტის ლიმიტის გაანგარიშება. გაანგარიშება შეიძლება მოხდეს შემდეგი ფორმულით:

$$\text{ოვერდრაფტის ლიმიტი} = \frac{\begin{array}{l} \text{კლიენტის ანგარიშსწორების} \\ \text{ანგარიშის} \\ \text{კრედიტის} \\ \text{ბრუნვა} \end{array} - \begin{array}{l} \text{კრედიტის} \\ \text{მიხედვით} \\ \text{შემოსაქვლები} \end{array} - \begin{array}{l} \text{საშუალებათა} \\ \text{სტორნირება} \end{array} - \begin{array}{l} \text{საშუალებები} \\ \text{კლიენტის} \\ \text{აქციების} \\ \text{რეალიზაციიდან} \\ \text{ან წილების} \\ \text{ანაზღაურება} \\ \text{საწესდებო} \\ \text{კაპიტალიდან} \end{array}}$$

2

ოვერდრაფტის გაფორმების დეტალური პირობები მოცემულია ოვერდრაფტზე შეთანხმების პირობებში.

ოვერდრაფტის ფორმით კრედიტის გაცემისას, ბანკი იღებს შემოსავალს:

- პროცენტს სესხის სარგებლობისათვის, რომელიც განისაზღვრება ანგარიშის სადებეტო ნაშთისა და ოვერდრაფტის გამოყენების დროის მიხედვით;
- საკომისიო გადასახადებს ოვერდრაფტის გამოყენების შესაძლებლობისათვის. სიდიდე განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების მიხედვით.

კრედიტის გაცემა მსესხებელზე შესაძლებელია აგრეთვე კონტოკორენტული ანგარიშის გახსნის გზით, ე.ი. კონტოკორენტული სესხის სახით და გულისხმობს ამ ანგარიშიდან კლიენტზე წარდგენილი მოთხოვნების გადახდას ანგარიშზე კლიენტის საშუალებების უკმარისობის შემთხვევაში.

კონტოკორენტული ანგარიში ფართოდაა გამოყენებული მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში. იგი წარმოადგენს კლიენტის ერთადერთ ანგარიშს ბანკში საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციების განსახორციელებლად.

მასზე აისახება კლიენტის ყველა უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაცია. ასეთ პირობებში, ბანკის ვალდებულებას წარმოადგენს კონტროლის დაწესება სასესხო საშუალებების გამოყენებაზე დაკრედიტების ლიმიტის გადაიტების გარეშე.

კონტოკორენტული ანგარიშის გახსნის საფუძველს წარმოადგენს კლიენტთან ხელშეკრულების გაფორმება კონტოკორენტული სესხების მიღებაზე. ხელშეკრულებაში წარმოდგენილ კონტოკორენტულ კრედიტზე ფიქსირდება: კლიენტის მაქსიმალური დავალიანება; დაკრედიტების ლიმიტი; ვადა, რომელშიც წარედგინება კრედიტი, საკორესპოდენტო ანგარიშზე სადებეტო ნაშთის ზღვრულად შესაძლო ვადები, საპროცენტო განაკვეთი სესხის სარგებლობაზე.

კონტოკორენტული კრედიტის გამოყენებისათვის დგინდება კლიენტისაგან მისაღები ანაზღაურება ორი ფორმით: გადახდა ფაქტიურად გამოყენებული კრედიტის მიხედვით და საკომისიო გასამრჯელო.

თავისი შინაარსითა და პირობებით, კონტოკორენტული კრედიტი ანალოგიური ხასიათისაა ოვერდრაფტთან. მიუხედავად ამისა, არსებობს მათ შორის რიგი განსხვავებები:

- კონტოკორენტულ კრედიტს ბანკი გასცემს ხაგრძლივი ვადით ურთიერთობის მქონე კლიენტებზე, ხოლო ოვერდრაფტი შეიძლება ნებისმიერ კლიენტთან;
- მოკლევადიან კრედიტზე გადასახადი პროცენტი უფრო მაღალია, ვიდრე ოვერდრაფტზე;
- კონტოკორენტული კრედიტის მიხედვით, დაკრედიტების საფუძველია საკრედიტო ხელშეკრულება. ოვერდრაფტზე საკმარისია ხელშეკრულება ანგარიშზე და შეთანხმება ოვერდრაფტზე;
- მიმდინარე ანგარიში ოვერდრაფტით იძლევა საშუალებას – კლიენტს, აუცილებლობის შემთხვევაში, გაეხსნას სხვა სასესხო და დეპოზიტური ანგარიშები, ხოლო კონ-

ტოკორენტული ანგარიში არის ერთიანი ანგარიში, რომელზეც აისახება კლიენტის ყველა საბანკო ოპერაცია.

- მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში მიმდინარე ანგარიში ოვერდრაფტით გაეხსნება, როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს, მაშინ, როდესაც კონტოკორენტული ანგარიშები გაეხსნება მხოლოდ იურიდიულ პირებს.

9.4. სათამასუქო კრედიტები

დაკრედიტების ნებისმიერი ფორმა, თამასუქების მიონაწილეობით, იწოდება სათამასუქო დაკრედიტებად, ამასთან იმ პირობით, რომ მას არ მიეკუთვნება თამასუქებით გაცემული კრედიტი. საბანკო თამასუქების მიღება და შემდგომში მათ ანგარიშზე ანგარიშსწორება სათამასუქო დაკრედიტების ერთ-ერთ ფორმაა. საბანკო თამასუქების გაცემასთან ერთად, შესაძლოა ერთდროულად საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, რომლის თანახმადაც, მსესხებელი ვალდებული იქნება განსაზღვრულ დროში შეიტანოს ნომინალის ტოლი თანხა პლუს შეთანხმებული პროცენტი. ამ თანხით შემდგომში თამასუქი ქრება, როცა ბოლო თამასუქის მფლობელი წარადგენს მას ბანკში (თამასუქის გამცემთან) ასანაზღაურებლად. ვადამდე თამასუქის ასანაზღაურებლად წარდგენის შემთხვევაში, ბანკმა თამასუქის გაცემის პირობების შესაბამისად შეიძლება ამოიღოს დისკონტი. სათამასუქო კრედიტები იყოფა მუდმივ და ერთდროულ კრედიტებად. სხვაობა მათ შორის გამოიხატება იმაში, რომ მუდმივი კრედიტისას, კლიენტს შეუძლია დაშვებულ საზღვრებში კრედიტის თანხა გამოიყენოს რამდენჯერმე. ერთდროული კრედიტისას, თანხის გამოყენება ნებადართულია მთლიანი თანხით მხოლოდ ერთხელ.

კლიენტი, რომელსაც დაერთო ნება წარადგინოს თამასუქი აღრიცხვაზე მუდმივი კრედიტის სახით, შეუძლია

გადახდების შემოსავლის პარალელურად, უკვე აღრიცხულ თამასუქზე ხელახლა წარადგინოს თამასუქები განსაკუთრებული ნებართვის გარეშე მუდმივი კრედიტის გამოთავისუფლებული ნაწილის ფარგლებში.

თამასუქების აღრიცხვად იწოდება ოპერაცია, რომლითაც ბანკი, თამასუქის წარმდგენისაგან, თამასუქის მიღებისას, მისცემს მას თანხას ამ თამასუქიდან გადახდის ვადამდე და დააკავებს თავის სასარგებლოდ, ე.წ. სააღრიცხვო პროცენტს, ანუ დისკონტს. დისკონტის თანხა განისაზღვრება ფორმულით:

$$s_3 = \frac{t \cdot d \cdot \sqrt{v_{360}}}{100 \cdot 360}$$

სადაც s_3 - არის სააღრიცხვო პროცენტის თანხა (დისკონტი);

t - თამასუქის თანხა;

d - დრო დღეებში თამასუქის მიხედვით;

$\sqrt{v_{360}}$ - წლიური საპროცენტო განაკვეთი.

დისკონტის თანხა ბანკის მიერ დაკავდება თამასუქის თანხიდან მისი აღრიცხვის მომენტში.

კომერციულ ბანკს, რომელიც შეისყიდის ვალებს სასაქონლო თამასუქების დისკონტირების გზით, შეუძლია ერთდროულად გამოიყენოს სააღრიცხვო განაკვეთი, გამომდინარე თამასუქების განაღდებად დარჩენილი ვადების, თამასუქების მიხედვით გადამხდელის საიმედოობისა და სხვა ბანკების სააღრიცხვო განაკვეთების მიხედვით.

იურიდიული კუთხით, თამასუქების აღრიცხვა წარმოადგენს თამასუქის გადაცემას ბანკის სახელით მოსალოდნელი შედეგებით, ე.ი. წარმდგენი ხდება მევალე თამასუქის მიხედვით, ბანკი კი, კრედიტორ-თამასუქის მფლობელი.

ეკონომიკური არსით, თამასუქით საშუალებების ვადამდელი მიღება თამასუქის მფლობელისათვის ნიშნავს მისგან სესხის მიღებას, რომელიც შემდგომში დაიფარება მსესხებლისგან თამასუქის მიხედვით. ასე, რომ თამასუქის მფლობელს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია აქციოს ნაღდ და უნაღდო ფულად საშუალებად.

თამასუქის აღრიცხვით მფლობელი თავისუფლდება ბანკზე აღრიცხული თანხის დაბრუნებაზე ზრუნვისაგან, რადგან თვითონ წარადგენს თამასუქს აღრიცხვისათვის. ბანკი, თავის მხრივ, თამასუქის აღრიცხვაზე მიღებით, იღებს შემოსავალს პროცენტის დაკაფების გზით.

სათამასუქო კრედიტი ბანკის მიერ შეიძლება გაიცეს სესხის სახით, თამასუქების გირაოს ქვეშ. თამასუქის გირაოთი სესხის გაცემად გაიგება ისეთი ოპერაცია, რომლის თანახმად, ბანკი კლიენტზე გასცემს სესხს ფულადი ფორმით, ხოლო გადახდის უზრუნველსაყოფად მსესხებლისგან მიიღებს მის განკარგულებაში არსებულ სასაქონლო თამასუქს.

ბანკის მიერ თამასუქების აღრიცხვის ოპერაციებსა და სესხის გირაოდ თამასუქის ქვეშ გაცემის ოპერაციებს შორის, არის მნიშვნელოვანი განსხვავებები:

1. თამასუქის აღრიცხვისას, ფულადი საშუალებებისა და თამასუქების მოძრაობა მიმდინარეობს პარალელურად. თამასუქების გირაოთი სესხის მიღებისას, თამასუქების და ფულის მოძრაობა ერთმანეთს არ ემთხვევა;

2. თამასუქების აღრიცხვა ბანკისათვის წარმოადგენს თამასუქების შესყიდვის ოპერაციებს. ბანკი ხდება თამასუქების მფლობელი. სესხის თამასუქების გირაოს ქვეშ გაცემისას, ბანკისათვის უზრუნველსაყოფად მიღებული თამასუქის მესაკუთრედ რჩება მისი წარმდგენი.

3. დისკონტური ოპერაციების განხორციელებისას, კლიენტი ბანკისაგან იღებს თამასუქის მთლიან თანხას სააღრიცხვო განკვეთით პროცენტის გამოქვითვით. სესხები, თამასუქის გირაოს ქვეშ, გაიცემა თამასუქის ნომინალური ღირებულების 60-90%-ის ფარგლებში.

4. პროცენტები, თამასუქების აღრიცხვისას, კლიენტს ეკავება ერთდროულად დისკონტირებით, სასესხო ანგარიშის მიხედვით კი, ერიცხება კვარტალურად. როგორც წესი, სააღრიცხვო პროცენტი დაბალია კრედიტზე საბანკო პროცენტთან მიმართებაში. თამასუქის სააღრიცხვო პროცენტი ამოიგება თამასუქის ვადების მიხედვით და ვადამდელი გამოსყიდვისას არ ბრუნდება და სხვა.

სესხების გაცემისას თამასუქის გირაოს ქვეშ, მარტივი სასესხო ანგარიშებიდან გირაოს ობიექტად გამოდის

ყოველი ცალკეული თამასუქი, როგორც განსაკუთრებული ფასიანი ქაღალდი. სესხის სიდიდე და ვადები პირდაპირ დამოკიდებულია საგირავნო თამასუქის დაფარვის ვადაზე და მის ნომინალზე.

თუ ასეთი სესხის მიძღვება არ შეასრულა ვალდებულება, ბანკს უფლება აქვს, შეტყობინების გაგზავნიდან 10 დღის შემდეგ, გაყიდოს გირაოში ჩადებული ყველა თამასუქი და დაფაროს დავალიანებები სასესხო ანაგრიშების მიხედვით.

საბანკო კრედიტის ფორმას წარმოადგენს ფორფეიტინგი და იგი გამოიყენება საგარეო სავაჭრო გარიგების დასაკრედიტებლად, ექსპორტიორიდან იმპორტიორი აქცეპტირებული კომერციული თამასუქების შესყიდვის ფორმით, გამყიდველის ბრუნვის გარეშე. ფორფეიტინგის განსხვავება თამასუქების აღრიცხვის ოპერაციებისაგან გამოიხატება იმაში, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მყიდველი-ფორფეიტორი უარს ამბობს მყიდველთან რეგრესის უფლებაზე. ყველა რისკი - ეკონომიკური და პოლიტიკური, მთლიანად გადადის ფორფეიტორთან. სააღრიცხვო განაკვეთები ასეთ ოპერაციებზე უფრო მაღალია, ვიდრე დაკრედიტების სხვა ოპერაციებზე. ფორფეიტინგი ვალუტის რისკის შესამცირებლად შეიძინება მყარ ვალუტაში. საპროცენტო განაკვეთის სიდიდე დამოკიდებულია მვეალის კატეგორიაზე, ვალუტაზე და დაკრედიტების დროზე.

ფორფეიტინგული ოპერაციები - არის ერთჯერადი ოპერაციები, რომელიც ხორციელდება ცალკეული თამასუქის ყიდვა-გაყიდვასთან კავშირში. თამასუქის შეძენა ფორმდება სტანდარტული ხელშეკრულებით, სადაც მოცემულია გარიგების სუსტი აღწერა, ვადები, ხარჯები, გარანტიები და სხვა.

თამასუქი გადაეცემა ბანკს (ფორფეიტერს) ინდოსამენტის გზით. გადახდის ვადის დადგომისას, თამასუქი წარედგინება მვეალეს ფორფეიტორის სახელით. ფორფეიტინგული ოპერაციები მიმწოდებელი - ექსპორტიორები იღებენ გადატვირთული საქონლის ღირებულებას (სააღრიცხვო განაკვეთის გამოკლებით), იმპორტიორის მიერ გაცემული თამასუქის მიხედვით გადახდის ვადის დადგომამდე. ბანკი თავისუფლდება გადახდის ვადებზე ყურად-

ღებისაგან და გადახდის ამოგების ღონისძიებებისაგან.

სათამასუქო კრედიტების განსაკუთრებულ სახეობას შეიძლება მივაკუთვნოთ ფაქტორინგული ოპერაციები. აქტორინგი არის ბანკის მიერ გამყიდველის მყიდველთან ფულადი მოთხოვნების შექენა გამყიდველისათვის თანხის დაუყოვნებლივი ან მყიდველისაგან მისი დაფარვის შესაბამისად გადახდით. ამ ოპერაციების შესრულებაზე ბანკი იღებს განსაზღვრულ საკომისიო გასამრჯელოს. ჩვეულებრივად, ვალის ძირითადი თანხა გადაიხდება დაუყოვნებლივ, მცირე ნაწილი - მყიდველის მიერ თამასუქის დაფარვის შემდეგ. ფაქტორინგი ხელსაყრელია ამ ოპერაციის ყველა მონაწილისათვის (ბანკი - სამეურნეო სუბიექტი, იგივე გამყიდველი, კლიენტი თამასუქის დამთმობი-მევალი).

9.5. კონსორციული კრედიტი

კონსორციუმი წარმოადგენს სხვადასხვა კომერციული ერთეულების ერთობლიობას, მათ შორის, ბანკების დროებით გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე რაიმე პროექტის განსახორციელებლად.

განსაკუთრებული ადგილი ასეთ გაერთიანებებში ეკუთვნის საბანკო კონსორციუმს, რომელიც იქმნება ერთობლივ საფუძველზე საკრედიტო, საგარანტიო ან სხვა საკრედიტო-საფინანსო ოპერაციების განსახორციელებლად.

კონსორციული კრედიტი არის კრედიტი, რომლის წარდგენა ხორციელდება რამდენიმე კრედიტორის მიერ ერთ მსესხებელზე. ასეთ სესხებს, სინდიცირებულ სესხებს უწოდებენ (ბერძნულიდან sindikos - მოქმედება ერთად, თანაბრად).

კონსორციული კრედიტის უპირატესობაა, რომ ის მონაწილეობს პრესტიჟულ კონსორციალურ გარიგებაში, ამყარებს საქმიან კონტაქტებს, პოულობს ახალ პარტნიორებს.

ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა ბანკებს-კონსორციუმის წევრებს შორის საკრედიტო რესურსების მოზიდვისა და გამოყენებისათვის, განისაზღვრება ბანკებს

შორის კონსორციუმზე ხელშეკრულების გაფორმებისას, რომელშიც მოცემულია კონსორციუმის შექმნის მიზანი, მონაწილეთა შემადგენლობა, კონსორციული მონაწილეობა საკრედიტო გარიგებაში, რესურსების წილი, კონსორციუმის მონაწილეთა ვალდებულებები და უფლებები. კონსორციუმის ხელშეკრულებაში აისახება კონსორციული გარიგების ფინანსური პირობები, გაითვალისწინება ქონებრივი პასუხისმგებლობის შესაძლო ფორმები. სესხის დაფარვის დროის დადგომისას, მსესხებელი უბრუნებს კრედიტორებს არა მარტო ვალის თანხას და კრედიტის სარგებლობისათვის პროცენტს, არამედ ანაზღაურებს იმ ხარჯებსაც, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო ოპერაციების ორგანიზაციასა და განხორციელებასთან.

კონსორციული კრედიტების მსესხებლის რანგში შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი საწარმო, ორგანიზაცია, ბანკი და სახელმწიფო. კონსორციული კრედიტის ობიექტებია სასაქონლო ოპერაციები, ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, სავალუტო ბაზარზე სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების დანერგვა და სხვა.

კონსორციული კრედიტით დაკრედიტების პირობები განისაზღვრება მსესხებლის საიმედოობით დასაფინანსებელი პროექტით, სხვა ბანკების მონაწილეობით დაკრედიტებაში, სასესხო ვალუტით, შესაძლო რისკებით და მათი დაზღვევის მეთოდებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, განისაზღვრება სესხის სახე, კრედიტზე პროცენტი, კრედიტის კონსორციუმიდან მიღების წესი.

9.6. გრძელვადიანი კრედიტები

ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის შექმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან კრედიტებს. ეს კრედიტი დაკავშირებულია საშუალებათა დაბანდებაზე ეკონომიკის რეალურ სექტორში და წარმოადგენს ქვეყნის და ქვეყანაში წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების წყაროს.

თანამედროვე პირობებში, გრძელვადიანი დაკრედიტების წილი მთლიან დაკრედიტებაში, სხვადასხვა ფაქტორების გავლენის გამო, ძალზე დაბალია. პირველ რიგ-

ში, ეს გამოწვეულია შესაბამისი რესურსების უქონლობით, მაღალი საკრედიტო რისკებით, დაკრედიტების პრინციპების დაცვის სიმძნელებით კრედიტის დაფარვის წყაროების არასწორი არჩევის გამო და სხვა.

გრძელვადიანი კრედიტის ორგანიზაცია გულისხმობს დაკრედიტების სუბიექტებისა და ობიექტების გამოყოფას, სესხების გაცემისა და მსესხებელიდან ანაზღაურების წესს.

დაკრედიტების სუბიექტი შეიძლება გამოვიდეს სახელმწიფო საჯარო იურიდიული პირები, კორპორაციები, საწარმოები, ფიზიკური პირები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კრედიტის ზღვრული ვადების განსაზღვრას. ის შედგება სამი ნაწილისაგან: დასაკრედიტებელი ობიექტის მშენებლობის დროის, ათვისების დროისა და დანახარჯების ამოგების დროისაგან. კრედიტის დაფარვის დაწყების პერიოდად ბანკებმა უნდა მიიჩნიონ დრო, როცა ობიექტი მიყვანილია საპროექტო სიმძლავრემდე.

ბანკმა განსაკუთრებული კონტროლი უნდა დააწესოს გრძელვადიანი კრედიტების მიცემასა და მის მიზნობრივ გამოყენებაზე. კონტროლი ხორციელდება წინასწარ, კრედიტის გაცემის დროს (წინასწარი კონტროლი) და შემდგომ, კრედიტის გამოყენების სტადიაზე (შემდგომი კონტროლი).

წინასწარი კონტროლი სასურველია განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით:

- გათვალისწინებული ღონისძიების დაკრედიტების ობიექტისადმი და საწარმოს განვითარების პერსპექტივების შესაბამისობაზე;
- კრედიტის დაფარვის წყაროების არსებობაზე;
- დასაკრედიტებელი ობიექტის ეკონომიკური ეფექტიანობისა და ამოგების გაანგარიშების დასაბუთებაზე.

ამ კონტროლის განხორციელება შეიძლება იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომელსაც მსესხებელი წარადგენს ბანკში კრედიტის მისაღებად. საჭიროების შემთხვევაში, ბანკმა უნდა მოითხოვოს მსესხებელიდან დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

გრძელვადიანი კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმად, უმეტეს შემთხვევაში, გამოიყენება მოძრავი და უძრავი ქონების გირაო.

საკრედიტო ურთიერთობა ბანკსა და მსესხებელს შორის ფორმდება ხელშეკრულებით.

9.7. ბანკთაშორისი კრედიტები

ბანკთაშორის კრედიტებს, ისე, როგორც საბანკო სისტემას, გააჩნია ორი დონე. პირველი ასახავს საშუალებების მოძრაობას სებ-იდან კომერციულ ბანკებში. მეორე - კომერციულ ბანკებს შორის. ბანკთაშორისი კრედიტის ნორმალური ფუნქციონირება აუცილებელი და შეუცვლელი პირობაა საბანკო საქმიანობაში.

ბანკთაშორისი კრედიტის არსებობა გულისხმობს, რომ ყველა ბანკს პერიოდულად შეიძლება გააჩნდეს საკრედიტო რესურსების სიჭარბე და უკმარისობა. ბანკთაშორისი დაკრედიტება წარმოადგენს საფინანსო ბაზრის მსხვილ სეგმენტს, სადაც ხორციელდება საკრედიტო რესურსების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები ბანკთაშორისი კრედიტებისა და ბანკთაშორისი დეპოზიტების სახით.

ბანკთაშორისი კრედიტების ძირითადი მახასიათებელია რესურსების გადაანაწილება კრედიტის სუბიექტებს, ამ შემთხვევაში, ბანკებს შორის. ამასთან, მისი არსი განისაზღვრება საბანკო რესურსებით და საგირაო ღირებულებით, კრედიტის ფასიანი მოძრაობით, კრედიტის გაცემისას მოძრაობის მიმართულებით და მისი დაფარვით. საერთო სახით, ბანკთაშორისი კრედიტი არის ბანკ-კრედიტორსა და ბანკ-მსესხებელს შორის ღირებულების გაცვლა საკრედიტო და საგირავნო ფორმებით.

ბანკთაშორისი კრედიტის ფუნდამენტალური თავისებურება განისაზღვრება მისი არსით და მდგომარეობს გასესხებული ღირებულების ფასიან გაცვლაში საგირაო ღირებულებაზე. ფუნქციონალური თავისებურება გამოიხატება წარმოების დაკრედიტების რესურსების გაფართოებაში, კრედიტის მულტიპლიკაციის პროცესის დაჩქარება-

ში, ფინანსური ბაზრის სეგმენტებს შორის საბაზო რესურსების განაწილებაში.

საკრედიტო რესურსები, რომელიც იყიდება და შეიძინება ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარზე, ეკონომიკური თვისებების მიხრე იყოფა ორ დიდ ჯგუფად:

- ბანკთაშორისი კრედიტები;
- ბანკთაშორისი დეპოზიტები.

ვადიანობის მიხედვით, ასხვავებენ ბანკთაშორის კრედიტებს: მოთხოვნამდე და ვადიანს. ბანკთაშორისი კრედიტები მოიზიდება და განთავსდება შემდეგი ვადებით: 1 დღე; 2-7 დღე; 31-90 დღე, 91-180 დღე; 181 დღე - 1 წელი. მოთხოვნამდე ბანკთაშორისი კრედიტი ითვალისწინებს ხელშეკრულებით დადგენილ მინიმალურ ვადებს, რომლის გასვლის შემდეგ, გადადის უვადო სესხების თანრიგში და კრედიტორის მიერ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს წინასწარი შეტყობინებით ნებისმიერი მომენტისათვის.

ბანკთაშორისი კრედიტი კრედიტის ფასიანობის კრიტერიუმებით შეიძლება იყოს: საბაზრო, შედარებით მაღალი და შედავათიანი საპროცენტო განაკვეთიანი კრედიტი.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი - არის განაკვეთი, რომელიც ყალიბდება კრედიტის წარდგენის მომენტისათვის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის პირობებში. ბანკთაშორისი კრედიტი მომატებული საპროცენტო განაკვეთით წარმოიშობა მოცემულ კონკრეტულ მსესხებელზე წარდგენის მაღალი რისკის გამო, საკრედიტო პირობების დარღვევის, საკრედიტო რესურსების ღირებულების ზრდის პროგნოზის, საკრედიტო პირობების დარღვევის, საკრედიტო რესურსების ღირებულების ზრდის პროგნოზისას. შედავათიანი საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს დაკრედიტებასთან დიფერენციალური მიდგომის ელემენტს და ბანკთაშორისი კრედიტის ბაზრის თავისებურებების გამო, იშვიათად გამოიყენება.

ბანკთაშორისი კრედიტების კლასიფიცირება შეიძლება გარიგების ვალუტის მიხედვითაც: ბანკთაშორისი კრედიტები ეროვნული ვალუტით, ბანკთაშორისი კრედიტი უცხოური ვალუტით.

ტრადიციული ვადიანი ბანკთაშორისი კრედიტის გამოყენებასთან ერთად, ფართო გავრცელება ჰპოვა ბანკ-

თაშორისმა ისეთმა კრედიტებმა, როგორცაა: დაჯავშნული საშუალებები საკორესპოდენტო ანგარიშების მიხედვით და ოვერდრაფტი. დაჯავშნული (ანუ შეუმცირებადი ნაშთი) საშუალებები ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშებზე ფორმდება ცალკე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაზე პროცენტის დარიცხვით. საკორესპოდენტო ანგარიშის გახსნაზე ხელშეკრულების გაფორმებისას, ხშირად ითვალისწინებენ მუშაობას საკორესპოდენტო ანგარიშზე ოვერდრაფტის რეჟიმში, ე.ი. გადახდების განხორციელების საკორესპოდენტო ანგარიშზე ნაშთის ზემოთ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, რომლის სიდიდე დამოკიდებულია საკორესპოდენტო ანგარიშზე საშუალებების ყოველდღიურ ნაშთზე, დოკუმენტბრუნვის ვადაზე, საკორესპოდენტო ანგარიშზე ბრუნვის მოცულობაზე.

ბანკთაშორისი კრედიტების გაცემა, მიღება და დაფარვა ხორციელდება სახელშეკრულებო საფუძველზე.

დაკრედიტება

10.1. სამომხმარებლო კრედიტის სახეები

ფიზიკურ პირებზე (მოსახლეობაზე) გაცემულ კრედიტებს მეორენაირად, სამომხმარებლო კრედიტებს უწოდებენ. სამომხმარებლო ხასიათი განისაზღვრება გასაცემი სესხის მიზნით. ასეთი სესხების კლასიფიკაცია მრავალი ნიშნით წარმოებს, მათ შორის, მსესხებლის ტიპის, უსრუნველყოფის სახეების, დაფარვის ვადებისა და მეთოდების, გამოყენების მიზნობრივი მიმართულების, დაკრედიტების ობიექტების, კრედიტის მოცულობისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

საკრედიტო გარიგების სუბიექტების მიხედვით ასხეავენ:

- საბანკო სამომხმარებლო სესხებს;
- სავაჭრო ორგანიზაციებიდან მოსახლეობაზე

გაცემულ სესხებს;

- არასაბანკო ტიპის საკრედიტო დაწესებულებების (ლომბარდები, გაქირავების პუნქტები, ურთიერთდახმარების საღაროები, საკრედიტო კოპერატივები, სამშენებლო საზოგადოებები, საპენსიო ფონდები და ა.შ.) სამომხმარებლო სესხებს.

- კერძო სამომხმარებლო სესხებს.

- სამომხმარებლო სესხებს უშუალოდ საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან თავისთავად მუშა-მოსამსახურეებზე;

მსესხებლის სახის მიხედვით, ასხეავენ სესხებს:

- მოსახლეობის ყველა ფენისათვის;
- განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებზე;
- მსესხებელთა ჯგუფებზე, განსხვავებული შემოსავლებისა და გადახდისუნარიანობის დონის მიხედვით;
- სტუდენტებზე და სხვა.

მიზნობრივი მიმართულების მიხედვით, სესხები შეიძლება იყოს მიზნობრივი (სესხები განათლებაზე, სესხები ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ, იპოთეკური) და არამიზნობრივი (გადაუდებელი საჭიროებისათვის, ოვერდრაფტი).

უზრუნველყოფის მიხედვით, ასხვავებენ უზრუნველყოფილ და უზრუნველყოფის გარეშე (საბანკო) სესხებს.

წარდგენის წესის მიხედვით, სესხები იყოფა ერთჯერად და განახლებად (გამეორებად, რიველველურ) სესხებად. განახლებად კრედიტებს მიეკუთვნება კრედიტები საკრედიტო ბარათების მიხედვით და ოვერდრაფტი.

სამომხარებლო სესხები, დაკრედიტების ვადების მიხედვით, იყოფა:

- მოკლევადიან (ვადით 1 დღიდან 1 წლამდე);
- საშუალოვადიან (ვადით 1 წლიდან 3-5 წლამდე);
- გრძელვადიან (ვადით 3-5 წლის ზევით) კრედიტებად;

დაფარვის მეთოდების მიხედვით, ასხვავებენ სესხებს: გადახდის გადავადების გარეშე დაფარვით და სესხები – გადახდის გადავადებით. სესხები გადახდის გადავადების გარეშე გამოირჩევა მნიშვნელოვანი თავისებურებით: ასეთ სესხებზე დავალიანების დაფარვა, პროცენტის ჩათვლით, ხორციელდება ერთდროულად. სესხების გადახდის გადავადება მოიცავს: სესხებს თანაბარზომიერი დაფარვის პერიოდით (ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად და ა.შ.), სესხებს არათანაბარზომიერი დაფარვის პერიოდით (გადასახდელი თანხა სესხის დასაფარად იცვლება).

გადახდის გადავადების სესხებმა შეიძლება მიიღოს ბანკის პირდაპირი ან ირიბი კრედიტის ფორმა. პირდაპირი კრედიტის პირობებში, ბანკსა და მსესხებელს შორის, ფორმდება საკრედიტო ხელშეკრულება. ირიბი საბანკო კრედიტი გულისხმობს ბანკსა და კლიენტს შორის საკრედიტო ურთიერთობაში შუამავლის არსებობას. ასეთ შუამავლად ხშირად გამოდის საცალო ვაჭრობის საწარმოები. ამ შემთხვევაში, საკრედიტო ხელშეკრულება დაიდება კლიენტსა და მაღაზიას შორის, რომელიც შემდგომი რიგით მიიღებს სესხს ბანკში. კომერციული ბანკი ფიზიკურ პირებზე გასცემს სესხებს:

• უძრავი ობიექტის შექენაზე, მშენებლობაზე და რეკონსტრუქციაზე;

• გადაუდებელი საჭიროებისამებრ – სატრანსპორტო საშუალებების, ძვირად ღირებული საოჯახო ნივთების

შეძენაზე, ფასიან სამედიცინო მომსახურებაზე, ტურისტული და სანატორიული საგზურების შეძენაზე და სხვა.

კომერციულ ბანკს უფლება აქვს ასევე, გასცეს კრედიტები სასწავლო დაწესებულებებში სწავლებისათვის, ანუ სტუდენტური კრედიტები. დაკრედიტების ლიმიტი ასეთ შემთხვევაში, განისაზღვრება ბანკის მიერ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის გადახდისუნარიანობის საფუძველზე.

10.2. სამომხმარებლო კრედიტის გაცემა და დაფარვა

ბანკის მიერ კრედიტის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ფორმდება საკრედიტო ხელშეკრულება, კრედიტის დაფარვის გრაფიკი და ვადიანი ვალდებულება.

კრედიტის გაცემის უზრუნველსაყოფად, ბანკმა შეიძლება მიიღოს:

- მუდმივშემოსავლიანი ფიზიკური პირების თავდებობა;

- ბანკის გადახდისუნარიანი იურიდიული პირების - კლიენტების თავდებობა;

- გირაოში - სესხის მიმღების უძრავი ქონების ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება.

გაცემული სესხების ასაღრიცხავად, ბანკი გახსნის სასესხო ანგარიშს. სასესხო ანგარიში არ არის მსესხებლის ანგარიში. აქ ის არის ბანკის შიგასაბალანსო ანგარიში. მასზე აისახება მსესხებელზე უკვე გაცემული სესხები. სესხი გაიეცემა ორი გზით: ნაღდი ფულის სახით სალაროდან და უნაღდო სახით პლასტიკურ ბარათზე ჩარიცხვით, მოთხოვნამდე ანგარიშზე ჩარიცხვით ან სავაჭრო დაწესებულებათა ანგარიშების ანაზღაურებით.

საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ბანკი:

1. აკონტროლებს მსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას;

2. ამოწმებს ხელშეკრულებით გათვალისწინე-

ბული საშუალებების ხარჯვაზე ანგარიშგებას და სხვა დოკუმენტებს;

3. ახორციელებს შემოწმებას, საჭიროებისამებრ, ადგილზე;

4. ღებულობს ღონისძიებებს ვადაგადაცილებული დაეალიანების დაფარვაზე;

5. აფორმებს ცვლილებებს საკრედიტო პირობებისა და სხვა ხელშეკრულების მხრივ;

6. ახორციელებს ოპერაციებს სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგების რეზერვების შესაქმნელად და სხვა;

მსესხებლის მიერ დაეალიანების დასაფარავად, შეტანილი თანხა საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, გადახდის დანიშნულების მიუხედავად, მიიმართება შემდეგი რიგითობით:

- პირგასამტეხლოს დასაფარად;
- ვადაგადაცილებული პროცენტების დასაფარად;
- ვადიანი პროცენტების დასაფარად;
- სესხების მიხედვით ვადაგადაცილებული დაეალიანების დასაფარად;
- სესხების მიხედვით ვადაგადაცილებული ვადიანი დაეალიანების დასაფარავად;

კრედიტის დაფარვა ხორციელდება: საღაროში ნაღდი ფულით; ანაბრების ანგარიშებიდან გადარიცხვით; მისაღები გასამრჯელოდან, პენსიებიდან და ა.შ. დაკავებით და სხვა.

მსესხებლისაგან სამომხმარებლო კრედიტის დასაფარად თანხების მიუღებლობის შემთხვევაში, ბანკი მიმართავს კრედიტზე უზრუნველყოფას ამონაგების მიზნით.

10.3. იპოთეკური კრედიტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საკრედიტო გარეგებისას ხშირად გამოყენებულ ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს იპოთეკური კრედიტი, ანუ კრედიტი უძრავი ქონების გირაოს ქვეშ. საგირავნოდ, ისეთ ნივთებთან ერთად,

როგორცაა ბინა, სხვა შენობები - ფართოდ გამოიყენება მიწა.

საიპოთეკო დაკრედიტების სისტემა შეიძლება მოიცავდეს ორ მიმართულებას:

- საიპოთეკო კრედიტების უშუალოდ გაცემა მეურნე სუბიექტებზე და მოსახლეობაზე;

- საიპოთეკო კრედიტების (იპოთეკური ვალდებულებების) გაყიდვა მეორად ბაზარზე, რომელიც უსრუნველყოფს რესურსების დამატებით მოზიდვას დაკრედიტებისათვის.

პირველი მიმართულებით, ძირითადად, დასაქმებულთა საიპოთეკო ბანკები ან ჩვეულებრივი კომერციული ბანკები, მეორეთი - ფინანსური კომპანიები, ფონდები, რომელსაც შეუძლია შეიძინოს ქონების გირაოთი უსრუნველყოფილი საიპოთეკო ბანკების აქტივები და შემდეგ, თავისი სახელით ბაზარზე გამოუშვას ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები).

უმეტეს შემთხვევაში, საიპოთეკო სესხები გაიცემა საბინაო მშენებლობის კუთხით. ბანკს ასეთი სამი სახის კრედიტის გაცემის შესაძლებლობა აქვს. კერძოდ, შეუძლია გასცეს:

ა) მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტი მსესხებელზე მიწის შექენაზე და მოწყობაზე მომავალი საბინაო მშენებლობისათვის, ანუ მიწაზე კრედიტი;

ბ) მოკლევადიანი კრედიტი ბინის მშენებლობაზე (რეკონსტრუქციაზე) სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებისათვის – სამშენებლო კრედიტი;

გ) გრძელვადიანი კრედიტი ბინის შესაქენად – კრედიტი ბინის შექენაზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტის დაკრედიტება ხორციელდება საერთოდ დაკრედიტებისათვის მიღებული: მიზნობრიობის, უსრუნველყოფის, ვადიანობისა და ფასიანობის პრინციპების დაცვით.

ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ბანკსა და მსესხებლებს შორის ურთიერთკავშირს, წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულება გირაოზე (იპოთეკაზე).

11.1. კომერციული ბანკის ფასიანი ქაღალდებით

ოპერაციების არსი და სახეები

ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც გამოხატავს მფლობელის უფლებას ან დამოკიდებულებას სესხის მიმართ. ფასიანი ქაღალდების ძირითად სახეებს წარმოადგენს: აქციები, ობლიგაციები, თამასუქები, დაგირაგების ფურცლები.

ფასიანი ქაღალდების ემიტენტი გამომშვები იურიდიული პირი პასუხისმგებელია ინვესტორების წინაშე ამ ფასიანი ქაღალდებისათვის.

კომერციული ბანკი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შეიძლება გამოვიდეს, როგორც ფასიანი ქაღალდების ემიტენტი, შუამავალი ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებში და განახორციელოს თავისი სახელით ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით შემოსავლების მიღების მიზნით.

კომერციული ბანკების გომშვებული ფასიანი ქაღალდები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ორ დიდ ჯგუფად:

- აქციები და ობლიგაციები;
- საშემნახველო და სადეპოზიტო სერთიფიკატები, თამასუქები.

კომერციული ბანკი აქციებს უშვებს, როგორც სააქციონერო საზოგადოებები და არა როგორც საფინანსო-საკრედიტო საზოგადოება.

თამასუქების საშემნახველო და სადეპოზიტო სერთიფიკატების ემისიისა და მომსახურებისას, კომერციული ბანკი ასრულებს თავის ძირითად დანიშნულებას – ფულის აკუმულირება და საგადამხდელი საშუალებების შექმნას.

ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების შუამავლის როლის შესრულებისას, კომერციული ბანკი აქციების გამომშვები საწარმოების დავალებით, ახორციელებს აქციების გაყიდვას, შენახვასა და მათზე დივიდენდების მიღებას საკომისიო გასამრჯელოსათვის.

საკომისიო საწყისებზე კომერციული ბანკი ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამომწვევებთან განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთარ თავზე იღებს მათ გაყიდვას ან მათი მიხედვით შემოსავლების მიღებას.

ბანკს შეუძლია მიიღოს მსესხებლისაგან ფასიანი ქაღალდები გირაოს სახით. გირაოს ვადა განისაზღვრება ბანკსა და სესხის ამღებს შორის დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში.

გარდა ამ ოპერაციებისა, ბანკი, ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების კუთხით, ახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის ოპერაციებს, გამოდის დეპოზიტარის როლში, ე.ი. ახორციელებს აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას, აქციონერების რეესტრს.

კომერციული ბანკის მუშაობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ხორციელდება საბანკო ლიცენზიის ფარგლებში.

ბანკის ყველა ოპერაცია ფასიანი ქაღალდებით შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

1. ბანკის საკუთარი გარიგებები ფასიანი ქაღალდებით:

- საინვესტიციო;
- სავაჭრო;

2. ბანკის საგარანტიო ოპერაციები.

ბანკის საკუთარი გარიგებები ფასიანი ქაღალდებით ხორციელდება ბანკის ინიციატივით, მისი სახელით და მის ანგარიშზე. ბანკების საკუთარი გარიგებები ფასიანი ქაღალდებით იყოფა ინვესტიციებად და სავაჭრო ოპერაციებად.

ბანკს შეუძლია განათავსოს საკუთარი საშუალებები მყარპროცენტთან ფასიანი ქაღალდებში შემოსავლების მიღების მიზნით. ასეთი საქმიანობა, დაკრედიტებასთან მიმართებაში, ბანკის ალტერნატიული საქმიანობაა.

ბანკის მყარპროცენტთან ფასიანი ქაღალდებში ინვესტიციების ინტენსიობა დამოკიდებულია საკრედიტო ბაზარზე საკრედიტო რესურსებზე კლიენტების მოთხოვნაზე და საპროცენტო განაკვეთის დინამიკაზე.

ბანკი შეიძლება გამოვიდეს დამოუკიდებელი ვაჭრის

როლში, როცა ის ფასიან ქაღალდებს შეიძენს საკუთარი პორტფელისათვის ან გაყიდის მას. ასეთი სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას, ბანკის მიზანია ამოიღოს შემოსავალი სხვადასხვა ბირჟებზე ერთი და იგივე ფასიანი ქაღალდების კურსთა შორის სხვაობიდან.

კომერციულ ბანკს, როცა ის საინვესტიციო კომპანიის როლში გამოდის, შეუძლია მესამე პირის სასარგებლოდ გასცეს გარანტიები ფასიანი ქაღალდების განთავსების მიხედვით. ეს საინვესტიციო კომპანიების ან საემისიო კონსორციუმების იგივე რისკების დაზღვევაა, რომლებიც დაკავებულია ფასიანი ქაღალდების განთავსებით. ბანკი, ასეთ შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების არასრული განთავსებისას, საკუთარ თავზე იღებს განუთავსებელ ნაწილს წინასწარი შეთანხმებული კურსის მიხედვით. ფასიანი ქაღალდების სრული განთავსებისას, ბანკი იღებს რისკისათვის საკომისიო ჯილდოს.

11.2. კომერციული ბანკის საინვესტიციო ოპერაციები

ინვესტიციები წარმოადგენს საშუალებათა გრძელვადიან დაბანდებას ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მოგების მიღების მიზნით.

განასხვავებენ შემდეგი სახის ინვესტიციებს:

- პირდაპირს – როცა კაპიტალის დაბანდება ხორციელდება უშუალოდ წარმოებაში;
- პორტფელურს – როცა საშუალებების დაბანდება ხორციელდება გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში;
- საწარმოს – როცა საშუალებების დაბანდება ხორციელდება ახალ მშენებლობებზე, რეკონსტრუქციებზე, საწარმოს გაფართოებასა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე;

- რეალურს - საშუალებების გრძელვადიანი დაბანდება ხორციელდება მატერიალურ წარმოებაში;
- მაკონტროლირებადი - ინვესტიციები, რომელიც უზრუნველყოფს სხვა კომპანიების აქციების 50%-ზე მეტის ფლობას;
- არამაკონტროლირებადი - ინვესტიციები, რომელიც უზრუნველყოფს სხვა კომპანიების აქციების 50%-ზე ნაკლების ფლობას;
- უცხოური - საზღვარგარეთელი მფლობელების ინვესტიციები კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდების ფორმით;
- ფინანსური - საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო საქმიანობა, რომელიც მოიცავს ოპერაციას ფასიანი ქაღალდებით.

საინვესტიციო საქმიანობა წარმოადგენს პრაქტიკულ ქმედებათა განხორციელებას ინვესტიციების დაბანდების და ინვესტიციების რეალიზაციის კუთხით.

ბანკის საინვესტიციო ოპერაცია - არის ფულადი და სხვა სახის დაბანდებები ფასიან ქაღალდებში, უძრავ ქონებაში, სხვა საწარმოების საწესდებო ფონდებში და სხვა დაბანდების ობიექტებში, რომელთა საბაზრო ღირებულება ზრდის უნარით ხასიათდება და ბანკს მოუტანს შემოსავლებს პროცენტების, დივიდენდებისა და გადაყიდვიდან მოგების სახით.

კომერციული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესი - ეს არის ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება, ფასიანი ქაღალდების პორტფელის შედგენილობის დაგეგმვა და ანალიზი, პორტფელის მართვა მის წინაშე დასმული მიზნების მისაღწევად, ლიკვიდობის აუცილებელი დონის შესანარჩუნებლად, რისკებისა და ხარჯების შესამცირებლად.

საპორტფელო ინვესტირება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- საკუთარი სტრატეგიის შერჩევა და ფორმულირება;
- საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა;
- ბაზრის კომპლექსური ანალიზი;
- სასტარტო პორტფელის ფორმირება;
- პორტფელის რეკონსტრუქცია.

საბანკო-საინვესტიციო პორტფელი (ინვესტიციების პორტფელი) წარმოადგენს იმ საშუალებების ერთობლიობას, რომელიც დაბანდებულია სხვა იურიდიული პირებისათვის და შექმნილია ბანკის მიერ. ბანკის საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურის განსაზღვრის კრიტერიუმებად გამოდის ოპერაციის მომგებიანობა და რისკიანობა, ბალანსის ლიკვიდობის რეგულირების აუცილებლობა და აქტივების დივერსიფიკაცია.

საინვესტიციო პორტფელის ფორმირების შემდეგ, ბანკში დგება ეტაპი, რომელზეც უნდა გადაწყდეს არა მარტო სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების სწორი განკარგვა, ღირებულების შენარჩუნება, არამედ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფლაციაზე დამოუკიდებელი არსებითი შემოსავლების მიღება.

განასხვავებენ საინვესტიციო პორტფელის მართვის ორ ძირითად წესს – აქტიურს და პასიურს. აქტიური მართვა ხასიათდება ინვესტირებული საშუალებებიდან შესაძლო შემოსავლების სიდიდის პროგნოზირებით, შესაძლებლობით განახორციელოს ეს უფრო ზუსტად და ოპერატიულად, ვიდრე ფინანსურმა ბაზარმა, ე.ი. წინასწარ განიჭყრიტოს და დაასწროს მოვლენებს. ნებისმიერი საინვესტიციო პორტფელის დაჭერა ბანკისათვის დროებით საქმედ ითვლება. თუ სხვაობა მოსალოდნელ შემოსავლებში, რომელიც მიღებულია წარმატებული ან წარუმატებელი გადაწყვეტილების შედეგად ან საბაზრო პირობების შეცვლით – ქრება, მთელი პორტფელი ან მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი უნდა შეიცვლოს სხვა პორტფელით.

ბანკი ცდილობს ყოველთვის თვალყური ადევნოს და შეიძინოს შედარებით ეფექტიანი ფასიანი ქაღალდები და მაქსიმალურად ცდილობს განთავისუფლდეს დაბალშემოსავლიანი აქტივებისაგან.

ბანკის საინვესტიციო პორტფელის პასიური მართვა წინასწარ გამომდინარეობს იქიდან, რომ საფონდო ბაზარი

საკმაოდ ეფექტურია ფასიანი ქაღალდების ან დროის აღრიცხვის შერჩევაში. ამ ტაქტიკით შეიქმნება კარგად დივერსიფიცირებული პორტფელები წინასწარ განსაზღვრული რისკის დონით და პორტფელის უცვლელი მდგომარეობით ხანგრძლივად შენარჩუნებით.

პასიური მართვის ორიენტირს წარმოადგენს საინდექსო ფონდი, რომელიც გამოდის პორტფელის ფორმის სახით და შექმნილია შერჩეული ინდექსის მოძრაობის სარკისებური ასახვისათვის, დაახასიათოს მთელი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობა.

ბანკის საინვესტიციო პორტფელის რეკონსტრუქცია ხორციელდება შერჩეული მოდელის რეკომენდაციების შესაბამისად, ბაზრის რეალური კონიუნქტიურისა და შესუბუღების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამ ეტაპზე შეიძლება პორტფელის მოდელის კორექტირება ბაზრის ცვლილებებისა და პორტფელის ეფექტიანობის მართვის პირობების მოთხოვნათა ბაზაზე.

11.3. კომერციული ბანკის საშუაშაველო ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით

ფასიანი ქაღალდებით საშუაშაველო ოპერაციები გულისხმობს ბანკის ისეთი ოპერაციების შესრულებას, როგორცაა:

- საშუალებების მოზიდვა წარმოების განვითარებისათვის (ანდერრაიტიინგი-გამოწერა, კომპანია-ემიტენტის აქციების პირველადი განთავსება. ამ ოპერაციას წინ უსწრებს გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების წინასწარი ანალიზი, შეფასება და ფასების განსაზღვრა);

- გარიგებები საწარმოების შერწყმაზე, ჩაყლაპვაზე და რეკონსტრუქციაზე;

- კლიენტის საინვესტიციო პორტფელების ფორმირებაზე და მართვაზე;

- მუშაობა კლიენტ-ინვესტორებთან ინფორმაციის წარდგენაზე ბაზრის მიმდინარე სიტუაციებზე სწორი საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად;

- საბროკერო, სადილო და სადეპოზიტო ოპერაციები;

- ბანკის კლიენტებთან საკონსულტაციო მომსახურებას აქციების მეორად ემისიასთან, კორპორაციული ობლიგაციების გამოშვებასთან, აქტივების რესტრუქტურისაციასთან დაკავშირებით.

- ბანკის ყველა ეს ოპერაცია მიმართულია შემოსავლების გაზრდისაკენ, ფინანსური მდგრადობის ამაღლებისა და ბანკის საერთო რისკის შემცირებისაკენ.

ბანკის კლიენტი საჭიროებს ფინანსურ რესურსებს ხანგრძლივი ვადით და რადგან თვითონ არ საქმიანობს ფინანსურ ბაზარზე, დახმარებისათვის აკითხავს ბანკს, რომელიც ხდება მისი ფინანსური კონსულტანტი. ბანკი ეხმარება კლიენტს - მოიხიდოს ფინანსური რესურსები, ე.ი. გადაწყვიტოს, რომ მიზნობრივია ფასიანი ქაღალდების განთავსება, საკრედიტო რესურსების გამოყენება ან ვენჩურული საწარმოების შექმნა.

თუ საწარმო მიიღებს გადაწყვეტილებას ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და გაყიდვაზე, ბანკი მასთან თანამშრომლობს გასაყიდი ფასიანი ქაღალდების ფასების დადგენისა და გამოშვების შერჩევისათვის. ბანკს შეუძლია განახორციელოს ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსება ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე მაქსიმალური პირობის ბაზაზე ან გარანტირებული განთავსება ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე.

არც თუ ხშირად, ბანკი-ანდერრაიტერი (გამოშვების გარანტი) მისი განთავსების შემდეგ, ქმნის ახალი ქაღალდებისათვის მეორად ბაზარს. კომერციული ბანკი ხშირად არ მიდის მცირე ფირმების (რომელსაც არ გააჩნია ფართო ნაცნობობა) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარანტიაზე. ასეთ შემთხვევაში, ანდერრაიტინგის მაგიერ ბანკს შეუძლია შესთავაზოს აქციების რეალიზაცია “მაქსიმალური პირობების საფუძველზე”, რომლის დროსაც, განთავსების გარანტები იღებენ ვალდებულებას - გამოიყენონ ყველა ძალისხმევა ფასიანი ქაღალდების გასაყიდად, მაგრამ არ გარანტირებენ მას, ან ის, რომ კომპანია მიიღებს საჭირო ფულად თანხას, ხოლო გაუყიდელი ფასიანი ქაღალდები, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად, რჩება კომპანიის ანგარიშზე.

შერწყმისა და შთანთქმის გარიგებებში მონაწილეობა წარმოადგენს შედარებით ეფექტიან და მომგებიან საქმეს ბანკის საინვესტიციო საქმიანობაში.

ბანკი შეიძლება ჩაერთოს ამ ოპერაციებში:

- შერწყმის ორგანიზაციაში მონაწილეობის გზით;
- მიზნობრივი კომპანიების დახმარების გზით დაცვის ტაქტიკის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის;
- კომპანიის მიზნობრივი შეფასების ჩატარებით (რომელსაც შეიძენენ);
- შერწყმის დაფინანსებაში მონაწილეობით;

აქციების ფასი იზრდება საწარმოთა შერწყმის შედეგად. გაერთიანების ქვეშ, იგულისხმება რამდენიმე კომპანიის ნებისმიერი შეერთება, რომლის შედეგად, წარმოქმნება ერთიანი კომპანია ორი ან მეტი სტრუქტურული ქვედანაყოფით.

ბანკი, ჩვეულებრივად, ფლობს წინადადებათა პაკეტს სხვა საწარმოების შემსყიდველი მსხვილი ფირმის დასაფინანსებლად, რომელშიც ნაწიენებია, როგორც ფასიანი ქაღალდების გამოყენების სქემა განაცხადის განხორციელების დროს, ისე სქემები ფირმების გაერთიანებისა, რომელიც მზადაა ახლა შეისყიდოს მიზნობრივი ფირმის აქციები, შემდეგ კი გამოიტანოს გასაყიდად, როცა დამამთავრებელი წინადადება გაკეთდება.

პერიოდულად, ზოგიერთი საწარმო ან ფინანსური ჯგუფი, ცდილობს ფლობდეს კორპორაციის აქციების საკონტროლო პაკეტებს, ანუ, როგორც მიღებულია, ცდილობს შთანთქმის მცდელობას. შთანთქმა, ეს არის ოპერაცია, რომლის შედეგად, ერთი კომპანია შეიძენს მეორის ყველა აქტივს, მეორე კი კარგავს თავის დამოუკიდებლობას. ხშირად, ასეთი მცდელობა ღია წინადადების ფორმით ხორციელდება მშთანთქმელი ფირმისაგან. ვიდრე ეს წინადადება გაკეთდებოდეს, პრეტენდენტი შეიძენს ფირმის აქციების გარკვეულ რაოდენობას ბროკერების მეშვეობით ღია ბაზარზე. შემდეგ გამოაცხადებს აქციების შესყიდვაზე განცხადებას და წინადადებებს წერილობითი ფორმით გაუგზავნის შესასყიდი ფირმის აქციონერებს. ის

მზადაა შეისყიდოს ყველა ან აქციების ნაწილი, რომელსაც შესთავაზებენ აქციონერი ფირმები.

მრავალი შერწყმა ფინანსირდება შემქმენი კომპანიების თავისუფალი საშუალებების ანგარიშზე. რადგან ეს ყოველთვის ასე არ არის, საჭირო ხდება დამატებითი წყაროების მოძიება სამიზნე ფირმების ფულადი საშუალებების გადახდისათვის. ბანკი შეადგენს კომპანიისათვის ფინანსურ პროგნოზებს და ხარჯთაღრიცხვებს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს ვალის მოცულობა, რასაც კომპანია მოემსახურება. ფირმასთან ერთად შეიმუშავენ დაფინანსების გეგმას (ინვესტიციებზე დანაკლისი თანხა შეაქვს ბანკს), ე.ი. ასეთ შემთხვევაში, ბანკი მუშაობს ორი მიმართულებით: ასრულებს ტრადიციულ საბანკო ოპერაციას (საკრედიტო ოპერაცია) და ეწევა ანალიზურ მუშაობას, დაკავშირებულს ინვესტიციებთან.

12.1. კომერციული ბანკის სალიზინგო ოპერაციები

ტერმინი „ლიზინგი“ მომდინარეობს ლათინური Leasing-იდან და ნიშნავს ქირაში ჩაბარებას-გაქირავებას. სალიზინგო ოპერაციებად იწოდება ოპერაციები, რომელიც გულისხმობს ბრუნვისგარეშე აქტივების გრძელვადიანი პერიოდით იჯარაზე გადაცემას.

ლიზინგურ ოპერაციებში მონაწილეობს სამი პირი: ლიზინგის გამცემი, ლიზინგის მიმღები, მიმწოდებელი (ქონების გამყიდველი). ქონების მიმღები, საჭიროებს რა განსაზღვრულ ქონებას, დამოუკიდებლად ირჩევს ამ ქონების განმკარგულებელ მიმწოდებელს. ქონების შესაძენად, ფულის უქონლობის გამო, ის მიაკითხავს მომავალ ლიზინგის გამცემს – რომელსაც აქვს საშუალებები ეს ქონება შეიძინოს, – თხოვნით, მიიღოს მონაწილეობა გარიგებაში. მონაწილეობა გამოიხატება მიმწოდებლისგან ამ ქონების ყიდვაში და შემდეგ, მის გადაცემაში ლიზინგის მიმღებისათვის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

ლიზინგის მიმცემად (იჯარის მიმცემად) ჩვეულებრივ, გამოდის კომერციული ბანკი, ლიზინგის მიმღებად – საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოები, ქონების მიმწოდებლად - მისი მწარმოებლები, მომარაგება-გასაღების, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციები, ანუ ქონების მუპატრონეები.

არსებობს ლიზინგის სხვადასხვა სახე. სხვადასხვა ნიშნით ის ასე კლასიფიცირდება:

ვადიანობის მიხედვით:

- მოკლევადიანი (რენტინგი) – 1 წლამდე ვადით;
- საშუალოვადიანი (ჰაირინგი) – 1-დან 3 წლამდე ვადით;
- გრძელვადიანი (ლიზინგი) – სამ წელზე ზევით ვადით.

მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით:

- პირდაპირი (ორმხრივი);
- ირიბი:

– სამმხრივი. მონაწილეობს: მიმწოდებელი, ბანკი, მეიჯარე;

– მრავალმხრივი – მონაწილეობენ მათთან ერთად, საშუამავლო კომპანიები.

ამოღების ხარისხის მიხედვით:

- ფინანსური. მთლიანი ამოღება (ბანკისათვის ქონების მთლიანი ღირებულების გადახდა);
- ოპერატიული – ამოიღება არენდაზე მყოფი ძირითადი საშუალებების ღირებულების მხოლოდ ნაწილი.

მომსახურების მოცულობის მიხედვით:

- წმინდა – ობიექტზე მომსახურების ყველა ოპერაციას ახორციელებს მეიჯარე;
- ნაწილობრივი – მეიჯარეზე გადადის მომსახურების ცალკეული ფუნქციები;
- სრული – ლიზინგზე სრულ მომსახურებას ახორციელებს ლიზინგის მიმცემი.

ბაზრის მასშტაბის მიხედვით:

- შინაგანი-გარიგების ყველა მონაწილე წარმოადგენს ერთ მხარეს;
- საერთაშორისო: მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნები; საექსპორტო: საექსპორტო ლიზინგში საზღვარგარეთელი მხარე არის მეიჯარე საიმპორტოში – ლიზინგის მოიჯარე.

კომერციული ბანკისათვის, გამომდინარე პირველი ოთხი კრიტერიუმიდან, დამახასიათებელია, ძირითადად, შემდეგი სახის ლიზინგები: გრძელვადიანი, პირდაპირი, ფინანსური, წმინდა (ან ნაწილობრივი).

სალიზინგო ოპერაციებში კომერციული ბანკი წარმოადგენს ორგანიზაციულ-გამფორმებელ სტრუქტურას.

ლიზინგის მისაღებად, დაინტერესებული მხარე ბანკში წარადგენს:

1. განაცხადს, ლიზინგზე: ქონების დასახელებით, დანიშნულებით, პოტენციური მიმწოდებლით, ქონების ადგილმდებარეობით. განაცხადში უნდა იყოს მონაცემები არენდატორის საწარმოო საქმიანობაზე, მის შესაძლებლობაზე, ტექნიკურად გამართულად ექსპლოატაცია გაუწიოს ქონებას.

2. დოკუმენტები ბოლო 2 წლის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად (ბალანსები, ანგარიშგებები მოგებასა და ზარალზე);

3. სალიზინგო პროექტის ბიზნეს-გეგმა.

ბანკი, არენდატორის წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ამოწმებს მის ფინანსურ მდგომარეობას, სალიზინგო პროექტს საინვესტიციო მიზანშეწონილობის კუთხით და გადაწყვეტილებას ატყობინებს არენდატორს. შეაკითხის დადებითად გადაწყვეტისას, თანხმობას გარიგებაზე, დაერთვის სალიზინგო ხელშეკრულების სოგადი პირობები.

ბანკი ატყობინებს მიმწოდებელს გარიგების ობიექტის ყიდვის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, ათანხმებს ფასს, დაკომპლექტებას, სხვა გარიგების უქონლობას ამ ობიექტზე. ლიზინგის მიმღები ლიზინგის პირობების გაცნობის შემდეგ, თავის თანხმობას გამოხატავს ხელშეკრულების ხელმოწერით. ხელშეკრულებას ერთვის ქონებაზე შეკვეთის ბლანკი. ბანკი, მიიღებს რა დოკუმენტებს, ხელს აწერს შეკვეთას და უგზავნის მას მიმწოდებელს. მიმწოდებელი გადატვირთავს მოძრავ ქონებას მეიჯარისათვის, შეასრულებს მის მონტაჟს და ექსპლოატაციაში შეყვანას. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, გაფორმდება მიღების ოქმი შესაბამისი ხელმოწერებით და ბანკი ობიექტის ღირებულებას გადაუხდის მომწოდებელს საკუთარი კაპიტალური დაბანდების ანგარიშზე.

სალიზინგო ხელშეკრულება წარმოადგენს სალიზინგო ოპერაციის მარეგულირებელ დოკუმენტს. ის უნდა მოიცავდეს შემდეგ განაყოფებს:

1. ხელშეკრულების მხარეები;
2. ხელშეკრულების საგანი;
3. ხელშეკრულების ვადა;
4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები;
5. სალიზინგო გადასახდელი;
6. ქონების დაზღვევა;
7. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა.

ხელშეკრულების მთავარ პუნქტს წარმოადგენს სალიზინგო გადასახდელი. ის მოიცავს შემდეგ თანხებს:

- საამორტიზაციო ანარიცხები;

- პროცენტს ბანკის საკრედიტო რესურსების გამოყენებისათვის;
- საკომისიო გასამრჯელოს (ჯილდოს);
- დამატებითი მომსახურების გადასახადებს (სამიწვინებო, ტექნიკური, სატრანსპორტო, საკონსულტაციო და სხვა).

ამორტიზაციის ანარიცხების თანხა დამოკიდებულია ქონების საბალანსო ღირებულებაზე, მისი სამსახურის ვადაზე, ამორტიზაციის ნორმაზე, დაჩქარებული ამორტიზაციის შესაძლებლობაზე, ხელშეკრულების ვადაზე და გაინგარიშება ფორმულით:

$$a = \text{სლ} \cdot \text{ან}/100 \cdot \text{დს}$$

სადაც a – ამორტიზაციის ანარიცხებია;

სლ – ქონების საბალანსო ღირებულება;

ან – ამორტიზაციის ნორმა;

დს – სალიზინგო ხელშეკრულების მოქმედების

დრო.

ბანკის საკრედიტო რესურსების გამოყენების საპროცენტო თანხა დამოკიდებულია ქონების საშუალო ღირებულებაზე, საბანკო საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე, ხელშეკრულების ვადაზე და გაინგარიშება ფორმულით:

$$s_{\text{თ}} = s_{\text{რ}} \cdot \text{სგ}/100 \cdot \text{დს}$$

სადაც $s_{\text{თ}}$ – არის კრედიტის გამოყენების საპროცენტო თანხა;

$s_{\text{რ}}$ – საკრედიტო რესურსების სიდიდე, რომელიც განისაზღვრება ქონების საშუალო ღირებულებით (პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის ღირებულების სხვაობის საშუალო ნაშთი);

$s_{\text{გ}}$ – საკრედიტო რესურსების გამოყენების საპროცენტო განაკვეთის სიდიდე ბაქში.

საკომისიო გასამრჯელოს განსაზღვრა ხორციელდება ფორმულით:

$$s_{\text{გ}} = s_{\text{რ}} \cdot \text{სკ}/100 \cdot \text{დს}$$

სადაც $s_{\text{გ}}$ – კომისიის თანხა;

$s_{\text{კ}}$ – კომისიის პროცენტი.

დამატებითი მომსახურების ანაზღაურების თანხა მოიცავს ლიზინგის მიმცემისათვის გაწეულ ყველა მომსახურებას (და).

საბოლოოდ, სალიზინგო გადასახდელი განისაზღვრება:

$$სგ = ა + სთ + ს.გ + და$$

მაგალითი: გაეიანგარიშოთ სალიზინგო გადასახდელი სალიზინგო გარიგების შემდეგი მონაცემებით:

- ლიზინგის ვადა – 6 წელი;
- ლიზინგს დაქვემდებარებული ქონების ღირებულება – 120 ათასი ლარი;
- ამორტიზაციის ნორმა - წლიური 10%;
- საბანკო რესურსების გამოყენების პროცენტი - წლიური 20%;
- საკომისიო გასამრჯელო - წლიური 2%;
- გადასახდელი დამატებითი მომსახურებისათვის – 20000 ლარი.

გაეიანგარიშოთ სალიზინგო გადასახდელის ცალკეული შემადგენელი კომპონენტები.

საამორტიზაციო ანარიცხების თანხა:

$$ა = (120.0) \cdot 6 \cdot 10\% = 48,0 \text{ ათასი ლარი};$$

საპროცენტო თანხა საკრედიტო რესურსების გამოყენებისათვის უდრის:

$$სთ = [(120 + 48) : 2] \cdot 20\% \cdot 6 : 100 = 84 \cdot 20\% \cdot 6 : 100 = 100,8 \text{ ათასი ლარი}$$

სადაც 48 ათასი ლარი – ქონების ნარჩენი ღირებულებაა 6 წლის ბოლოსათვის (120,0-72);

საკომისიო გასამრჯელო:

$$სგ = [(120 + 48) : 2] \cdot 2\% \cdot 6 : 100 = 84 \cdot 2\% \cdot 6 : 100 = 10,8 \text{ ათასი ლარი}$$

გადასახდელი დამატებითი მომსახურებისათვის აღება აბსოლიტური მნიშვნელობით 20 000 ლარი. თუ გადახდა წარმოებს წინასწარ, დამატებითი გადასახდელი არ აღირიცხება და იქნება:

$$სგ = 48,0 + 100,8 + 10,08 = 158,88 \text{ ათასი ლარი.}$$

თუ ლიზინგის მიმღები თანაბარი წილით

$$\text{გადაიხდის, სალიზინგო გადასახადი იქნება } 158,88 + 20,06 = 177,88 : 6 = 29,65 \text{ ათასი ლარი წელიწადში.}$$

ლიზინგი ხელს უწყობს:

- წარმოების საშუალებების განვითარებას;
- საგადასახადო შეღავათების განხორციელებას;
- დაზღვევის განვითარებას და სხვა.

12.2. ფაქტორინგული ოპერაციები

ფაქტორინგული ოპერაციები მიეკუთვნება ბანკის საკომისიო-საშუამავლო და საკრედიტო ოპერაციებს.

სიტყვა „ფაქტორინგი“ ინგლისურია (factor) და ნიშნავს აგენტს, შუამავალს, მაკლერს.

ფაქტორინგულ ოპერაციებში მონაწილეობს სამი მხარე:

1. ფაქტორინგული კომპანია (ან ბანკის ფაქტორინგული ბლოკი);
2. კლიენტი (კრედიტორი, საქონლის მიმწოდებელი);
3. საწარმო (ფირმა) – საქონლის მომხმარებელი.

ფაქტორინგული მომსახურების ძირითადი მიზანი საკუთარი კლიენტების დებიტორული ანგარიშების ინკასირება და მათ სასარგებლოდ კუთვნილი გადასახადების განხორციელებაა. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ფაქტორინგული ოპერაციების შემდეგი სახეები:

- ფაქტორინგული დაფინანსებით და დაფინანსების გარეშე;

- ღია და დახურული;

- რეგრესის უფლებით და რეგრესის უფლების გარეშე;

- შიდა და საერთაშორისო და სხვა.

დაფინანსებით ფაქტორინგის შემთხვევაში, საქონლის მიმწოდებელი უთმობს ფაქტორ-შუამავალს უფლებას მყიდველისაგან გადახდების შემდგომი მიღებისათვის. ჩვეულებრივად, კლიენტი ფაქტორინგისაგან იღებს გადატვირთული საქონლის ღირებულების 80-90%-ს. ასე რომ, ფაქტორი-შუამავალი კლიენტს აძლევს კრედიტს მოწოდებული საქონლის ვადამდელი ანაზღაურების სახით.

გადატვირთული საქონლის ღირებულების სარე-

ზერეო 10-20% კლიენტს არ აუნაზღაურდება და იჯაფუნება განსაკუთრებულ ანგარიშზე მის მიმართ მყიდველიდან პროდუქციის ხარისხზე პრეტენზიის შემთხვევაში და აუნაზღაურდება მიმწოდებელს შემდგომში საქონელზე გადახდის დადგომის მომენტში. ასეთი მომსახურების მიღება პასუხობს საწარმოების მოთხოვნებს, რადგან საშუალება ეძლევათ საქონელი გადახდის გადავადების ნაცვლად, გაყიდოს დაუყოვნებელი გადახდით და ამით, დაამქაროს კაპიტალის მოძრაობა, შეამციროს გადაუხდეელი ფაქტების რაოდენობა.

მომსახურებისათვის ფაქტორ-შუამავალი მიიღებს: საკომისიოს ანგარიშების ინკასაციებისათვის (ჩვეულებრივად, ეს გარიგების ღირებულებისის 0,75-3%-ს შეადგენს); პროცენტს ფაქტორინგული კრედიტის მიხედვით, რომელიც ამოიგება კრედიტის გაცემის თარიღიდან ამ პროდუქციის მყიდველიდან საშუალებების მიღებამდე აღნიშნული პროცენტი 1-2 პუნქტით მაღალია სააღრიცხვო განაკვეთზე.

დაფინანსების გარეშე ფაქტორინგის შემთხვევაში, იგულისხმება ფაქტორ-შუამავლების მიერ საკუთარი კლიენტის დებიტორული ანგარიშების ინკასირება. ასეთ შემთხვევაში, ფაქტორინგული კომპანიის ან ბანკის კლიენტი გადატვირთავს პროდუქციას, წარუდგენს თავის მყიდველს ანგარიშებს ფაქტორ-შუამავალის მეშვეობით, რომლის ამოცანაა მიიღოს კლიენტის სასარგებლოდ კუთვნილი გადახდები დროში, რომელიც შეთანხმებულია კლიენტსა (მიმწოდებელს) და მყიდველს შორის სამეურნეო ხელშეკრულებაში.

ღია ფაქტორინგი - არის ფაქტორინგის სახე, რომლის დროსაც, გადამხდელს (მოვალეს) ეცნობება ფაქტორ-შუამავლის ანგარიშსწორებაში მონაწილეობის შესახებ. შეტყობინება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურაზე ჩანაწერით, ფაქტორის მისამართით გადახდის გაგზავნაზე.

დახურული ფაქტორინგის შემთხვევაში, მყიდველს საერთოდ არ ეცნობება მიმწოდებლის მოთხოვნების დათმობა ფაქტორ-შუამაველზე. ასეთ შემთხვევაში, მყიდველი აწარმოებს ანგარიშსწორებას პირადად მიმწოდებელთან, ეს უკანასკნელი კი, გადახდის მიღების შემდეგ, მის ნა-

წილს გადაურიცხავს ფაქტორინგულ კომპანიას კრედიტის დაფარვისათვის.

ფაქტორინგი, რეგრესის გარეშე, ნიშნავს, რომ ფაქტორ-შუამავალმა მყიდველისაგან ანგარიშების გაუნაღდებლობისას, განსაზღვრული დროის განმავლობაში (36-დან 90 დღემდე), უნდა დაფაროს ყველა ხარჯი ვალის დაფარვასთან დაკავშირებით კრედიტორის (მომწოდებლის) სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში, მომწოდებელი არ ეწევა რისკს მისგან მიყიდულ დებიტორულ დავალიანებაზე. კლიენტსა და ფაქტორ-შუამავალს შორის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული შეიძლება იყოს რეგრესის უფლება, ე.ი. ფაქტორის მიერ კლიენტზე მყიდველისაგან გადაუხდელი ანგარიშების დაბრუნების უფლება კრედიტის დაფარვის მოთხოვნით.

შიდა ფაქტორინგისას, ფაქტორინგული ოპერაციის განმახორციელებელი მიმწოდებელი, მისი კლიენტი და ბანკი იმყოფებიან ერთი ქვეყნის ფარგლებში. საერთაშორისო ფაქტორინგისას, მიმწოდებელი, მისი კლიენტი და ბანკი, რომლებიც მონაწილეობენ ფაქტორინგულ ოპერაციებში, იმყოფებიან სხვადასხვა ქვეყანაში.

რადგან ფაქტორინგული ოპერაციები რისკიანი ოპერაციებია, ფაქტორინგულმა კომპანიამ დეტალურად უნდა შეისწავლოს პოტენციური კლიენტის ფინანსური მდგომარეობა.

ფაქტორინგული ოპერაციებით მომსახურებისაზე უარის თქმის მოტივებია:

- დებიტორების დიდი რიცხვი;
- სპეკულანტური ბიზნესით დასაქმება;
- არასტანდარტული და ვიწროსპეციალიზებული პროდუქციის წარმოება;
- ბარტერულ გარიგებებზე დასაქმება და სხვა.

12.3. სატრასტო ოპერაციები

კომერციული ბანკის სატრასტო ოპერაციებს მიეკუთვნება კლიენტზე საბანკო მომსახურება, მათი სურვილისამებრ საკუთარი ქონების თავისუფალი საშუა-

ლებების განკარგვაზე მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით. ეს არის ურთიერთობა ბანკსა და კლიენტებს შორის, როდესაც ბანკი საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას საკუთრების განკარგვის მხრივ, მიმდობის ან მესამე პირის სასარგებლოდ. კლიენტის დაინტერესება – გადასცეს ბანკს საკუთარი ქონების მართვის ცალკეული ფუნქცია, გამომდინარეობს ბანკის პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობითა და ბანკის თანამშრომელთა მაღალი პროფესიული გამოცდილების გამო.

სატრასტო ხელშეკრულების დადების შემდეგ, ნდობით აღჭურვილი პირი ავალებს ბანკს განკარგოს მისი თავისუფალი საშუალებები მაქსიმალური შემოსავლის მიღების მიზნით. ამასთან, კლიენტი რჩება ქონების სრულფასოვანი მესაკუთრე, ბანკს გადაეცემა მხოლოდ უფლებამოსილება – განკარგოს ეს საშუალებები განსაზღვრული დროის განმავლობაში. ასრულებს რა ბანკი კლიენტის საშუალებების მიხედვით ოპერაციებს, მოქმედებს თავისი სახელით კლიენტის ინტერესში.

სატრასტო ოპერაციები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

1. პერსონალური სატრასტო ოპერაციები (ცალკეული მოქალაქისათვის);

2. ინსტიტუციონალური სატრასტო მომსახურება, რომელიც გაიწევა: პირველი გრძელვადიან ვალდებულებათა ემიტენტსა და ამ ვალდებულების მმართველ იურიდიულ პირს შორის ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე - ხელშეკრულებით, კომპანია – მესაკუთრეს და სატრასტო კომპანიას შორის, რომელიც სთავაზობს კვალიფიცირებულ მომსახურებას საკუთრების მართვის მიხედვით.

3. მომსახურება „მასტერ-ტრასტის“ ტიპის სახელწოდებით (ბანკი უწევს საპენსიო ფონდს ან სხვა კომპანიათა ჯგუფს. მათი საერთო ანგარიშების მართვის გზით, შემოსავლების მაქსიმიზაციის მიზნით).

ყველაზე მეტად გავრცელებულ პერსონალურ სატრასტო (ნდობით) მომსახურებას მიეკუთვნება:

- საანდერძო ტრასტი, რომელიც ფორმდება მოქალაქის ანდერძის საფუძველზე;

- გაწვევისგარეშე ტრასტი, ფორმდება ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც, მნდობს არ შეუძლია დაარღვიოს ხელშეკრულება და ამოიღოს მინდობილი საკუთრება;

- გამოსაწვევი ტრასტი, ფორმდება ხელშეკრულებით, რომელიც შეიძლება დაირღვეს მნდობის მიერ ნებისმიერ მომენტში.

მინდობილი საკუთრების განკარგვის ხასიათის მიხედვით, ტრასტები იყოფა აქტიურ და პასიურ ტრასტებად.

საკუთრება, რომელიც იმყოფება აქტიურ ტრასტში, შეიძლება გაიყიდოს, შეიძლება მიეცეს ვალში, ჩაიდოს მნდობის დამატებითი თანხმობის გარეშე.

პასიური ტრასტი წარმოადგენს მომსახურებას განსაზღვრული ქონების მართვის მიხედვით, რომელიც არ შეიძლება გაიყიდოს ან ჩაიდოს მნდობელი პირის მიერ (მაგალითად, საწარმო, მიწა, უძრავი ქონება).

ბანკების მიერ განხორციელებულ სატრასტო მომსახურებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია:

- კლიენტის პირადი საბანკო ანგარიშების წარმოება;

- კლიენტის ფასიანი ქაღალდების მართვა ხელსაყრელი რეალიზაციის, გარანტირებული შემოსავლების მიღების, ერთი ფასიანი ქაღალდების - მეორეთი შეცვლის მიზნით;

- შემოსავლების აკრეფა კლიენტის სასარგებლოდ;

- დეპოზიტარის ფუნქციის განხორციელება, აგრეთვე ამ საქმიანობის შესატყვისი ოპერაციების შესრულება;

- კომპანიის დროებით ოპერატიული მართვა რეორგანიზაციის შემთხვევაში (შერწყმა, შთანთქმა ან გაკოტრება).

სატრასტო ოპერაციების შესრულება ბანკსა და მნდობ მხარეს შორის, რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

12.4. დანარჩენი ოპერაციები

საკრედიტო ურთიერთობების განვითარება და მასთან დაკავშირებული რისკები, წარმოშობს კრედიტორებისაგან ფინანსური დანაკარგებისაგან თავის დაღწევის მიზნით, აუცილებლობას - გამოიყენონ საბანკო გარანტიები (თავდებობა).

საბანკო გარანტია ნიშნავს, რომ ბანკი საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, კლიენტისაგან, თავის ვადაში არ გადახდის შემთხვევაში, თვითონ გადაიხადოს საშუალებები თავისი ანგარიშიდან. თუ ხელშეკრულებით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული, მოვალე და გარანტი (თავდები) სოლიდარულად აგებენ პასუხს კრედიტორის წინაშე.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკის გამოცდილების ბაზაზე, ბანკმა შეიძლება გასცეს საბანკო გარანტიები სხვადასხვა სახით:

- გარანტია გაწვევის გარეშე - ესაა გარანტია, რომელიც არ შეიძლება გაწვეულ იქნეს, გაუქმდეს ან შეიცვალოს ბანკი-გარანტის მიერ ბანკ-კრედიტორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე;

- გამოსაწვევი გარანტია გარანტს შეუძლია ნებისმიერ მომენტში, კრედიტორთან წინასწარ შეთანხმების გარეშე გააუქმოს;

- პირდაპირი - გარანტია წარედგინება ბანკი-გადაძახდელის მიერ;

- ირიბი - გარანტია მესამე ბანკის მეშვეობით;

- მარტივი გარანტიები - გარანტიები წარედგინება ბანკის მიერ თავისი კლიენტის დავალებით მისი კონტრაგენტის სასარგებლოდ;

- კონტრგარანტია ნიშნავს, რომ ბანკი-გარანტი, მიმართავს რა ბანკ-კორესპოდენტს თხოვნით - წარუდგინოს მის კლიენტს-კონტრაგენტს გარანტია, უზრუნველყოფს მას საგარანტიო შემთხვევის დაფარვის დადგომისას, აუნაზღაუროს გადახდილი თანხა;

- სინდიცირებული გარანტიები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა გარანტიით მოთხოვნილი თანხები

აღემატება ერთი ბანკის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში, ორ ან რამდენიმე ბანკს შორის დაიდება შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, საგარანტიო შემთხვევაში, თითოეული მათგანი მიიღებს გარანტირებული თანხის საკუთარ წილს;

- შეზღუდული – გარანტიები, რომლის მიხედვით, გარანტი პასუხისმგებელია კონკრეტული თანხით გამოხატული ვალდებულების ნაწილზე.

- შეუზღუდავია გარანტიები, როცა გარანტი პასუხისმგებელია მსესხებლის მთლიანი თანხის ვალდებულებებზე;

- საგადამხდელო – საგარანტიო გადახდები თამასუქების, აკრედიტივების და საინკასო ოპერაციებზე;

- სახელშეკრულებო – გარანტიები, რომელიც ექვემდებარება შესრულებას კონტრაქტის მიხედვით;

- პირობითი – გარანტიები, რომელსაც ბანკი გადაიხდის მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში, ე.ი. დოკუმენტალურ მტკიცებისას, რომ კლიენტის პარტნიორმა შეასრულა ყველა სახელშეკრულებო პირობა ან დოკუმენტალურად დაამტკიცა, რომ კლიენტმა, რომლის გადახდაც გარანტირდება ბანკის მიერ, არ შეასრულა თავისი ვალდებულება;

- უპირობო – გარანტიები, როდესაც გადახდა ხორციელდება კლიენტის რაიმე წინააღმდეგობის აღრიცხვის გარეშე, იმ დაეალების მიხედვით, რომლითაც ბანკმა გასცა გარანტიები.

გასაცემი გარანტიის სიდიდისა და შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

- ერთ მსესხებელზე შესაძლო კრედიტის შესაძლებლობა;
- კლიენტის საკუთარი კაპიტალის სიდიდე;
- გარიგების მიზანი და ხარისხი, რომლის მიხედვითაც, ბანკი გამოდის გარანტად;
- უზრუნველყოფის საიმედოება;
- ბანკის შესაძლებლობა – აიღოს თავის თავზე დაკრედიტების საგარანტიო ვალდებულება სრულად ან ნაწილობრივ და სხვა.

ყველა ურთიერთობა კრედიტორსა და გარანტს შორის განისაზღვრება საბანკო გარანტიების ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდება წერილობითი ფორმით, გარანტია ფორმდება ან ორმხრივად ხელშეკრულების ხელმოწერით ან გარანტის მიერ კრედიტორსე საგარანტიო წერილის გაგზავნით.

საგარანტიო წერილი – არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულებას ბანკ-კრედიტორსა და გარანტს შორის.

საბანკო გარანტიების გაცემისათვის, მსესხებელი გარანტს გადაუხდის გასამრჯელოს, რომელიც განისაზღვრება საგარანტიო თანხის საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში, ბანკი კლიენტს სთავაზობს სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებას, ანუ კონსალტინგურ ოპერაციებს. კონსალტინგურ მომსახურებას მიეკუთვნება:

- კონსულტაციები ანგარიშსწორების, მიმდინარე სავალუტო ანგარიშების გახსნაზე და წარმოებაზე;
- კონსულტაციები საკრედიტო, საანგარიშსწორებო და სალაროს ოპერაციების დებულებების გამოყენებაზე;
- კონსულტაციური მომსახურება საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და მიმოქცევაზე (საფონდო ბაზრის ანალიზი, საინვესტიციო პორტფელის შეფასება, საინფორმაციო მომსახურება და ა.შ.);
- კონსულტაციები საანგარიშსწორებო დოკუმენტების გაფორმების შესახებ და ა.შ.

ოპერაციები

13.1. სავალუტო ოპერაციების არსი და რეგულირების საერთო საკითხი

თანამედროვე გლობალიზაცია ზრდის სახელმწიფო-თა შორის ურთიერთკავშირს და ეკონომიკურ ურთიერთ-დამოკიდებულებას. ურთიერთკავშირი კი, წარმოდგენილია ერთმანეთს შორის ანგარიშსწორებითი პროცესების გარეშე. საერთაშორისო საანგარიშსწორებო საგადამხდელო ურთიერთობის მონაწილეები წარმოადგენენ სავალუტო ბაზრის მონაწილეებსაც.

სავალუტო ბაზრის მთავარი და უშუალო მონაწილეა კომერციული ბანკები – ძირითადი სუბიექტები, რომლებიც ქმნიან სავალუტო-საკრედიტო პოლიტიკის ფონს და ახორციელებენ სავალუტო-საანგარიშსწორებო ოპერაციებს.

სავალუტო ოპერაციის ქვეშ იგულისხმება:

- ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია სავალუტო ფასეულობაზე საკუთრების უფლების და სხვა უფლებების გადასვლაზე, მათ შორის, ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის, უცხოურ ვალუტაში საგადამხდელო დოკუმენტების, როგორც გადახდის საშუალებად გამოყენებასთან;
- სავალუტო ფასეულობების ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანა და გადაგზავნა, ქვეყნის ტერიტორიიდან გატანა და გადაგზავნა;
- საერთაშორისო ფულადი გზავნილების განხორციელება;
- ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით უცხოურ ვალუტაში;
- სავალუტო დეპოზიტური და კონვერსიული ოპერაციები;
- უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები შიდა სავალუტო ბაზარზე;

- საკორესპოდენტო ურთიერთობების დამყარება უცხო ქვეყნების ბანკებთან და სხვა.

უცხოური ვალუტა მოიცავს ფულად ნიშნებს ბანკოტების, სახაზინო ბილეთების, მონეტების სახით და ითვლება კანონიერი გადახდის საშუალებად შესაბამის ქვეყანაში ან ქვეყანათა ჯგუფში.

სავალუტო ფასეულობას მიეკუთვნება: უცხოური ვალუტა, ფასიანი ქაღალდები უცხოურ ვალუტაში, საგადამხდელო დოკუმენტები (ჩეკები, თამასუქები, აკრედიტივები და ა.შ.) და სხვა სავალო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში; ძვირფასი მეტალები, ბუნებრივი ძვირფასი ქვები.

კომერციული ბანკების მიერ სავალუტო ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია სებ-ის ნებართვით, ანუ ლიცენზიით ასეთი ოპერაციების განხორციელების შესახებ;

ლიცენზიის მისაღებად, კომერციულმა ბანკმა ცენტრალურ ბანკში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- კომერციული ბანკის დამტკიცებული წესდება;
- უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელების ეკონომიკური მიზნობრიობისა და განხორციელების მზადყოფნის დასაბუთება;
- ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა იმ ქვედანაყოფის აღწერით, რომელიც დასაქმებული იქნება სავალუტო ოპერაციებით;
- ცნობები ბანკის ხელმძღვანელობაზე, რომელიც პასუხისმგებელია უცხოური ვალუტით ოპერაციების შესრულებაზე;
- ბანკის ბოლო წლის ფინანსური ანგარიშგება;
- აუდიტორის დასკვნა;
- ცნობა შიდასაბანკო კონტროლის ორგანიზაციის შესახებ;
- ცნობა შესაძლო საზღვარგარეთელ პარტნიორებზე საკორესპოდენტო ურთიერთობის შეთანხმების შესახებ.

ოპერაციები უცხოური ვალუტით საქართველოში რეგულირდება სახელმწიფო და სებ-ის კანონმდებლობის, ბრძანებების და საინსტრუქციო წერილების შესაბამისად.

13.2. კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციები

ქვეყნის და საბანკო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ყველა ოპერაცია, უცხოური ვალუტით და ფასიანი ქაღალდებით, იყოფა:

- მიმდინარე სავალუტო ოპერაციებად;
- სავალუტო ოპერაციებად, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალის მოძრაობასთან.

თანამედროვე პირობებში, ფართო დანიშნულება შეიძინა მიმდინარე სავალუტო ოპერაციებმა. კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული სავალუტო ოპერაციების წრე, შედარებით შესწავლილია განხორციელების და გაფორმების მაღალი რისკების გამო. ყველა სავალუტო ოპერაცია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ძნელია მათი გამიჯვნა საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით.

ძირითადად ბანკების მიერ განხორციელებული სავალუტო ოპერაციები შეიძლება დაიყოს 6 ძირითად ჯგუფად:

1. კლიენტის სავალუტო ანგარიშების გახსნა და წარმოება;
2. კომერციული ბანკების არასავაჭრო ოპერაციები;
3. საკორესპოდენტო ურთიერთობის დამყარება უცხოეთის ბანკებთან;
4. კონვერსიული ოპერაციები;
5. ოპერაციები საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული საერთაშორისო ანგარიშსწორების მიხედვით;
6. ოპერაციები ბანკის მიერ სავალუტო საშუალებების მოზიდვისა და განთავსების მიხედვით.

კლიენტის სავალუტო ანგარიშების გახსნა და წარმოება მოიცავს ისეთი ოპერაციების განხორციელებას, როგორცაა: ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სავალუტო ანგარიშების გახსნა, ანგარიშებზე ნაშთების შესაბამისად პროცენტების დარიცხვა; ოვერდრაფტის წარდგენა; ანგარიშზე ამონაწერის წარდგენა; ანგარიშის არქივის გაფორმება დროის ნებისმიერი შუალედისათვის;

ანგარიშებზე საშუალებების განკარგვის ოპერაციების შესრულება მფლობელთა ნებასურვილის მიხედვით; კონტროლი საექსპორტო ოპერაციებზე.

კომერციული ბანკის არასავაჭრო ოპერაციებს მიეკუთვნება ოპერაციები კლიენტების მომსახურებაზე, რომელიც არაა დაკავშირებული საქონლის ექსპორტთან და იმპორტთან და მოიცავს შემდეგი ხასიათის ოპერაციებს: ნაღდი უცხოური ვალუტის და საგადაამხდლო დოკუმენტების შესყიდვა და გაყიდვა უცხოურ ვალუტაში; უცხოური ვალუტისა და საგადაამხდლო დოკუმენტების ინკასო; ბანკის კლიენტების მომსახურების კუთხით პლასტიკური ბარათების გამოშვება და მომსახურება; უცხოური ბანკების საგზაო ჩეკების შესყიდვა; ფულადი აკრედიტივებისა და წარმოდგენილი ანალოგიური აკრედიტივების განაღდება.

საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელების მიზნით, ბანკი ხსნის უცხოეთის ბანკებში საკორესპოდენტო ანგარიშებს „ნოსტროსა“ და „ლოროს“. ანგარიში „ნოსტრო“ არის მიმდინარე ანგარიში კომერციული ბანკის სახელზე ბანკ-კორესპოდენტთან, ანგარიში „ლოროს“ – მიმდინარე ანგარიში, გახსნილი კომერციულ ბანკში ბანკ-კორესპოდენტის სახელზე.

კონვერსიული ოპერაციები წარმოადგენს გარიგებას ნაღდი და უნაღდო უცხოური ვალუტის შესყიდვასა და გაყიდვაზე. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის ერთი დღის მიხედვით ბრუნვა განისაზღვრება შესყიდული (გაყიდული) უცხოური ვალუტის მოცულობით.

განასხვავებენ გარიგების სხვადასხვა ფორმებს: გარიგება დაუყოვნებლივი მიწოდებით (გარიგების ტიპი Cash). სავალუტო ოპერაციების განხორციელება ხდება გარიგებიდან ორ დღეში. გარიგების ტიპი „TODAY“ სავალუტო ოპერაციის განხორციელებას გულისხმობს გარიგების დღეს. გარიგება „TOMORROW“ ტიპის სავალუტო ოპერაციების განხორციელება სრულდება გარიგების მეორე დღიდან. გარიგება „SPOT“-ის ტიპის სავალუტო ოპერაციების განხორციელება გარიგებამდე ერთი საბანკო სამუშაო დღის შემდეგი დღისათვის გარიგებებისათვის დაფიქსირებული კურსით. ფორვარდული გარიგება გე-

ლისხმობს კონვერსიული ოპერაციების განხორციელებას ბანკის ორი სამუშაო დღის ვადაში.

ვალიანი საბირჟო ოპერაციები (ფიუნერსის, ოფციონის, სვოპის და ა.შ.) არ მიეკუთვნება კონვერსიულ ოპერაციებს.

კონვერსიული ოპერაციების ჩატარებისას, აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული რისკები ბანკის სავალუტო ოპერაციების მიხედვით. პირველ რიგში, ეს შეეხება ბანკის სავალუტო პოზიციას.

სავალუტო პოზიცია წარმოადგენს უცხოურ ვალუტაში ბანკის მოთხოვნებისა და ვალდებულებების თანაფარდობას. მათი თანაბრობის პირობებში, სავალუტო პოზიცია ითვლება დახურულად, არათანაბრობის პირობებში – ღიად. თუ ბანკის მოთხოვნები ამ ვალუტაში აღემატება ვალდებულებას, ასეთ პოზიციას უწოდებენ „გრძელს“, პირიქით, თუ ვალდებულებები აღემატება მოთხოვნებს, პოზიციას ეწოდება „მოკლე“. ღია სავალუტო პოზიცია დაკავშირებულია სავალუტო რისკთან და ბანკები მოჰყავს დამატებით შემოსავლებთან ან ზარალთან. საგარეო ვაჭრობაში გამოიყენება ანგარიშსწორების ისეთი ფორმები, როგორიცაა დოკუმენტალური აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გზავნილი.

დოკუმენტალური აკრედიტივი – ბანკის ვალდებულება, რომელიც გახსნის აკრედიტივს კლიენტის (იმპორტიორის) თხოვნით - აწარმოოს გადახდები ექსპორტიორის სასარგებლოდ აკრედიტივში მითითებული დოკუმენტების შესაბამისად.

ანაგრიშსწორების დოკუმენტალური ინკასო, ბანკი-ემიტენტი საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, წარუდგინოს ნდობით აღჭურვილს წარმოდგენილი დოკუმენტები გადამხდელს (იმპორტიორს) აქცეპტისათვის და ფულის მიღებისათვის.

საბანკო გზავნილების გამოყენებისას ანგარიშსწორებაში მთლიანი სავალუტო ამონაგები ჩაირიცხება რწმუნებული ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე. სავალუტო ამონაგების სატრანზიტო ანგარიშზე მიღების შემდეგ, მოხდება გადარიცხვა შესაბამის მიმდინარე ანგარიშზე.

სავალუტო საშუალებების ბანკის მიერ მოზიდვისა

და განთავსების ოპერაციები მოიცავს ოპერაციების შემდეგ სახეებს: დეპოზიტების მოზიდვას უცხოურ ვალუტაში ფიზიკური და იურიდიული პირებიდან, მათ შორის, ბანკთაშორისი დეპოზიტების მოზიდვის ჩათვლითაც; კრედიტების გაცემას უცხოურ ვალუტაში; კრედიტების განთავსებას ბანკთაშორის ბაზარზე.

ოპერაციები

14.1. კომერციული ბანკის სალაროს ოპერაციების

ორგანიზაცია

კომერციული ბანკების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კლიენტის საკასო მომსახურების გაწევაა. ბანკი, ამ მიზნით, ქმნის სალაროთა კვანძებს, სადაც კლიენტს აქვს ფართო შესაძლებლობა თავისი ვალდებულებების განაღდებისათვის.

საკრედიტო ორგანიზაციების სალაროთა კვანძები მოიცავს შემდეგ სათავსოებს:

- ფასეულობათა საცავს;
- საწყობს ან სეიფების ოთახს;
- საოპერაციო საღაროებს (საშემოსავლო, საგასავლო, საშემოსავლო-საგასავლო, და სხვა);
- სალაროს დარბაზებს კლიენტებისათვის;
- გადათვლის სალაროს;
- საღამოს სალაროს; ნაგებობას ინკასატორებისაგან ფულის მიღება-გაცემისათვის;
- დანარჩენ ფუნქციონალურ და დამხმარე ნაგებობას.

სალაროს კვანძთა სათავსოების შემადგენლობას განსაზღვრავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა არსებული შესაძლებლობების საფუძველზე. სალაროს კვანძში უნდა იყოს სალაროს ოპერაციების სამუშაოთა ავტომატიზაციის პირობები.

ამა თუ იმ სალაროს შექმნის მიზანმიმართულება, მათი რაოდენობა და სალაროს მუშაკთა რაოდენობა, აგრეთვე საგადამხდელო-საანგარიშსწორებო ტერმინალების აუცილებელი დანადგარები განისაზღვრება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ.

სალაროს ქვეგანყოფის ხელმძღვანელობს სალაროს უფროსი, რომელიც მატერიალურად პასუხისმგებელიამასზე მინდობილი ფასეულობის შენახვაზე. ის ხელმძღვანელობს

სალაროს მუშაობას, ორგანიზაციას უკეთებს კლიენტთა ზუსტ სალარო მომსახურებას.

ნაღდი ფულით ოპერაციების შესრულებას, უშუალოდ ახორციელებენ სალაროსა და ინკასაციის მუშაკები, რომლებსაც გააჩნიათ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მათზე მინდობილი მატერიალური ფასეულობების შენახვაზე ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ეს მუშაკები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან სალაროს ოპერაციების საკრედიტო ორგანიზაციებში განხორციელების წესი.

14.2. ნაღდი ფულით სალაროს ოპერაციების განხორციელების წესი

ბანკში ნაღდი ფულის მიღება ხორციელდება განაცხადით ნაღდი ფულის შეტანაზე. სალაროს ოპერატიული მუშაკი ამოწმებს ნაღდი ფულის შეტანის განაცხადის სისწორეს, ასახავს ფულის თანხას სალაროს ჟურნალში შემოსავლების მიხედვით და გადასცემს მას სალაროში. სალაროს მუშაკი ხელს მოაწერს ამ განაცხადს, ქვითარს და ორდერს, სვამს ბეჭედს ქვითარზე და გადასცემს მას ფულის შემომტანს. ნაღდი ფულის შემოტანაზე განაცხადს სალაროს მუშაკი იტოვებს თვითონ; ორდერს, განაცხადთან ერთად, უბრუნებს ოპერაციულ მუშაკს აღნიშნული თანხის ნაღდი ფულის შემოტანის ანგარიშზე ჩასარიცხად.

თუ სალაროს მუშაკი შეამჩნევს სხვაობას შესატან ფულსა და იმ თანხას შორის, რომელიც ნაჩვენებია ნაღდი ფულის შეტანის განაცხადში, ანდა შემჩნეული იქნება გადახდისუნარო ფულადი ნიშნები. ნაღდი ფულის შეტანის განაცხადი გადაფორმდება ფაქტობრივად შესატანი ფულის თანხაზე. საოპერაციო დღის ბოლოს სალაროს მუშაკი სალაროს შემოსავლის დოკუმენტების საფუძველზე, ადგენს ცნობას მიღებული თანხისა და ფულის დოკუმენტების რაოდენობაზე და შეუდარებს ცნობის მიხედვით თანხას, ფაქტიურად მიღებულ თანხას. ცნობაში ნაჩვენები სალაროს ბრუნვები შეუდარდება ჩანაწერებს ოპერაციული მუშაკების სალაროს ჟურნალში.

საღაროში საოპერაციო დღის განმავლობაში მიღებული ფული, მიღების დოკუმენტებთან და ცნობასთან ერთად, ჩაბარდება საღაროს უფროსს მიღებული და გაცემული ფულის წიგნში ხელმოწერით. საოპერაციო დღის განმავლობაში შემოსული ნაღდი ფული, უნდა გატარდეს საოპერაციო საღაროს შემოსავალში და ჩაირიცხოს კლიენტების შესაბამის ანგარიშებზე იმავე სამუშაო დღეს.

ნაღდი ფულის გაცემა ორგანიზაციებზე წარმოებს ფულის ჩეკების მიხედვით. ნაღდი ფულის მისაღებად, კლიენტი წარადგენს ფულის ჩეკს ოპერაციულ მუშაკთან. სათანადო შემოწმების შემდეგ, მას მიეცემა საკონტროლო მარკა ფულის ჩეკიდან საღაროში წარსადგენად. მიიღებს რა ფულის ჩეკს, საღაროს მუშაკი ერთხელ კიდევ ამოწმებს მის რეკვიზიტებს და ამის შემდეგ, გასცემს ფულს მიმღებზე და ხელს აწერს ჩეკს.

საოპერაციო დღის ბოლოს, საღაროს მუშაკი საქვეანგარიშოდ საღაროს უფროსისაგან მიღებულ თანხას შეუდარებს შესაბამისი დოკუმენტებით გაცემულ თანხებს და ფაქტობრივად დარჩენილ თანხას, ადგენს ცნობას გაცემულ თანხაზე და საქვეანგარიშოდ მიღებულ თანხაზე, ხელს აწერს მას და მასში გამოყვანილ საღაროს ბრუნვებს შეუდარებს ოპერაციული მუშაკების საღაროს ჟურნალებში ჩანაწერებს. შედარებები ფორმდება საღაროს ჟურნალებში საღაროს მუშაკებსა და ოპერაციული მუშაკების ხელმოწერით.

ნაღდი ფულის დარჩენილ ნაშთს და საღაროს გასაგლის დოკუმენტებს, საანგარიშგებო ცნობას საღაროს მუშაკები მიღებული და გაცემული ფულის აღრიცხვის წიგნში, საღაროს უფროსის ხელმოწერით ჩააბარებენ მას.

საღაროს უფროსი, საღაროს მუშაკებისაგან ფულის, ცნობისა და დოკუმენტების მიღების შემდეგ, ამოწმებს - დადასტურებულია თუ არა ოპერაციული მუშაკებისაგან ცნობებში ნაჩვენები საღაროს ბრუნვის თანხები და შეესაბამება თუ არა საღაროს მუშაკების მიერ ჩაბარებული დოკუმენტების რაოდენობა და თანხა, მათ მიერ ცნობებში ასახულ თანხას. შემდეგ, საღაროს უფროსი, საღაროს მუშაკების ცნობების საფუძველზე, შეადგენს კრების ცნობას საღაროს ბრუნვაზე დღეში, შეუდარებს

საღაროს ბრუნვებს კრებითი ცნობის შედეგების მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს და ადასტურებს მას მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით.

სამუშაო დღისათვის საღაროს ბრუნვების შედარების შემდეგ, საღაროს უფროსი ჩაწერს ნაღდი ფულის და სხვა ფასეულობის აღრიცხვის წიგნში ფულის შემოსავლებისა და გასავლების მთლიან თანხებს და გამოიყვანს მასში ოპერაციული საღაროს ნაღდი ფულის ნაშთს, აგრეთვე სხვა ფასეულობების ნაშთს მომდევნო დღისათვის. გამოყვანილი შედეგები დასტურდება ფასეულობის შენახვაზე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით.

15.1. საბანკო ოპერაციები პლასტიკური ბარათებით

საბანკო სისტემის სრულყოფა და წინსვლა განაპირობებს ეკონომიკურ ურთიერთობასა და თანამშრომლობაში წართული მხარეების ანგარიშსწორებითი ურთიერთობის გამარტივებასა და სრულყოფას. ანგარიშსწორებითი ურთიერთობის ახალი პროგრამული და პროგრესული ფორმაა ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებით.

ნაღდი ფულის გაცემა და გაყიდვები ბარათების მიხედვით, გულისხმობს ანგარიშსწორებითი ოპერაციების განხორციელებას ოპერაციების დამთავრებისთანავე. საშუალებები და ამონაგები მომსახურებაზე ანგარიშებზე მიიღება, მაქსიმუმ, არაუგვიანეს 2-3 დღისა. საგადამხდელო ვალდებულებების შემსრულებლის გარანტიად პლასტიკური ბარათების მომსახურებისას, წარმოადგენს ამ ბარათების გამომშვები ბანკი-ემიტენტი. პლასტიკური ბარათები მთელი მისი მოქმედების პერიოდში, რჩება ბანკის საკუთრებად, ხოლო კლიენტები – მფლობელები ბარათებისა - ღებულობენ მას სარგებლობაში. ბანკ-ემიტენტის გარანტიის ხასიათი დამოკიდებულია კლიენტზე გადაცემული საგადასახადო რწმუნებაზე და ბარათის დაფიქსირებულ კლასზე.

ბარათის კლიენტზე გაცემისას, ხორციელდება მისი პერსონალიზაცია: მასში შეიტანება მონაცემები ბარათისა და მისი მფლობელის იდენტიფიკაციისათვის, აგრეთვე უნდა განხორციელდეს ბარათის გადახდისუნარიანობის შემოწმება მისი მიღებისას განაღდებასთან ან ნაღდი ფულის მიცემისას. გაყიდვის ან ნაღდი ფულის გაცემის დამტკიცების პროცესს ბარათის მიხედვით, უწოდებენ ავტორიზაციას. ავტორიზაციის ტექნოლოგია დამოკიდებულია საგადამხდელო სისტემის სქემაზე, ბარათის ტიპზე და მომსახურების კუთხით ტექნიკურ აღჭურვილობაზე. არათის ავტორიზაცია შეიძლება განხორციელდეს ორ რეჟიმში, ონ-ლაინ და ოფ-ლაინ-ში. რეჟიმი ონ-ლაინი არის რე-

ჟიმი, რომლის დროსაც ხორციელდება კავშირი საგადამხდელო სისტემის საბაზო მონაცემებთან. რეჟიმი ოფლაინი, გულისხმობს დამატებითი ინფორმაციის გაცვლას თვითონ ბარათთან.

პლასტიკური ბარათები კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშნით:

1. ინფორმაციის ბარათზე ჩაწერის წესის მიხედვით, ასხეავენ ბარათებს:

- გრაფიკული ჩაწერით;
- ემბოსირებულს;
- შტრიხ-კოდირებულს;
- კოდირებულს მაგნიტურ ზოლზე;
- ჩიპს;
- ლაზერული ჩაწერის (ოპტიკური ბარათები);

დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებულია ინფორმაციის მაგნიტური ჩაწერის ბარათები.

2. გამომთვლელ მოწყობილობასთან ზემოქმედების მიხედვით, ინტელექტუალური ჩიპური სმარტ-ბარათები იყოფა:

- კონტაქტურ (უშუალო კონტაქტი გამომთვლელ მოწყობილობასთან) ბარათებად;
- კონტაქტის გარეშე ბარათებად (ინფორმაციის გადასაცემად გამოიყენება რადიოსიგნალები);

3. საერთო დანიშნულების მიხედვით, პლასტიკური ბარათები იყოფა:

- იდენტიფიკაციურ;
- ინფორმაციულ;
- საფინანსო ოპერაციების ბარათებად;

4. ემიტენტების მიხედვით, ბარათები იყოფა:

- საბანკო ბარათებად, რომელსაც უშეუბნებს ბანკი და საფინანსო კომპანიები;
- კერძო ბარათებად, რომელსაც უშეუბნებს კომერციული კომპანიები სავაჭრო და მომსახურების ქსელში ამ კომპანიის ანაგრიშწორებისათვის;

5. ანგარიშწორების ტექნიკური თავისებურებების მიხედვით:

- ავტონომიური „ელექტრონული ქისა“.

- „ელექტრონული ქისა“ ემიტენტებთან დაკავშირებული ანგარიშით;
 - „გასაღები ანგარიშთან“ მფლობელის ანგარიშის საიდენტიფიკაციო საშუალება ემიტენტთან;
6. ბარათზე ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის

მიხედვით:

- სადებეტო;
- საკრედიტო;

7. კლიენტთა კატეგორიების მიხედვით, რომელზეც ორიენტირებულია ემიტენტი:

- ჩვეულებრივი ბარათი-რიგით კლიენტზე (cbasic visa, mass, Euro card, master card);
- ვერცხლის ბარათი – ბიზნეს ბარათი არაა კერძო პირებისათვის, არამედ კომპანიის თანამშრომლებისათვის – დახარჯონ კომპანიის საშუალებები დადგენილ ფარგლებში;
- ოქროს ბარათები – გამიზნულია ყველაზე შეძლებული კლიენტებისათვის;
- ელექტრონული ბარათები.

8. დადებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით:

- სანეკო გარანტირებული ბარათები;
- ორმხრივი საკრედიტო შეთანხმება;
- მრავალმხრივი საბარათო შეთანხმება;

9. მფლობელის იურიდიულ სტატუსთან დამოკიდებულებით:

- კორპორაციული ბარათები – იურიდიული პირებისათვის;
- პირადი ბარათები – ფიზიკური პირებისათვის.

თანამედროვე პირობებში, არსებობს საერთაშორისო და საქართველოს საგადასხდელი სისტემის რამდენიმე სახე, რომელიც წარმოადგენს, სახელდობრ, ემიტენტებს და საბანკო პლატისკური ბარათების გამაერცფლებლებს.

საერთაშორისო საგადასხდელი სისტემებს მიეკუთვნება:

- ევროკარდი (Euro Card);
- ვიზა (Visa);

მასტერკარდი (Master Card);
ევროპეი (Europaj);
ცირუს /მაესტრო (Cirrus/Maestro);
დაინერს კლუბი (Diners Club);
იუნიონ კარდი (Union Card);

პლასტიკური ბარათების ძირითადი მიმოიღველი თვისებები მფლობელებისათვის, გამოიხატება შემდეგში:

- გამოყენების ხელსაყრელობა;
- მობილურობა;
- დანაზოგების დაკულობა და საიმედოობა;
- დისკონტის მიღების შესაძლებლობა და სერვისის გარანტიები.

სადებეტო ბარათები, ძირითადად წარმოადგენს ტექნიკურ ხელსაყრელობას, კერძოდ:

- ქმნის უნაღდო გადახდების შესაძლებლობას;
- იძლევა ნაღდის მოხსნის შესაძლებლობას;
- იძლევა ანგარიშის მართვას ავტომატური დანადგარების მეშვეობით.

თუ ბარათი საკრედიტოა, მას გააჩნია კიდევ ერთი ხელსაყრელობა – კრედიტის მიღების შესაძლებლობა. ემიტენტი ბანკის საბარათო პროგრამის შემოსავლები განისაზღვრება კლიენტისაგან ამოსაღები:

- ყოველდღიური განაკვეთებით ბარათის გამოიშვების და მომსახურებისაგან (სერვისის განაკვეთი) – ფიქსირებული თანხა. გადახდა წარმოებს წელიწადში ერთხელ;
- ნაღდი ფულის გაცემის ოპერაციისათვის საკომისიო გასამრჯელოსაგან;
- კომერციულ სექტორში უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციებზე საკომისიო გასამრჯელოსაგან;

ანგარიშსწორების პლასტიკური ბარათების დანერგვით სახელმწიფოს დაინტერესება გამოიხატება შემდეგში:

1. მცირდება დანახარჯები ფულადი საშუალებების ინკასაციასზე, ბანკნოტებისა და მონეტების რეგენერაციასზე მათ შეცვლასზე და ემისიასზე;

2. მარტივდება ფულის მოძრაობა და გადასახადების ამოღება;

3. უნაღდო ანგარიშსწორების ბაზაზე მცირდება ანგარისშსწორების მონაწილე მხარეთა შორის კრიმინოგენური ფაქტები.

15.2. ბანკების დისტანციური მომსახურება

დისტანციური საბანკო მომსახურება წარმოადგენს კლიენტისათვის შესაძლებლობას განახორციელონ საბანკო ოპერაციები, ბანკში მიუსვლელად, ტელეკომუნიკაციების სხვადასხვა არხების გამოყენების ბაზაზე.

თანამედროვე პირობებში, ყველაზე მეტად, საბანკო დისტანციური მომსახურების სამი სახეა გავრცელებული:

1. ტრადიციული სისტემა „კლინეტი-ბანკი“. გამოიყენებს პირდაპირ კავშირს ბანკთან, რისთვისაც კლიენტის კომპიუტერს დაეყენება სპეციალური დანადგარი პროგრამული უზრუნველყოფით;

2. სისტემა „ტელებანკი“ (სატელეფონო ბანკინგი), რომლის მიხედვითაც, ბანკი ასრულებს ტელეფონის/ტელეფაქსის მიხედვით კლიენტისაგან მიღებულ საგადამხდელო და საინფორმაციო მომსახურებას, კომპიუტერული ტელეფონის გამოყენებით.

3. სისტემა „ინტერნეტ-ბანკინგი“ წარმოადგენს მომსახურების წარდგენას ინტერნეტის საშუალებით. კლიენტს მისი სარგებლობისათვის არ სჭირდება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა და შეუძლია იმუშაოს თავის საბანკო ანგარიშზე ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან.

დისტანციური საბანკო მომსახურების ორიენტაცია შეიძლება კლიენტების სხვადასხვა ჯგუფზე, ონ-ლაინისა და ოფ-ლაინის მუშაობის პრინციპით.

დისტანციური საბანკო მომსახურების ონ-ლაინური სისტემა მუშაობს რეალური დროის რეჟიმში, ე.ი. ტრანსაქცია, რომელსაც ახდენს კლიენტი ტელეკომუნიკაციის საშუალებით, იმავე მომენტში სრულდება ბანკის მიერ და აისახება მის ბალანსში. ასეთი სისტემები მთლიანად ავტომატიზებულია და არ ითვალისწინებს კლიენტის მომსახურებაში ადამიანის მონაწილეობას.

დისტანციური საბანკო მომსახურების ოფლაინურ სისტემებს გააჩნია დროითი განსხვავება კლიენტის დავალების მიღებასა და მის შესრულებას შორის. ასეთი სისტემები შეიძლება იყოს ავტომატიზებული მთლიანად ან ნაწილობრივ. მთლიანი ავტომატიზაციის პირობებში, ტრანსაქციის შესრულების შეფერხება დაკავშირებულია იმასთან, რომ კლიენტის დისტანციური მომსახურება არ არის ინტეგრირებული ბანკის ავტომატიზებულ შინაგან სისტემასთან.

დისტანციური საბანკო მომსახურების (კნებასთან მჭიდრო კავშირშია ტერმინები „e-bank“ (ელექტრონული) ბანკი და „ვირტუალური“ ბანკი, რომელსაც არ გააჩნია ტრადიციული ოფისი, კლიენტს კი ემსახურება ტელეფონის, იტერნეტის, აუცილებლობის შემთხვევაში, ფოსტის საშუალებით.

15.3. პერსონალური საბანკო მომსახურება და ფინანსური კონსალტინგი

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების საბანკო პრაქტიკაში, კლიენტის მომსახურების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტია პერსონალური საბანკო მომსახურება. ასეთი მომსახურების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კლიენტთან მუშაობის მხრივ, პერსონალური მენეჯერების საქმიანობა. პერსონალური მენეჯერი კორდინაციას უკეთებს ბანკის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობას კლიენტის ინტერესების შესაბამისად და უზრუნველყოფს ოპერატიული გადაწყვეტილების მიღებას. ასეთი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, თავიდან ავიცილოთ ბიუროკრატიული შეფერხებები და მაქსიმალურად სრულად იქნეს გამოყენებული საბანკო მომსახურების უპირატესობები.

პერსონალური საბანკო მომსახურების ძირითადი მიზანი მდგომარეობს ყველა საბანკო მომსახურების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებაში და კლიენტისათვის თანამშრომლობის კომფორტული და კონფიდენციალური პირობების შექმნასა და წარდგინებაში.

პერსონალური საბანკო მომსახურების პირობებში, თითოეულ კლიენტზე მიმაგრებულია მენეჯერი:

- პასუხისმგებელია კლიენტის ყველა ოპერაციის ეფექტურად გაძღოლისა და განხორციელებისათვის;
- თითოეული კლიენტის მიხედვით, ახორციელებს მომსახურების ხარისხის კონტროლს ბანკის მონაწილე ყველა სამსახურის კუთხით;
- უზრუნველყოფს კლიენტს ყველაზე რთული, კომპლექსური ოპერაციის განხორციელებისას მისი პროექტის ყოველმხრივი ანალიზით;
- აძლევს კვალიფიციურ კონსულტაციებს. საჭიროების შემთხვევაში, იწვევს დარგობრივ ექსპერტებს, აკონტროლებს კონკრეტული ფინანსური ოპერაციის რეალიზაციას;

პერსონალური მენეჯერი კონსულტაციას უწევს ბანკის კერძო და კორპორაციულ კლიენტებს. თანამედროვე პირობებში, პერსონალური მენეჯერის ამოცანები კერძო პირებთან მუშაობისას, ძალზე შეზღუდულია და გულისხმობს ექსპერტული დასკვნის შედგენას კაპიტალის (ფულადი საშუალებების) დაბანდებაზე, კლიენტის ქონების ნდობით (სატრასტო) მართვას.

კორპორაციული კლიენტების მომსახურებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების წინაშე მდგომი ამოცანები უფრო ფართო და ხელსაყრელია. ეს ამოცანებია:

- კორპორაციული კლიენტისათვის საბანკო მომსახურების მოთხოვნების გამოვლენა-განსაზღვრა;
- თავისი კლიენტის პორტფელის განვითარების პირობების შექმნა;
- თავის კორპორაციულ კლიენტებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება და მხარდაჭერა.

აუცილებლობის შემთხვევაში, კორპორაციული კლიენტების ხელმძღვანელის თანხმობით, პერსონალურმა მენეჯერმა უნდა განხორციელოს საწარმოს ფინანსური მართვა. ეს გულისხმობს კლიენტების შემოსავლების, ხარჯების, აქტივების და ფინანსების მართვას.

შემოსავლების მართვა ხორციელდება საწარმოს განვითარების სტრატეგიის შემუშავების გზით, საბაზრო

კონიუნქტურის ცვლილებასთან ფორმის შემოსაველიანობის მგრძობიარობის ანალიზის ჩატარებით, საწარმოს ფასების პოლიტიკის შემუშავებით ან კორექტირებით.

ხარჯების მართვის მიზნით, ხორციელდება:

- ხარჯების კლასიფიკაცია და ხარჯების დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა;

- დაგეგმილი და ფაქტობრივად არსებული ხარჯების სტრუქტურის შესწავლა იმ ელემენტების გამოვლენის მიზნით, რომელზეც სისტემატური კონტროლი უნდა განხორციელდეს;

- ხარჯების შიდააღრიცხვის სისტემის ფორმირება ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით;

საწარმოს აქტივების მართვა ხორციელდება:

- განისაზღვრება აქტივების დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებები და წარმოებს აქტივებს შორის ეკონომიკურად მიზნობრივი თანაფარდობის დადგენა;

- გატარდება ღონისძიებები საწარმოო მარაგების მართვისა და ოპტიმიზაციის მიზნით;

- განისაზღვრება საწარმოს ლიკვიდობა და შერჩევა მისი მართვის მოდელი;

საწარმოს ფინანსების მართვის პროცესში ყურადღება ექცევა შემდეგ მომენტებს:

- განისაზღვრება დაფინანსებაზე მოთხოვნები;

- შეისწავლება კაპიტალის სტრუქტურა, ხდება მისი შეფასება და ფინანსური ბერკეტის ეფექტის პროგნოზირება;

- ფინანსური რესურსების მოზიდვის რეალური ღირებულების შეფასება;

- ერთმანეთს შეუდარდება გრძელვადიანი დაფინანსების წყაროების მოზიდვის სხვადასხვა ფორმები – საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები;

ცნება „კონსალტინგი“ ინგლისურია (Consalting) და ნიშნავს მომსახურებას კონსულტაციების გაწევის მიხედვით. კონსალტინგი ხასიათის, სახეების, გაწევის წესებისა და მოცულობის მიხედვით, იყოფა:

- დისტანციურ და უშუალო კანსალტინგად;

- ფინანსურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ კონსალტინგად;

- კომპლექსურ, მიზნობრივ და ოპერატიულ კონსალტინგად;

- კონსალტინგ-ბანკის ან სხვა კომპანიების სპეციალისტების ჩართვით.

დისტანციური კონსალტინგი ხორციელდება ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების სპეციალისტების მიერ კავშირისა და ინტერნეტ-კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით. დისტანციური კონსულტაციების ამოცანაა, ეკონომიკური ცვლილებები, კლიენტის ანგარიშის მიმდინარე მდგომარეობაზე თავისდროული და სუსტი ინფორმირება.

უშუალო კონსულტაციები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, მოიცავს ანალიტიკურ პროგნოზებს პერსპექტივისათვის არსებული და მოსალოდნელი ცვლილებების გათვლისწინებით.

ფინანსური კონსულტაციები ფართო სპექტრით შემოიფარგლება და მოიცავს ფინანსური ინჟინერინგის (ახალი ფინანსური ინსტრუმენტების და ოპერატიული სქემების შემუშავება) საკითხებს და კონსულტაციებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა რესტრუქტურისაცია, დაცვა შთანთქმისგან, დაფინანსების მეთოდების ძიება და სხვა.

ბანკის იურიდიული სამსახური, რომელიც შედგება მაღალკვალიფიციური სპეციალისტთა საბჭოსაგან, კლიენტს გაუწევს ოპერატიულ კონსულტაციებს ნებისმიერ ფინანსურ, საგადასახადო და სამოქალაქო-სამართლებრივ საკითხებზე. მათ შორის, სამართლებრივი კუთხით გამოიყოფა კონსულტაციები:

- სამართლის ყველა დარგის მხრივ;
- მოტივირებული საწინააღმდეგო დასკვნების მომზადება საგადასახადო, სავალუტო და სახელმწიფო კონტროლის შემოწმების აქტების საფუძველზე.
- სამეურნეო ხელშეკრულებების პროექტების შედგენა და ექსპერტიზა.

გამოყენებული ლიტერატურა:

საბანკო საქმის მოკლე კურსის დამხმარე სახელმძღვანელოს შედგენისას, დავეყრდენით და საფუძველად ავიღეთ შემდეგი სპეციალური პოპულარული ლიტერატურა, საკანონმდებლო აქტები და ნორმატიული დოკუმენტები:

1. საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. (საქართველოს 1995 წლის 19 სექტემბრის №805 I-სა და 1996 წლის 28 მაისის №245 II-ის კანონებში შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით);
2. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. (საქართველოს 1996 წლის 23 თებერვლის კანონი). საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბილისი. 2005.
3. საქართველოში უნაღდო აგარიშსწორების წესები (დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 2 სექტემბრის №220 ბრძანებით);
4. რიდი ე., კოტერი რ., გილი ე., სმიტი რ. – კომერციული ბანკები და საბანკო საქმე. ქართული თარგმანი. თბილისი. 1996.
5. როდე ე. – ბანკები, ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში. ქუთაისი. გამომცემლობა „სარანგი“. 1993.
6. საბანკო საქმე. პროფ. ი. ლაერუშინის რედაქციით. ქართული თარგმანი. პროფ. რ. კაკულიას რედაქციით. თბილისი. 1996.
7. კოზხანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი. თსუ-ს გამომცემლობა. 2002.
8. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა – რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. 1999.

9. ცაავა გ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. (დამხარე სახელმძღვანელო). თბილისი. 2005.
10. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე. II ტომი). თბილისი. 2005.
11. Банковское дело. Учебник /под ред. О.И. Лаврушина. М.Финансы и статистика. 1998. 3-е издание.
12. Финансовый менеджмент. Учебник. 3-е издание/. /под ред. У.С. Стояновой. М. Перспектива. 1998.
13. Банковское дело. Учебник. Под ред. Г.Г. Коробовой. М. «Экономика» 2006.
14. Щербакова Г. Анализ и оценка банковской деятельности. М. Санкт-Петербург. Вершина. 2006.

პირველი თავი	ბანკები და საბანკო სისტემა —————	5
1.1.	ბანკის არსი —————	5
1.2.	ცენტრალური ბანკის როლი და ადგილი საბანკო სისტემაში —————	7
1.3.	კომერციული ბანკის როლი და ადგილი საბანკო სისტემაში —————	9
მეორე თავი	კომერციული ბანკები და მათი ოპერაციები —————	11
2.1.	კომერციული ბანკის რესურსები -----	11
2.2.	კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალი და მისი სტრუქტურა -----	11
2.3.	კომერციული ბანკის მოზიდული საშუალებები -----	13
მესამე თავი	კომერციული ბანკის აქტივები —————	17
3.1.	საბანკო აქტივები და მათი დანიშნულება -----	17
3.2.	აქტივების ლიკვიდობა, რისკიანობა და გადაიანობა -----	18
3.3.	ბანკის აქტივების ხარისხი -----	24
მეოთხე თავი	კომერციული ბანკის ლიკვიდობა და მისი მაჩვენებლები -----	27
4.1.	ბანკის ლიკვიდობის არსი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები -----	27
4.2.	კომერციული ბანკების ლიკვიდობის მაჩვენებლები და ნორმატივები -----	32
მეხუთე თავი	კომერციული ბანკის შემოსავლები და მოგება -----	36
5.1.	კომერციული ბანკის შემოსავლები -----	36
5.2.	კომერციული ბანკის ხარჯები -----	40
5.3.	კომერციული ბანკის მოგება, მოგების ფორმირება და გამოყება -----	42
მეექვსე თავი	კომერციული ბანკის პასიური ოპერაციები -----	44
6.1.	პასიური ოპერაციების არსი და დახასიათება -----	44
6.2.	საბანკო ოპერაციები საკუთარი რესურსების ფორმირებაზე -----	46

	6.3.	დეპოზიტური და დეპოზიტგარეშე ოპერაციები -----	49
მეშვიდე თავი		უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების ორგანიზაცია -----	52
	7.1.	უნაღდო ანგარიშსწორების არსი და ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები -----	52
	7.2.	ბანკთაშორისი ანგარიშსწორებები -----	57
მერვე თავი		იურიდიული პირების საბანკო დაკრედიტების ორგანიზაცია -----	59
	8.1.	კრედიტის არსი და დაკრედიტების საბაზო ელემენტები -----	59
	8.2.	საბანკო დაკრედიტების თანამედროვე სისტემის თავისებურებები, პირობები, ეტაპები -----	64
	8.3.	დაკრედიტების ორგანიზაციულ ეკონომიკური საფუძვლები -----	66
	8.4.	სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის ფორმირება -----	78
	8.5.	ბანკის მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასება -----	79
	8.6.	საკრედიტო ხელშეკრულება -----	83
	8.7.	კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმები -----	84
მეცხრე თავი		ცალკეული სახის სესხების გაცემის და დაფარვის ორგანიზაცია -----	89
	9.1.	მოკლევადიანი სესხების გაცემის და დაფარვის ორგანიზაცია -----	89
	9.2.	დაკრედიტება საკრედიტო ხაზის წესით -----	91
	9.3.	ოვერდრაფტი, კონტოკორენტული კრედიტი -----	92
	9.4.	სათამასუქო კრედიტები -----	95
	9.5.	კონსორციული კრედიტი -----	99
	9.6.	გრძელვადიანი კრედიტები -----	100
	9.7.	ბანკთაშორისი კრედიტები -----	102
მეთათე თავი		• ფიზიკური პირების (მოსახლეობის) დაკრედიტება -----	105
	10.1.	სამომხმარებლო კრედიტის სახეები ---	105

	10.2.	სამომხმარებლო კრედიტის გაცემა და დაფარვა	107
	10.3.	იპოთეკური კრედიტი	108
მეთერთმეტე თავი		კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით	110
	11.1.	კომერციული ბანკის ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების არსი და სახეები	110
	11.2.	კომერციული ბანკის საინვესტიციო ოპერაციები	112
	11.3.	კომერციული ბანკის საშუამავლო ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით	115
მეთორმეტე თავი		კომერციული ბანკის საშუამავლო ოპერაციები	119
	12.1.	კომერციული ბანკის სალიზინგო ოპერაციები	119
	12.2.	ფაქტორინგული ოპერაციები	124
	12.3.	სატრასტო ოპერაციები	126
	12.4.	დანარჩენი ოპერაციები	129
მეცამეტე თავი		კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციები	132
	13.1.	სავალუტო ოპერაციების არსი და რეგულირების საერთო საკითხები	132
	13.2.	კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციები	134
მეთოთხმეტე თავი		კომერციული ბანკის სალაროს ოპერაციები	138
	14.1.	კომერციული ბანკის სალაროს ოპერაციების ორგანიზაცია	138
	14.2.	ნაღდი ფულით სალაროს ოპერაციების განხორციელების წესი	139
მეთხუთმეტე თავი		საბანკო მომსახურების თანამედროვე პროდუქტები	142
	15.1.	საბანკო ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	142
	15.2.	ბანკების დისტანციური მომსახურება - პერსონალური საბანკო მომსახურება	146
	15.3.	და ფინანსური კონსალტინგი	147
		გამოყენებული ლიტერატურა	151

ლაერენტი ჩიბურდანიძე

საბანკო საქმე

(მოკლე კურსი)

გამომცემლობა „თობალისი“